ბიძინა ჩოლოყაშვილი

# ქართულენოვანი ეკლესია – ახალი იერუსალიმი

თავად ჩოლოყაშვილის სახლი
თბილისი
2008

**რეცენზენტი:** პროფესორი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

**ყდა:** *წმიდა ნიკოლოზის სახელზე ნაკურთხი ავტორის ოჯახის კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე – ლალისყური*

ვუძღვნი ოჯახს

ქართულენოვანი ეკლესიის წარსულის შესწავლა 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსსა და ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარ გიორგი მთაწმინდელს შორის გამართული კამათით დაიწყო და, როგორადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების პროცესს, დღემდე ნათელი ვერავინ მოჰფინა.

ქართველი ერის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას ქართველოლოგთა დიდი ნაწილი IV საუკუნის დასაწყისში – ქართველთა ქვეყანაში იერუსალიმიდან მოსულ ქალწულს, ქართულენოვანი ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხულ, მოციქულად წოდებულ ნინოს უკავშირებს; ხოლო მეცნიერთა მცირე ნაწილს ქართველთა გაქრისტიანება ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანის – ანდრია მოციქულის დამსახურებად მიაჩნია.

ყოველ ქრისტიანს კარგად მოეხსენება, თუ ვინ იყო წმიდა ანდრია პირველწოდებული. ანდრია თავდაპირველად იოანე ნათლისმცემლის უახლოესი მოწაფეთაგანი გახლდათ. როგორც კი იოანემ ხალხს ღმრთის კრავის მოსვლა ამცნო, ანდრია იესო ქრისტეს გაჰყვა და ამნაირად პირველმა აღიარა იგი მხსნელად. იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს ანდრია მოციქული სულიწმიდის მადლით აღივსო და ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას მიჰყო ხელი.

ახლა კი იმის შესახებ, თუ ვინ იყო წმიდა ნინო და რა მიზნით გაეშურა ღმრთისმოსავი ქალწული პალესტინიდან ქართველთა ქვეყანაში.

ქართულენოვანი ეკლესია წმიდა ნინოს უფლის სიტყვის მსახურთა თანამებრძოლად, ანდრია მოციქულის ქადაგების წარმმართველად და ქართველთა განმანათლებლად მოიხსენიებს. შეგახსენებთ ღმრთის მლოცველი ქალწულის სადიდებლად შექმნილ საეკლესიო ტროპარს: *«სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს»*.

ქართველი ხალხის, ერთი მხრივ, უფლის მოციქულ ანდრია პირველწოდებულისა და, მეორე მხრივ, IV საუკუნეში მოღვაწე წმიდა ნინოს მიერ ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევის წინააღმდეგობით მოცული ცნობის ახსნა, თავდაპირველად შავ მთაზე ქართველთა სავანეში მოღვაწე სწავლულმა ეფრემ მცირემ ითავა. XI საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებულ ნაშრომში *«უწყებაᲲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების»* ეფრემ მცირემ იმის გამო, რომ გადმოცემა ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ ქართულენოვანი ეკლესიის დაარსების შესახებ აშკარა შეუსაბამობას შეიცავს, კითხვაზე: თუკი I საუკუნეში ქართულ სამყაროში ქრისტიანობა ანდრია მოციქულმა გაავრცელა, მაშინ IV საუკუნეში წმიდა ნინოს ქართველთა მოქცევა რისთვისღა დასჭირდებოდაო – ასეთი მსჯელობა შემოგვთავაზა: ანდრიას სამოციქულო მოძღვრება კერპთაყვანისმცემელთა მძლავრობით ქართველებს დაჰვიწყებიათ, ისევე როგორც ბერძნებს კონსტანტინე დიდის მეორე პავლედ გარდაქმნამდე და ამიტომ საჭირო გამხდარა, წმიდა ნინოს ხელახლა მოექცია ქართველთა წინაპრებიო [ეფრემ მცირე,1959, გვ.4].

ნათქვამთან დაკავშირებით ბუნებრივია, გავიხსენოთ, რომ სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ანდრია პირველწოდებულისა და ნეტარხსენებული ნინოს ქართულენოვან სამყაროში ქრისტეს სადიდებლად გაწეული ამაგი XII საუკუნის დასაწყისში რუისურბნისის საგანგებო საეკლესიო კრების მონაწილეებმა, ძირითადად ეფრემ მცირეს მიერ შემუშავებული შეხედულების

შესაბამისად განაჩინეს [დიდი სჯულისკანონი,1975, გვ.545-546].

ხანი რომ გამოხდა, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით უკვე ნახსენები, ურთიერთ გამომრიცხველი მონაცემების განმარტება XIX საუკუნის დასასრულს ივანე ჯავახიშვილმა სცადა. მეცნიერის თვალსაზრისით, წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველ თხზულებაში დადასტურებული ცნობა იმის შესახებ, რომ საღმრთო მადლით შემოსილ ნინოს თანამედროვენი ეუბნებიან: – გაგვიგონია, რომ ყოფილან იესო ქრისტეს მოციქულნი *«...ათორმეტნი და კუალად სამეოცდაათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ...»*-ო, მკვლევრის დაკვირვებით, უცილობლად ცხადყოფს, რომ ნეტარხსენებული ნინოს გარდა საქართველოში განგებას არც ერთი მოციქული არ მოუვლენია და ამდენად VIII - IX საუკუნეებამდე ქართველებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ არაფერი არ უნდა სცოდნოდათო [ჯავახიშვილი,1900,№ 6, გვ.36].

იმისათვის, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული შეხედულების თაობაზე, საჭიროდ მიმაჩნია, გავიხსენოთ, თუ ვის მიერაა თქმული შემდეგი სიტყვები: *«...ათორმეტნი და კუალად სამეოცდაათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ...»*. ამ სიტყვებს დასნეულებულ წმიდანს კუხეთის ქვეყანაში ეუბნებიან კახეთ-კუხეთის დედოფალი, სალომე უჯარმელი, პეროჟავრი სივნიელი და დედოფლის თანმხლები მთავრები: *«...ეტყოდეს დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი; და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: „ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო? მაუწყე ჩუენ საქმჱ შენი! რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო, სანატრელო, რამეთუ ესერა გჳსწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინაწარმეტყუელნი პირველ მოსლვამდე ძისა ღმრთისა ქუეყანად და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოც და ათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა*

*შენ...„»*-ო [მოქც. ქართ.,1963,გვ.105]. მოგეხსენებათ, სალომე უჯარმელი გახლდათ იბერიის მეფის, მირიანის ვაჟიშვილის, რევის, მეუღლე. ამასთანავე შეგახსენებთ, მირიან მეფემ *«... მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.70-71]. ამდენად, აშკარაა, რომ კახეთ-კუხეთის მფლობელის, რევის, თანამეცხედრე სალომე უჯარმელი ზემოთ ციტირებული სიტყვებით კუხეთში მყოფ წმიდანს მიმართავს როგორც კახეთ-კუხეთის ქვეყნის დედოფალი. ვფიქრობ, დამერწმუნებით, ნინოსათვის ნათქვამი სიტყვების წარმოთქმისას კახეთ-კუხეთის დედოფალი სიამაყითაა აღვსილი, ვინაიდან ნეტარხსენებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგებისას რევისა და სალომეს საუფლო იმ ქვეყნების რანგში წარმოჩნდა, რომელ სამეფოებშიაც თვით მოციქულებმა გაავრცელეს ქრისტეს მრწამსი და ამიტომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სალომე დედოფლის თქმული: *«...ვითარმედ ყოფილ არიან წინაწარმეტყუელნი პირველ მოსლვამდე ძისა ღმრთისა ქუეყანად და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოც და ათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმა, გარნა შენ...»*-ო მხოლოდ და მხოლოდ იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ კახეთ-კუხეთის მხარეში ღმრთისმოსავი ქალწულის მისვლამდე ქრისტეს მრწამსი რევის საუფლისწულოში არავის უქადაგია.

თავისთავად ცხადია, ისტორიული წყაროების მიხედვით ქართულენოვან სამყაროში: იბერიაში, ეგრისსა და აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებელ ანდრია მოციქულს სალომე უჯარმელი კახეთ-კუხეთის რეგიონში მოღვაწე მოციქულად ვერანაირად აღიქვამდა.

ასეთნაირად, ნათელია, რომ კახეთ-კუხეთის დედოფლის ნათქვამი, მის ქვეყანაში წმიდა ნინოს მიბრძანებამდე, მოციქულის მიუსვლელობის თაობაზე, შეუძლებელია, ანდრია პირველწოდებულის იბერიაში, ეგრისსა და აფხაზეთში მოღვაწეობის უარსაყოფად გამოდგეს.

იმ მიზნით, რათა ნათლად გავიაზროთ, თუ რატომ შერაცხა ქართულენოვანმა ეკლესიამ ნეტარხსენებული ნინო წმიდანად,

მოდით, გულდამშვიდებით გავაანალიზოთ გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწულის ქართულ სამყაროში მოღვაწეობის ამსახველი წერილობითი წყაროები.

ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტზე შევაჩერო, რომ წმიდა ნინოს ცხოვრების ამსახველ ქართულ ნარატიულ ძეგლებში ზაბილონისა და სოსანას ქალიშვილი „*ნინო*"-დ იწოდება.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში პლატონ იოსელიანმა მრავლისმეტყველად მიიჩნია ის გარემოება, რომ ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში, წმიდა ნინო სახელით არ იხსენიება და იგი ტყვე-ქალის ეპითეტითაა მოხსენიებული. ამასთან ერთად, მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე დედათა შორის საკუთარი სახელი „*ნინო*" არავის რქმევია, და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამგვარი სახელწოდება საკუთარი სახელი არ უნდა იყოსო [Иосселиани, 1842, გვ.48-49]. თუმც, რამდენადაც პლატონ იოსელიანმა წმიდანის სახელწოდებას დამაჯერებელი ახსნა ვერ მოუძებნა, დავა ამ საკითხის გარშემო დღევანდლამდე მიმდინარეობს – მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით სახელწოდება „*ნინო*" საკუთარ სახელს არ შეეფერება, ხოლო მეორენი ფიქრობენ, რომ „*ნინო*" საკუთარი სახელია.

ჩვენი აზრით, რამდენადაც უცხო ქვეყნიდან ქართულ სამყაროში მისული, ქართული ენის არმცოდნე ქალწული ქართულ ისტორიულ წყაროებში „*ნინო*"-დ მოხსენიების პარალელურად, მრავალი ურთიერთგანსხვავებული ეპითეტითაც იხსენიება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სახელწოდება „*ნინო*"-ს მნიშვნელობის დასადგენად გავარკვიოთ, რომელიმე უცხო ენაზე სიტყვა „*ნინო*" თავისი მნიშვნელობით ქართულ მატიანეში დადასტურებული ქალწულის ეპითეტთაგან ერთ-ერთს ხომ არ ეთანადება, ვინაიდან შესაძლებელია, ქართული ენის არმცოდნე ნეტარ არსებას მასთან დაახლოებულნი მისთვის გასაგებ ენაზე მიმართავდნენ, და ამგვარად, სახელწოდება „*ნინო*" ქალწულის უცხოენოვანი ეპითეტი გამოდგეს.

ქართულენოვანი ეკლესიის წევრებმა კარგად უწყიან, რომ

ისტორიულ წყაროებში ქართველთა მეფის გამაქრისტიანებელი ქალწული შემდეგი ეპითეტებით მოიხსენიება: *„წმიდა“*, *„ნეტარი“*, *„დედა“*, *„განმანათლებელი“*, *„მოციქული“*, *„ტყუე“*, *„უცხო“*, *„დედოფალი“*. ხოლო თუკი ამ ეპითეტებს უცხო ენებზე გადავთარგმნით, მაშინ დავინახავთ, რომ კნინობით–ალერსობითი ფორმით სიტყვა *„დედიკო“* ასურულ ენაზე ასე გამოითქმის: *„ninnoo“*. შეგახსენებთ, რომ სწორედ დედის ეპითეტით მოიხსენიებს ნეტარ არსებას მისი ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, აბიათარი: *«...რამეთუ მრავალგზის ბრძანა დედამან ჩუენმან, წმიდამან ნინო, რათამცა მოვიძიეთ სამოსელი იგი...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.101]. ასევე, როდესაც ქართველთა მეფემ ქრისტე აღიარა, მისმა უდიდებულესობამ ღმრთისმოშიშ ქალწულს დედა უწოდა: *«...„სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი – მჴსნელი ჩემი“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.110]. უეჭველია, ზედწოდება *„დედა“* და მისი ასურული კნინობით-ალერსობითი ფორმა *„ninnoo“*, ანუ *„დედიკო“*, ნეტარი არსების ეპითეტია. ამდენად, ნათელია, რომ სახელწოდება *„ნინო“* ქალწულისათვის მშობლების მიერ შერქმეული სახელი არ არის და ნეტარი არსების *„ნინო“*-დ მოხსენიებისას, წმინდანს ასურულ ენაზე ალერსით *„დედიკო“*-ს უწოდებენ. ნათქვამთან დაკავშირებით, ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ ნინოს მამის სამშობლოში – კაბადოკიაში, სადაც უმანკო გოგონა აღიზარდა, იმდენად მრავალი ასურელი ცხოვრობდა, რომ ბერძნები კაბადოკიას მეორენაირად *Leucosyri*-ს, ანუ თეთრ ასურეთსაც უწოდებდნენ.

მაშ ასე, ქალწულს, რომელმაც იცის ებრაული [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ.88], ლათინური [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ.86], ბერძნული [მოქც. მირიან მეფისა., 1955,გვ.93], სომხური [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ.85] და ასურულ ენაზე *„დედიკო“*-ს უწოდებენ, უეჭველია, მას *„დედი“*-ს ეპითეტის კნინობით–ალერსობითი ფორმით, მშობლიურ ენაზე მიმართავდნენ, როგორც ახალი რწმენის წყალობით საუკუნო სიცოცხლის მიმნიჭებელ დედას.

ასეთნაირად ირკვევა, რომ გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწული ეროვნებით ასურელი ყოფილა.

ახლა კი იმის თაობაზე, თუ რას მოგვითხრობს მემატიანე ღმრთისმოშიში ქალწულის შესახებ.

წმიდანის ცხოვრების მიხედვით, უმანკო გოგონას მამა – ზაბილონი, რომის იმპერიის ჯარში მოღვაწეობისას უფლის მადლით შეიმოსა *«...და მოსცა უფალმან ძალი ზაბილონს...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.73], სამხედრო სამსახურს თავი დაანება და წმიდა ადგილების მსახურების მიზნით, იერუსალიმში გადასახლდა. დედა – სოსანა, იერუსალიმის პატრიარქის და, დაქორწინებამდე ტაძრის ზედამხედველ ქალთან – სარასთან მსახურობდა. სწორედ, სარას უშუალო შუამავლობით დაქორწინდნენ ზაბილონი და სოსანა. ცოლ-ქმარს ერთი ასული ებადა. როდესაც ზაბილონისა და სოსანას ქალიშვილს თორმეტი წელი შეუსრულდა, მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ცხოვრება მთლიანად ღმრთისათვის მიეძღვნათ. ამიტომ გაყიდეს ყოველივე და მთელი ქონება გლახაკებს დაურიგეს. მამა ბერად აღიკვეცა და ამრიგად ოჯახს გაემიჯნა. ხოლო ქალწულის დედა მისმა ძმამ, იერუსალიმის პატრიარქმა, გლახაკ და უძლურ ქალთა მსახურად განაწესა.

ქალიშვილთან გამომშვიდობებისას ზაბილონი მკერდში ჩაიხუტებს საკუთარ პირმშოს და თვალცრემლიანი ეუბნება: *«...„შენ მხოლოო ასულო ჩემო, ესერა დაგიტეობ ობლად ჩემგან და მიგათუალავ შენ მამასა ზეცათასა და ყოველთა მზრდელსა ღმერთსა. რამეთუ იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო, ხოლო შენ მარიამ მაგდანელისა შური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათჳს და დათა მათ ლაზარესთა. და უკუეთუ შენ ეგრეთ შეიყუარო იგი, ვითარცა მათ შეიყუარეს, მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყოველივე, რაჲცა ითხოვო მისგან“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.76]. ნათელია, საღმრთო მადლით შემოსილი მამა შვილს მოუწოდებს, მარიამ მაგდალელისა და ლაზარეს დების – მარიამისა და მართას მსგავსად იცხოვროს, რათა კეთილად ემსახუროს უფალს.

მას შემდგომ, რაც ღმრთის მლოცველმა მშობლებმა თავ-

თავიანთი ჯვარი იტვირთეს და უფლის გზას შეუდგნენ, მათი ქალიშვილი ორი წლის განმავლობაში სომხეთის ქალაქ დვინიდან ბეთლემში იმიგრირებული ძველი და ახალი რჯულის ზედმინევნით მცოდნე ტაძრის მეთვალყურე სარა ბეთლემელის ზედამხედველობით იზრდებოდა.

ღმრთისმოსავი ქალწული რწმენის საკითხებზე ხშირად ესაუბრებოდა სარა ნიაფორს *«...და ჰკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათთჳს ქრისტესთა: ჯუარცმისა, დაფლვისა და აღდგომისა მისისა, და სამოსლისა მის და ტილოთა და სუდარისა, და ჯუარისა და სხჳსა ყოვლისავე შემდგომითი-შემდგომად გამოეძიებდა, რამეთუ არავინ ყოფილიყო და არცავინ იყო შორის იერუსალემისა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძველისა და ახალისათა, ყოველსავე ზედამიწევნით...»* [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.77]. თუკი გულდასმით დავუკვირდებით სარა ნიაფორსა და გამოუთქმელი სიკეთით აღვსილ ქალწულს შორის გამართული საუბრის თემას, ალბათ დამეთანხმებით, ღმრთისმორჩილი ქალწულის განსაკუთრებული დაინტერესება მაცხოვართან დაკავშირებული საგნებით, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ღირსეული ქალწული მოწადინებულია, უფლიდან მომდინარე სიწმიდით შემოსილი საგნის ძალით წარმოაჩინოს ღმრთის დიდება, რათა ადამიანებმა იწამონ საღმრთო სიწმიდის ცხოველმყოფელობა. ამასთანავე, ვინაიდან, მაცხოვრის ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის პერიოდი დროის იმ მონაკვეთს მოიცავს, როდესაც უფლის მოწაფეებიც აღარსად ჩანან და მეტწილად ქალებიღა ჭირისუფლობენ მხსნელს, ამიტომ, არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ ქრისტეს მრწამსის მიმდევართა ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს ძველი და ახალი აღთქმის ზედმიწევნით მცოდნე სარა ბეთლემელთან სჯა-ბაასისას განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებს: დიაცად შობილს სურს გაერკვეს, რატომ მიაკუთვნა განგებამ დედაკაცს ასეთი მისია, ჩასწვდეს იმ მოვლენის არსს, თუ რის გამოა, რომ უკანასკნელ ჟამს უმთავრესად ქალებიღა გულშემატკივრობენ უფალს.

პირუთვნელ განცვიფრებას იწვევს ღმრთისმოშიში ქალწუ-

ლის განსაკუთრებული წვდომა საღმრთო საკითხებში.

ნათქვამი თვალსაჩინო რომ გახდეს, აქვე ისიც გავითვალისწინოთ, თუ როგორ ახასიათებს სახელგანთქმული ღმრთისმეტყველი – სარა ბეთლემელი თავისსავე გაზრდილს: «...„*ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ლომისა ძუისასა, რომელი იზახებნ ყოველთა ზედა ოთხფერჴთა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერთასა უფროს მამლისა, და ყოველი ჴმელი გუგასა შინა თუალისა მისისასა მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყვანის, განიხილის და განიცადის საჭმელი მისი ცეცხლებრ. ხოლო იხილის რა, მიუტევნის ფრთენი და მიეტევის მას ზედა. ეგრეთვე სახედ იყოს ცხოვრება შენი წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა*“...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.77]. მრავლისმეტყველია, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ძველი და ახალი რჯულის ზედმიწევნით მცოდნე ქალბატონს, რომელმაც კარგად უწყის, რომ «*...მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ*». ასე და ამრიგად, საღმრთო რჯულის უზადო მცოდნის დახასიათებით, უმანკო გოგონა იმდენად ამაღლებული არსებაა, რომ იგი ერთდროულად ძუ ლომისა და დედალი ორბის თვისებების მატარებელია.

იმისათვის, რათა გავერკვეთ, თუ რატომ ადარებს სარა ნიაფორი წმიდა ნინოს ძუ ლომსა და დედალ ორბს, გვმართებს გავიხსენოთ, რომ უდაბნოში განმარტოებით ბინადარ, გამუდმებით ფხიზლად მყოფ ლომს ჩვეულებისამებრ თვალებგახელილს სძინავს. ხოლო ორბი იგივე არწივია. უბრალოდ, არწივს თეთრი თავითა და ბოლოთი, ორბი ეწოდება. მთავარი კი ისაა, რომ სულის ტრიუმფის სიმბოლოდ მიჩნეული ორბი ის ყველაზე მაღლა მფრინავი ფრინველია, რომელიც თვალუწვდენელი სიმაღლიდან დედამიწაზე ყოველივეს ჭვრეტს, საზრდოს შეცნობისთანავე კი მიუშვებს ფრთებს და დააცხრება.

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც ნათელია, აღმზრდელის თვალსაზრისით, მისი აღზრდილი სულიწმიდის წინამძღოლობით იმდაგვარი ძალით შემოსილა, როგორსაც ფლობენ ყოველ ოთხფეხზე მბრძანებელი ძუ ლომი და ყოველ ფრინველზე მაღლა მფრინავი დედალი ორბი.

და, აი, გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწულის შეკითხვაზე – თუ რატომ ტანჯეს და აწამეს ქრისტე – აღმზრდელი მიუგებს: ერთხელაც მოკვდავებმა ამქვეყნად უკვდავი ღმერთი იხილეს, რომელიც დედამიწაზე წარმართების მოსაქცევად იყო მოსული. რადგან ქვეყნიერების ხსნა უნდოდა, მხსნელმა დედამიწაზე თავისი საქმიანობა დაიწყო ჰურიათათვის კეთილის ქმნით: მკვდრებს აღადგენდა, ბრმებს თვალის სინათლეს უბრუნებდა, სნეულთ კურნავდა, რისთვისაც მისი შეშურდათ და მოილაპარაკეს, სასწრაფოდ მოეწვიათ ჰურიები ყოველი ქვეყნიდან. ამისათვის მათ გაგზავნეს მაცნენი, რომელნიც დიასპორის წევრებს აუწყებდნენ: სანამ გავნადგურდებით, მოდით, შევიკრიბოთ ყოველნიო. მაშინ, ყველა ქვეყნიდან თავი მოიყარეს მოსეს სჯულის სწავლულებმა, რომელნიც წინ აღუდგნენ სულიწმიდას და ის, რაც ქრისტეს უნდა შემთხვეოდა, მათ აღასრულეს – ჯვარს აცვეს მაცხოვარი და მის სამოსელზე წილი ყარეს, რომელიც წილისყრით მცხეთელ მოქალაქეებს შეხვდათ. შემდეგ ჰურიებმა დაკრძალეს ქრისტე და მისი საფლავი დაბეჭდეს. მაგრამ იგი აღდგა, როგორც თავიდანვე თქვა. მისი ტილოები კი საფლავში იპოვეს. როცა გათენდა და ყოველივე გაირკვა, პილატე და მისი ცოლი მივიდნენ ქრისტეს საფლავთან. როგორც კი ცოლ-ქმარმა მაცხოვრის ტილოები იპოვეს, პილატეს მეუღლემ ტილო მოისხა, იწამა ქრისტე და სასწრაფოდ გაეშურა პონტოში, თავის სახლში. გარკვეული დროის შემდგომ ტილოები ლუკა მახარებლის ხელში მოხვდა და სადაც მოათავსა მხოლოდ მან იცოდა. ხოლო სუდარის ასავალ-დასავალი არავინ იცის. თუმცაღა გამიგია, რომ პეტრემ აიღო და მას ჰქონდაო. ჯვარცმის ძელი კი ამავე ქალაქში, იერუსალიმშია დამარხული, მაგრამ მისი სამყოფელი არავინ იცის და როცა ღმერთი ინებებს, ისიც მაშინ გამოჩნდება [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.77-78].

ოდეს საღმრთო სიწმინდის მოსაძიებლად შემართული ღმრთისმოშიში ქალწული სარა ნიაფორისაგან შეიტყობს, რომ უფლის ჯვარცმის შემდგომ ქრისტეს სამოსელზე წილისყრისას კვართი ქალაქ მცხეთის მოქალაქეებს შეხვდათ «...რა-

*მეთუ ჯუარს აცუეს და სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს, და ხუდა წილითა მით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.78], ღმრთისმოსავი ქალწული ღმერთს მადლობას შესწირავს და თავის აღმზრდელს ჰკითხავს: *«...„სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადაჲთ-იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილ ხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი"...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.79]. მას მერე, რაც ღირსეული ქალწული ქალაქ მცხეთის ადგილმდებარეობით დაინტერესდება, ნათელი ხდება, რომ სარა ნიაფორთან უფლის უნაკერო კვართის თაობაზე საუბრისას ღმრთისმორჩილ ქალწულს მცხეთაში წასვლის სურვილი გასჩენია.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით დაბეჯითებით, თუ როგორ წარიმართა სარა ბეთლემელისა და მისი აღსაზრდელის საუბარი, ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარა ნიაფორთან იესო ქრისტეს ჯვარცმის თაობაზე ბჭობისას ღმრთისმიერ ქალწულს უფლის უნაკერო კვართთან დაკავშირებით იმდენად დიდი ინტერესი გასჩენია, რომ განკაცებული ღმრთის კვართის ადგილსამყოფელის მოძიება დაუსახავს მიზნად.

გაარკვევს თუ არა ღმრთის მლოცველი ქალწული, რომ უფლის განუყოფელი კვართი ქართველთა სამეფო ქალაქშია დაფლული, მცხეთაში წასვლას გადაწყვეტს.

უცილობელია, ძველი და ახალი რჯულის უბადლო მცოდნის, სარა ბეთლემელის, აღზრდილმა ზედმიწევნით უწყის ჯერ კიდევ დავით მეფის მიერ ნაწინასწარმეტყველევი: *«განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი»* [ფსალმუნი, XXI,19]. მართლაცდა, მათ, რომელთაც ჯვარს აცვეს  უფალი, კვართი არ განხიეს, რადგან უნაკეროდ ნაქსოვი ერთიანად დაიშლებოდა და ამიტომ წილი ყარეს *«და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესო, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეჲთ გამოქსოვილ ყოვლად. თქუეს უკუე ურთიერთას: არა*

*განვხიოთ ესე, არამედ წილვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს»* [იოანე, XIX,23-24]. ეჭვი არ არის, უმეცარმა ჯალათებმა წმიდა წერილის შესაბამისი გადაწყვეტილება სულიწმიდის კარნახით მიიღეს. ასე და ამგვარად, ღმრთისმშობლის მიერ მოქსოვილი უფლის უნაკერო კვართი ღმრთის ჩანაფიქრის შესაბამისად განუყოფელი დაშთა.

ბარემ აქვე დავძენ, კვიპრიანე კართაგენელის განმარტების თანახმად, უკვე III საუკუნიდან ღმრთისმეტყველთათვის ცნობილია, რომ უფლის განუყოფელი კვართი – განუყოფელი, ჭეშმარიტი ეკლესიის სიმბოლოა.

კითხულობ ღმრთისმოსავი ქალწულის ცხოვრების ამსახველ მატიანეს და გუმანით ხვდები, რომ საღმრთო სწავლების სურვილით აღვსილი ღმრთისმოშიში ქალწული, რომელსაც უფლისადმი სიყვარულით თავისი თავი სიყრმიდანვე სიწმიდით შეუნახავს, ტაძრის ზედამხედველთან სჯა-ბაასისას საკუთარი ჯვრის სატვირთველად ემზადება.

აი, ამ დროს უფლის აღდგომის დღესასწაულზე დასასწრებად სარა ნიაფორს ეფესელი ქალი ესტუმრება. მასპინძელი სტუმარს საუბარს ელენე დედოფალზე ჩამოუგდებს, რაზეც ეფესოდან მოსული მიუგებს: *«...„მე ვარ მჴევალი მათი და მეცნიერი განზრახვასა მათსა ყოველსა, ცხადსა და დაფარულსა, და უწყი მე მისი, რამეთუ აქუს მას დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა და ნათლისღებისათჳს“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.79]. ამ სიტყვების მოსმენისთანავე ღმრთისმორჩილი ქალწული თხოვნით მიმართავს სარა ბეთლემელს: *«...„წარმგზავნე მე და მივიდე წინაშე დედოფლისა ელენესსა, ნუ უკუე მივიახლო მის წინაშე სიტყჳს-გებად ქრისტესთჳს“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.79]. ღირსეული ქალწულის სულიერ სწრაფვაში ზედმიწევნით გათვითცნობიერებული ტაძრის ზედამხედველი აღზრდილის კეთილ ნებას იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვლის, რომ ღმრთისმიერი ქალწულის სურვილს იერუსალიმის პატრიარქის გადასაწყვეტ საკითხად მიიჩნევს და

უმალვე მის უწმინდესობას მოახსენებს დისშვილის წადილს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, ივ.ჯავახიშვილის ვარაუდით, ეფესელ ქალს ღმრთის მლოცველი ქალწული იმ მიზნით მიჰყვება, რათა ელენე დედოფალს ქრისტეს სარწმუნოება უქადაგოს [ჯავახიშვილი,1900,№ 6, გვ.22]. არადა ეფესოდან მოსულის ნათქვამის მიხედვით, ელენე დედოფალი ქრისტიანული სარწმუნოებით იმდენად დაინტერესებულა, რომ ნათლისღების სურვილით ყოფილა აღვსილი. ამდენად ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ნათლობის მოსურნე ელენე დედოფალი ღმრთისმოსავ ქალწულს ქრისტიანობაზე მოსაქცევად რისთვისღა უნდა დაემოძღვრა. მით უმეტეს, რომ ღმრთისმოშიში ქალწულის მიერ სარა ნიაფორისათვის თქმული სიტყვებიდან, რომლის აზრი შემდეგში მდგომარეობს: გამგზავნე და მივალ ელენე დედოფლის წინაშე, რათა მივუახლოვდე ქრისტეს თაობაზე საპაექროდო, არანაირად არ გამოსჭვივის ის თვალსაზრისი, რომელიც ივ.ჯავახიშვილმა შემოგვთავაზა, თითქოს ნეტარხსენებულს სურვილი ჰქონდა ელენესათვის ქრისტეს რჯული ექადაგებინა.

ძნელია დაბეჯითებით ამტკიცო, თუმც რამდენადაც ღმრთის მლოცველი ქალწულის მოღვაწეობის პერიოდში III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისისათვის წმიდა ეკლესიას იმდენი ერეტიკული დაჯგუფება მიეძალა, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე, ამდენად საფიქრებელია, ნათლისღების მოსურვე ელენე დედოფალთან ღმრთისმოსავი ქალწულის ქრისტეს თაობაზე პაექრობის წადილი იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ უმანკო ქალწულს სურს, რომის იმპერიის დედოფალს ჭეშმარიტი სარწმუნოების არსი განუმარტოს.

ასე იყო თუ ისე, მემატიანის ცნობით, როდესაც სარა ნიაფორი იერუსალიმის პატრიარქს მოახსენებს დისშვილის სურვილს, მისი უწმიდესობა გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწულის გადანყვეტილებას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ღმრთისმოშიშ ქალწულს უყოყმანოდ საკურთხევლის შუა კარებში დააყენებს: «*...ხოლო დედისძმამან მოუწოდა წმიდასა ამას ნინოს, დისწულსა თჳსსა, და დაადგინა იგი აღსავალსა წმიდისა საკურთხევლისასა; და დასხნა ჴელნი მისნი წმიდანი*

*მჴართა მისთა ზედა, სულთ-ითქუნა ცად მიმართ სიღრმითა გულისა მისისათა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.79]. როგორც ვიცით, სასულიერო ხარისხში კურთხევისას ხელთდასხმა მარტოოდენ საკურთხეველში აღესრულება. საქმე ისაა, რომ საკურთხეველში შემსვლელი თავდაპირველად საკურთხევლის კარებში ჩერდება, წარმოთქვამს ლოცვას და მხოლოდ ამის შემდეგ შედის საკურთხეველში.

ამრიგად, საისტორიო გადმოცემაში აღწერილია ღმრთისმორჩილი ქალწულის საკურთხეველში შეყვანის საწყისი მომენტი, რის მერეც ხელთდასასხმელი საკურთხეველში შედის და მასზე ხელთდასხმა აღესრულება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკურთხეველში დიაცის შეყვანა მხოლოდ ქალის დიაკონად კურთხევისას შეიძლებოდა, რადგან დიაკონის ხარისხში აღზევებული დედაკაცი თავისთავად სასულიერო პირი ხდებოდა და ამიტომ მისი კურთხევა უცილობლად საკურთხეველში უნდა განხორციელებულიყო.

მაშასადამე, მემატიანის უწყების თანახმად, გამოდის, რომ ღირსეული ქალწულის სასულიერო ხარისხში კურთხევის საიდუმლოს აღსრულებისას საკურთხეველში იერუსალიმის პატრიარქის ხელთდასხმით რჩეულ ქალწულზე ღმრთის განსაკუთრებული მადლი გადმოვიდა, რის შემდგომაც მისმა უწმინდესობამ ღმერთს შესთხოვა: *«...„უფალო, ღმერთო საუკუნეთაო, ჴელთა შენთა შეववედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩემისასა, და წარვავლინებ ქადაგებად ღმრთეებისა შენისა, რაჲთა ახაროს აღდგომაჲ შენი; სადაცა სათნო-იყო სრბა მისი, ექმენ, ქრისტე ღმერთო, ამას მოგზაურ, ნავთსადგურ, მოძღუარ და ენათმეცნიერ, ვითარცა-იგი წინათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა"...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.79-80]. ყოველივე თქმულის შესაბამისად, ირკვევა, რომ იერუსალიმის პატრიარქის ხელთდასხმით, ხელთდასხმულზე სულიწმიდა გადმოვიდა და სულიწმიდის მადლით შემოსილი დედათა დიაკონი ბიძამ უფალს შეავედრა, რათა ღირსეულ ქალწულს, ღმრთის ჩანაფიქრის წარმატებით განსახორციელებლად, ქრისტემ უწინამძღვროს.

ცხადზე ცხადია, იერუსალიმის პატრიარქმა დისშვილი დედათა დიაკონად აკურთხა და უფლის მადლს მიანდო.

ღირსეულ დიაცთა დედათა დიაკონად აღზევების ტრადიცია თავდაპირველად პავლეს წერილებში დასტურდება [რომაელთა მიმართ, XVI,1; I ტიმოთეს მიმართ, V,9]. დედათა დიაკონის წოდება-ხარისხი პალესტინის, სირიის, საბერძნეთის, საერთოდ აღმოსავლეთის ეკლესიებში იყო მიღებული. მაგალითად, IV საუკუნეში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ორმოცი დიაკონი დედაკაცი იყო დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ IV საუკუნეში მოღვაწე დიაკონი ქალი, სახელად ოლიმპია, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნექტარის მრჩეველი იყო მრავალ საეკლესიო საკითხში [ Constitution Apostolic, წიგნი III,თავი II].

მართალია, დედათა დიაკონის ხარისხში უმთავრესად ასაკოვანი, ქვრივი ქალების ხელთდასხმა ხდებოდა, მაგრამ, ამასთანავე, იყო შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებული ვითარებისას, ახალგაზრდა ქალიც უკურთხებიათ დიაკონად. მაგალითად, ტერტულიანი მოგვითხრობს ოცი წლის ქალწულის დედათა დიაკონად კურთხევის შესახებ [Catholic encyclopedia. 1855 - deacons ].

საზოგადოდ, ქალის დიაკონად არჩევა სხვადასხვა ხასიათის მოვლენებთან ერთად დიდად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ ნათლობის აღსრულების დროს ნათლისღების მოსურნე დიაცი ეკლესიის მსახური მამაკაცის წინაშე არ დათრგუნულიყო ქალური სიშიშვლის ჩვენებით, რის გამოც დედათა დიაკონს ეპისკოპოსი ნათლობის უფლებასაც გადასცემდა და ამდენად დედათა დიაკონად ამორჩეული დიაცი უფლებამოსილი იყო დედაკაცი მოენათლა.

იერუსალიმის პატრიარქს დისშვილი სასულიერო ხარისხში რომ უკურთხებია, ამას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ დედასთან განშორებისას ნეტარი არსება მშობელს პირჯვარს გადასწერს *«...და უჯმნა დედისაგან თჳსისა ამბორის-ყოფითა განშორებისათა და გამოსახა მას ზედა სასწაული ჯუარისა; და ესრეთ ლოცვითა ღმრთისა მიმართ და კურთხევითა განუტევა...»* [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.80]. უცილობელია,

ღმრთისმოსავი ქალწული სულიწმიდის მადლით შემოსილი დედათა დიაკონია.

ყოველივე თქმულის თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ სარას მემატიანე ნიაფორად მოიხსენიებს, ხოლო სიტყვა *ნიაფორი* ტაძრის მეთვალყურეს, ზედამდგომს ნიშნავს [აბულაძე,1973, გვ.328] და აგრეთვე იმიტომ, რომ დედათა დიაკონის მოვალეობას ეკლესიაში საქალებო შესასვლელის მეთვალყურეობა, მოგზაურთა მიღება, მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა და საეკლესიო შეკრებისას წესრიგის დაცვა წარმოადგენდა [Metzger, 2000, გვ.534-535], ცხადია, პატრიარქის დისშვილის დამრიგებელი, სარა ბეთლემელი, დედათა დიაკონი ყოფილა.

ეს რომ მართლაც ასეა, ამას რამდენიმე მაგალითიც ცხადყოფს: როდესაც ღმრთისმოსავი ქალწული გადაწყვეტს, აიღოს თავისი ჯვარი და შეუდგეს ქრისტეს გზას, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურვილის მიზანშეწონილობა ბიძამისის გადასაწყვეტია, პატრიარქის დისშვილი ნებართვას სარა ბეთლემელისაგან ითხოვს. ამასთანავე, ვინაიდან სარა ნიაფორი ნეტარი არსების გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ პატრიარქს აუწყებს, ნათელია, რომ სარა ერთსა და იმავე დროს მოვალეცაა და უფლებამოსილიც უფლის გზაზე მიმავალ დედაკაცთა მიზანდასახულობა მის უწმინდესობას მოახსენოს. ამასთან ერთად, ისიც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სარა ნიაფორს უფლება აქვს, აქტიურად ჩაერიოს იერუსალიმის პატრიარქის დის დაოჯახების საკითხში. რის შედეგადაც მისი უწმინდესობა თავის დას უშუალოდ დვინელი დედაკაცის რჩევის შესაბამისად გაათხოვებს. ნათქვამთან დაკავშირებით, უთუოდ დროულია, გავიხსენოთ, თუ როგორ ახასიათებს სარა ბეთლემელს მემატიანე: *«...არავინ ყოფილიყო და არცავინ იყო შორის იერუსალემისა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძუელისა* და *ახალისათა, ყოველსავე ზედამიწევნით...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.77]. ასე რომ, ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების გათვალისწინებით, ვინაიდან საქალებო საკითხების წარმართვა და გადაწყვეტილების მიღება სარა ნიაფორს ხელეწიფება,

აშკარაა, სარა ბეთლემელი ასევე დედათა დიაკონად ყოფილა კურთხეული.

მაშასადამე, ჩვენამდე მოღწეული, დედათა დიაკონის ცხოვრების ამსახველი ცნობების მიხედვით, აშკარად ჩანს, მას მერე, რაც ღმრთისმორჩილი ქალწულის მამა ბერად აღიკვეცა და მეუღლეს გაემიჯნა, სოსანას თავისი ასული დიაკონი ქალისათვის, სარა ბეთლემელისათვის, მიუბარებია, რომელთანაც უწინ თვითონაც მსახურობდა. ამგვარად, უაღრესად ღმრთისმოსავთა ოჯახში აღზრდილი, ბიძამისის, იერუსალიმის პატრიარქის, მუდმივი მზრუნველობით გარემოცული ქალწული თორმეტი წლისა რომ გამხდარა, დიაკონი ქალის შემწეობით სრულყოფდა ქრისტიანულ სნავლებას. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ მშობლების გარეშე დარჩენილი ქალიშვილი დედათა დიაკონის ზედამხედველობით იზრდებოდა.

ამიტომაც, გახდება თუ არა ცნობილი სარა ნიაფორისათვის ღმრთისმოშიში ქალწულის მიზანდასახულობა, გაემგზავროს უფლის კვართის მოსაძიებლად, დიაკონი ქალი მყისვე გაემართება პატრიარქთან, მისი დისშვილის განზრახულობის გამო მოსათათბირებლად.

უწმინდესის გადაწყვეტილების მიხედვით, დედათა დიაკონად აკურთხოს სათნო და უმანკო ქალწული, თავისთავად ნათელი ეფინება იმ გარემოებას, რომ ზაბილონისა და სოსანას ქალიშვილს, დიაკონად ხელთდასხმამდე ქალწულობის აღთქმა ჰქონია დადებული.

ცნობილია, რომ ქალწულობის აღთქმა მოასწავებს საკუთარი უბიწობის ღმრთისადმი მიძღვნით, საღმრთო ძალის თაყვანისცემას და ასეთნაირად, ცათა სასუფევლის დამკვიდრებას. გახსოვთ ალბათ, იესო ქრისტეს მიერ თქმული: «*რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნა, დაიტიენ*» [მათე, XIX,12]. ასე რომ, სარა ნიაფორთან მსახურებისას გამოუთქმელი სიკეთით აღვ-

სილ ქალწულს სულის მოსამზადებლად უფლისათვის ქალწულობის აღთქმა მიუცია.

მოგეხსენებათ, ქალწულობა არის ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი სათნოება, რომელშიაც სრულად აისახება სახარების მოძღვრება.

უდავოა, მცხეთაში გამგზავრების წინ ღმრთის მლოცველი ქალწულის სასულიერო ხარისხში ხელთდასხმა იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ უფლის უნაკერო კვართით დაინტერესებისას დედათა დიაკონად კურთხეულს ისეთი გადაწყვეტილება მიუღია, რომლის განხორციელება მხოლოდ სასულიერო ხარისხში ხელთდასხმულ დედაკაცს ხელეწიფება.

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს:

მას მერე, რაც ხელთდასხმით დედათა დიაკონის ხარისხში კურთხეული ქალწული დედას გამოემშვიდობება, ღმრთისმოშიში ქალწული თავისი გადაწყვეტილების განსახორციელებლად ეფესოდან მოსულ ქალს გაჰყვება.

როგორც მატიანიდან ირკვევა, ელენე დედოფლის მხევალი დედათა დიაკონს იქ მიიყვანს, სადაც თვითონ ცხოვრობდა. ასეთნაირად სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული დედათა მონასტერში აღმოჩნდება.

ეფესელი დედაკაცი და მისი თანამგზავრი ქალთა სავანეში გაიცნობენ კეთილშობილური წარმომავლობის ქალბატონს, სახელად – რიფსიმეს, და მის გამზრდელ გაიანეს.

რამდენადაც იმპერატორის დედასთან შესახვედრად მიმავალი ღმრთისმოსავი ქალწული, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ვერ შეხვდება ელენე დედოფალს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ელენეს ის გეგმა, რომელიც მისმა მსახურმა იცოდა, რაღაც მიზეზით თუ ცისა და ქვეყნის გამგებლის შთაგონებით შეუცვლია და აღარ მისულა იქ, სადაც ეფესელმა ქალმა ღმრთისმორჩილი ქალწული წაიყვანა.

ერთხელაც ეფესელი ქალბატონი გაიგებს, რომ მონასტერში ხშირად მავალი რიფსიმე და მისი ძიძა გაიანე ნათლისღების მადლით ახალ ადამიანად გარდაქმნას იერუსალიმიდან მოელიან.

მკითხველი უთუოდ მიხვდა, რიფსიმეს და გაიანეს სურვილი ჰქონიათ, სამოციქულო ეკლესიაში ხელთდასხმული პიროვნების ხელით მონათლულიყვნენ. მაშინ ელენე დედოფლის მსახური რიფსიმეს აუწყებს, რომ მისი თანამგზავრი დედათა დიაკონად იერუსალიმის სამოციქულო ეკლესიაშია კურთხეული. კეთილშობილი წარმომავლობის ქალბატონს სიხარული მოიცავს და სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს თავის სახლში წაიყვანს. რიფსიმესთან ცხოვრების პირველსავე წელიწადს რიფსიმე, მასთან ერთად გაიანე და მათ თანმხლებ ორმოცდაათ დიაცთაგან უმეტესობა დედათა დიაკონის ხელით მოინათლებიან და ახალ ადამიანებად გარდაქმნილნი, ღმრთისმორჩილ ქალწულთან ერთად დედათა მონასტერში გადასახლდებიან საცხოვრებლად.

ეჭვი არ არს, ამქვეყნიურ ცხოვრებას განრიდებული უმანკო დიაცები სიხარულით მოინათლებოდნენ იმ ღმრთის მლოცველი ქალწულისაგან, რომელიც თავად ქალწულობის აღთქმის ერთგული იყო და ამასთანავე, დედათა დიაკონად იერუსალიმის ეკლესიაში იქნა ხელთდასხმული.

ასე და ამრიგად, რიფსიმე, მისი გამზრდელი გაიანე და მათ თანმხლებ დიაცთა უმრავლესობა სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის ხელით მოინათლებიან. რაც კიდევ ერთხელ იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, რომ ღმრთისმოსავი ქალწული ხელთდასხმისას უდავოდ დედათა დიაკონად უკურთხებიათ.

ამის მერე, როდესაც რიფსიმე გაიგებს, რომ ამა ქვეყნის ერთ-ერთ მბრძანებელს იგი თავისი ცოლობის ღირსად მიუჩნევია, ქალწულებრივი ცხოვრების ერთგული ქალბატონი, მისი გამზრდელი გაიანე და ის დიაცები, რომლებიც ქების ღირს განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდნენ მონასტერში და მათთან ერთად დედათა დიაკონი ამქვეყნიური სიყვარულის უარმყოფელ თავიანთ სულიერ დას განსაცდელში არ მიატოვებენ და ერთობლივი დაუცხრომელი ლოცვით ევედრებიან უფალს შეწევნას.

მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით

უმანკო დიაცები ფარულად მიატოვებენ დედათა სავანეს და ამიერკავკასიისაკენ გაემართებიან.

მონასტრიდან გახიზნულთ და სომხეთში ლტოლვილთ კიდევ უფრო დიდი განსაცდელი დაატყდებათ თავს – უმანკო დიაცებს ქალწულობის აღთქმის ერთგულებისათვის ამქვეყნიური ცხოვრებით გაბრუებულნი დახოცავენ. ამ დროს შიშისაგან ფოთოლშეუმოსავი ვარდის ეკლიან ბუჩქს ამოფარებული, ღმრთის ნებით, სხვათათვის შეუმჩნეველი დედათა დიაკონი, სრულად გახელილი სულიერი თვალით მარადიულობაში გარდასულთა უბიწო გვამებიდან ამომავალი სულების შემხედვარე, მადლობას სწირავდა გამჩენს, რადგან უფალმა შეისმინა უმწიკლო არსებათა ლოცვა და მისი შემწეობით ქალწულები უბიწოების ერთგულნი დარჩნენ. თუმც საკუთარი გადარჩენით უფლის თანადგომაში ოდნავ შეეჭვებული ქალწული, კრძალვით შეჰღაღადებს ქრისტეს: *«...„უფალო, უფალო, რად დამიტეობ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა“. მაშინ ჴმა ესმა ზეგარდმო, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: „ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელ. აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ-კერძო, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა“....»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.84-85]. ციტირებული ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ უფალი წინასწარ აუწყებს დედათა დიაკონს: ისევე, როგორც უმანკო ქალწულთა სულები შეუერთდა მოწამეთა სულებს, ამნაირადვე მისი სულიც ზეცად იქნება აყვანილი, როდესაც მის გარშემო ეკალი ვარდის ფურცლის სურნელს გამოსცემს ანუ, როცა მისი წყალობით ეკალი ვარდად გადაიქცევა. თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ: *«მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და ვარდივით აყვავდება»* [ესაია XXXV,1]. ცნობილია, ეკლის ვარდად გარდაქმნა უდაბნოს წალკოტად გადაქცევას ნიშნავს. აქვე დავძენ, ღმრთისმეტყველთათვის უდაბნოში ვარდის აყვავება ეკლესიის კეთილდღეობას მოასწავებს. ყოველივე თქმულის გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მცხეთისაკენ მიმავალ დედათა დიაკონს უფალი მისი სამოღვაწეო არეალის – ქართველთა

ქვეყნის სამოთხედ გარდასაქმნელად მოუწოდებს.

ამასთანავე, ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, თუ რას ავალებს უფალი დედათა დიაკონს: ადექი და წადი ჩრდილოეთის მიმართულებით, სადაც მრავლადაა სამკალი, ხოლო მშრომელნი კი არ არიან: *«...აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ-კერძო, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა"...* . დარწმუნებული ვარ, გემახსოვრებათ: *«მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ»* [მათე IX,37]. მიხვდით, ალბათ, ის, ვინც უფლის სიტყვა იწამა, უკვე ღმერთთანაა და ამდენად სამკალთანაა შედარებული, ხოლო მუშაკი ისაა, ვინც სამკალს ძნად შეკრავს [Commentary,1871]. როგორც ხედავთ, გამოდის, რომ მაცხოვარი დედათა დიაკონს მოუწოდებს, ქართულენოვან სამყაროში არსებული ქრისტეს მოძღვრების მიმდევარნი გააერთიანოს.

ვინაიდან, ქრისტიანთა გამაერთიანებელი ერთადერთი სავანე წმიდა ეკლესიაა, რაღა თქმა უნდა, იბერიის დედაქალაქში – მცხეთაში მოციქულად წარგზავნილ ქალწულს მხსნელი ქრისტიანთა გაერთიანების მიზნით, ეკლესიის ასაგებად უხმობს.

მაშ ასე, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის შეკითხვაზე – თუ როტომ არ წაიყვანა უფალმა იგი თავის სულიერ დებთან ერთად იმ ქვეყნად, ზეციერი აუწყებს, რომ მაშინ წაიყვანს, როდესაც მისი ჩანაფიქრის თანახმად უდაბნოს სამოთხედ გარდაქმნის; რითიც მინიშნებულია უცილობელი ფაქტი – უფალმა, ღირსეულ ქალწულს ღმრთის ჩანაფიქრის აღსარულებლად მოუწოდა.

ამრიგად, დედათა დიაკონი, თვით უფლის მიერ მოწოდებული ქალწულია.

თუმცა თავი დავანებოთ ამას და ისღა ვთქვათ, რომ წმიდა ქალწული ზეციდან მინიშნებული ადგილისაკენ გაემართა, იმ ადგილისაკენ, რომლის მოხილვა თვითონაც ჰქონდა გადაწყვეტილი.

ცოტა ხნის შემდეგ მცხეთისაკენ მიმავალი უფლის მიერ მოხმობილი ქალწული სულის მოთქმის მიზნით ჯავახეთის

მთაზე, ფარავნის ტბასთან, დასასვენებლად წამოწვება და ძილში ღმრთივმიმადლებულ სიზმარს იხილავს. აქვე დავძენ, ღმრთივმიმადლებული სიზმრის ჩვენება იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ რწმენით გამორჩეულ ადამიანთ ებოძებათ ხოლმე რთულ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

და აი, მაშინ, როდესაც დედათა დიაკონს ეძინა: *«...მოვიდა კაცი ერთი ჩუენებით, ასაკითა ზომი და თმითა ნახევართმოსანი. და მოსცა მან წიგნი დაბეჭდული წმიდასა ნინოს და რქუა: „მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.86]. რამდენადაც ჩვენებისას ნანახ კაცს სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული შემდეგი სიტყვებით მიმართავს: *«...უფალო, მე დედაკაცი ვარ...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.86], უცილობელია, სიზმრის ნახვისას დედათა დიაკონს იესო ქრისტე გამოსცხადებია. ამგვარი თვალსაზრისის მართებულობას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ იერუსალიმიდან რაბინ ანას მიერ ელიოზისადმი მიწერილ წერილში იესო ქრისტე ასევე *«...ჰასაკსა საზომსა მიწევნულ...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.99] პიროვნებადაა დახასიათებული. ასეთნაირად, გამოთქმული დაკვირვებიდან გამომდინარე ნათელია, რომ თვით უფალი მოუწოდებს ღმრთისმოსავ ქალწულს დაბეჭდილი წიგნი იბერიის წარმართ მეფეს მიართვას, ანუ მის უდიდებულესობას სიტყვიერად მოახსენოს წიგნში მოცემული უწყება – *«...„მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.86]. იმისათვის, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას, რომ სიტყვა *„მირთუმა“* მატიანეში უფლის მიერ დედათა დიაკონისათვის გაშლილი გრაგნილით ნაუწყები ინფორმაციის სიტყვიერად შეტყობინების მნიშვნელობითაა ნახმარი, ამისათვის მაგალითს სახარებიდან დავიმოწმებ: *«და ჰრქუეს: გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა სიტყუაჲ მივართუათ მომავლინებელთა ჩუენთა: რასა იტყჳ შენთჳს?»* [იოანე, I, 22].

უფლის მიერ წარმოთქმული სიტყვების მოსმენის შემდგომ *«... წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა: „უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი, და არცა ვიცი*

*ენა, ვითარ მივიდე უცხოსა ქუეყანასა და უცხოთა ნათესავთა თანა"...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.86]. ციტირებული დიალოგის მიხედვით ირკვევა: სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს იესო ქრისტეს მიერ დაკისრებული დავალების აღსრულება იმდენად საპასუხისმგებლოდ ესახება, რომ დიაცად შობილი შეეჭვდება, გაართმევს თუ არა თავს ღმრთის ჩანაფიქრს და საღმრთო შიშით შეძრულს ცრემლი მოერევა. მაშინ უფალი მოვალეობის გრძნობით თავზარდაცემულ დედათა დიაკონს სულის საზრდოდ წიგნს გაუხსნის და მისცემს წასაკითხად: *«...მაშინ კაცმან განუჴსნა წიგნი იგი, და მისცა კითხვად, და წერილ იყო ჰრომაელებრ და ბეჭედი იყო იესოსი. დაწერილ იყვნეს წიგნსა მას შინა ათნი სიტყვანი...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.86].

დაბოლოს, მემატიანე შემდეგი სიტყვებით: *«...და ბეჭედი იყო იესოსი...»* გვამცნობს, რომ რომაელთა ენაზე ლათინურად ნაწერი ათი სიტყვის მართებულობას თვით იესო ქრისტე ადასტურებს.

ნათელია, ღმრთივმიმადლებული სიზმრით უფალი დედათა დიაკონს ღმრთის ჩანაფიქრს უცხადებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, ბეჭედდასმული გრაგნილი, გამაფრთხილებელი შინაარსის შემცველი წიგნია, რომელიც გარკვეულ დროს უნდა გაცხადდეს. ასეთნაირად, ირკვევა, რომ დედათა დიაკონისათვის გრაგნილის გახსნით სიბრძნით შენიღბული წინასწარ-მეტყველება ეუწყება წამკითხველს.

აი, რა წერია დედათა დიაკონისათვის გახსნილ წიგნში:

*ა) სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქუას დედაკაცი ესე.*

*ბ) არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ.*

*გ) წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-ცემდით მათ სახელითა მამისაჲთა, და ძისაჲთა, და სულისა წმიდისაჲთა.*

*დ) ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.*

*ე) სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქმოდის ყოველსა სოფელსა.*

*ვ) რომელმან თქუენი ისმინოს და შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.*

*ზ) რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა მისსა სიტყუასა ჭეშმარიტსა.*

*ჱ) ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოგწყჳდნენ ჴორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად.*

*თ) ჰრქუა მარიამ მაგდანელსა იესუ: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა".*

*ი) სადაცა ქადაგებდეთ სახელითა მამისაჲთა, და ძისაჲთა, და სულისა წმიდისაჲთა* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.86-87].

წიგნში, ჩვენი აზრით, ნაუწყებია შემდეგი:

ა) *«სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქუას დედაკაცი ესე»* – სწორედ, ამდაგვარი მოწოდებით მიმართა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს მარიამ ბეთანიელის სადიდებლად: *«...სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის რომელიცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა»* [მათე, XXVI,13]. ამდაგვარს იმიტომ ვამბობ, რადგან ღმრთის მლოცველი ქალწულისათვის გახსნილი წიგნის პირველი მუხლის მეორე ნაწილი *«...მუნცა ითქუას დედაკაცი ესე»* პერიფრაზია, მათეს სახარებიდან უკვე დამოწმებული მუხლის მეორე ნაწილისა *«... ითქმოდის რომელიცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა»*.

ასეთნაირად, უფლის მიერ გახსნილი გრაგნილის პირველი მუხლი, მათეს სახარების მსგავსად, ასევე დედაკაცის სადიდებლად მოგვიწოდებს, ოღონდ არა მარიამ ბეთანიელის, არამედ – სხვისი, მცხეთისაკენ მიმავალი სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულისა.

ნათქვამიდან გამომდინარე, ერთი რამის თქმა შეიძლება დაბეჯითებით: ვინაიდან X საუკუნის სასულიერო მოღვაწის იოანე-ზოსიმეს მიერ დაწერილ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებში *„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"*-ში უფლის კვართის

დაფვლის ადგილის მოსაძიებლად მიმავალი დედათა დიაკონი ალეგორიულად ასევე მარიამ ბეთანიელთანაა გაიგივებული *«...და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართაჲ...»*, უცილობელია, ქართულენოვანი ეკლესია მცხეთაში მოღვაწე ღმრთისმორჩილ ქალწულსა და მარიამ ბეთანიელს სულიერ დებად რაცხს.

მაშ ასე, წიგნის პირველი მუხლი, მათეს სახარებიდან ზემოთ დამოწმებული მუხლის *«ამინ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის რომელიცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა»* მეტაფორაა, რომელიც წამკითხველს შემდეგს აუწყებს: სადაც კი იქადაგება სახარება, იქვე, მუდამ დიდებით მოიხსენიება ამ წიგნში მოცემული წინასწარმეტყველების წამკითხველი დედაკაციო.

ამგვარად, ქრისტეს მიერ გახსნილი წიგნის საშუალებით ღმრთისმოსავ ქალწულს ეუწყება, რომ უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილის მოსაძიებლად მიმავალი დედათა დიაკონი, რომელსაც მაცხოვარმა, ქართველთა ქვეყანაში უდაბნოს სამოთხედ გარდასაქმნელად მოუწოდა, სახარების ქადაგებისას გამუდმებით ქება-დიდებით იქნება მოხსენიებული.

ბ) *«არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ»* – მეორე მუხლს პავლეს მიერ გალატელთა მიმართ ნათქვამი მიესადაგება: *«...არ არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუჲს მიერ»* [გალატელთა მიმართ, III, 28]. ამდენად, წიგნის მეორე მუხლი მკითხველს აუწყებს, რომ ახალი აღთქმის თანახმად, საღმრთო საქმეში მამაკაცსა და დედაკაცს შორის არანაირი განსხვავება აღარ არსებობს, ვინაიდან ისინი ერთნაირად არიან მოწოდებულნი ღმრთისაგან.

ნათქვამთან დაკავშირებით არსებითად იმის გათვალისწინება გვმართებს, რომ დედაკაცსა და მამაკაცს შორის სხვაობის უგულვებელყოფა რწმენის წყალობითაა შესაძლებელი. ასეთი რამ მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც დიაცი რწმენის მადლით ისეთი სიწმინდით შეიმოსება, როცა აღარ არსებობს

განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორის, რადგანაც სული არ განარჩევს სქესს. აი, სწორედ ამისთანა შემთხვევაში, კაცებიც და ქალებიც ქრისტესმიერ ერთიანდებიან.

მეორე მუხლის განმარტებისას ბუნებრივია, გავიხსენოთ უფლის მიერ მოხმობილი ქალწულის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოთქმული სიტყვები: «...*მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.90], რომელიც მის უწმინდესობას უფლის უნაკერო კვართის დაფვლის ადგილის მოსაძიებლად მიმავალი დისშვილისათვის გზის დალოცვისას უთქვამს. როგორც ხედავთ, დედათა დიაკონად კურთხეული ქალწული უფლის მიერ გადაშლილ წიგნს იმიტომაც კითხულობს, რადგან რწმენის მადლით მამაკაცთა სწორია.

ასეთნაირად, ახალ ადამიანებად გარდაქმნილნი, ქრისტესმიერი რწმენით, ღმრთის რჩეულნი არიან. ხოლო, ვინაიდან, მაცხოვარი ღმრთის ჩანაფიქრს რჩეულთა მეშვეობით აღასრულებს, ამიტომ ქრისტესმიერ მორწმუნეთ უფლის მოციქულის მოვალეობა ეკისრებათ.

*გ) «წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა, და ძისაჲთა, და სულისა წმიდისაჲთა»* – მესამე მუხლის წაკითხვისას მათეს სახარებაში ჩაწერილი ქრისტეს მიერ თქმული სიტყვა გვახსენდება: *«წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა»* [მათე, XXVIII,19]. მაშასადამე, მესამე მუხლის მიხედვით, ქრისტესმიერ მორწმუნეთ უფალი მოუწოდებს, ღმრთის ჩანაფიქრის აღსრულების მიზნით დამოძღვრონ და მონათლონ წარმართები, და იქვე განმარტებულია, რომ წმიდა ნათლობა ღმრთის ნების შესაბამისად «...*სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა*» აღესრულება.

ამრიგად, ნათელღებულნი საღმრთო მადლის წყალობით ქრისტეში ერთიანდებიან *«ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთსულ არს უფლისა თანა»* [ I კორინთელთა მიმართ, VI,17] და ამის გამო ქრისტესმიერი მორწმუნენი სულის ტაძრად გვევ-

ლინებიან *«არა უწყითა, რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან და არა ხართ თჳსთა თავთანი?»* [I კორინთელთა მიმართ, VI,19].

მაშ ასე: მესამე მუხლი წიგნის წამკითხველს მიანიშნებს, რომ ყოველი ქრისტიანი, რომელიც კეთილი საქმის გასაკეთებლად ილვწის, სულიწმიდითაა აღვსილი და თავის თავს აღარ ეკუთვნის.

დ) *«ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებად ერისა შენისა ისრაელისა»* – მეოთხე მუხლის ანალოგიური წინასწარმეტყველება ლუკას სახარებაშიცაა მოცემული: *«ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა»* [ლუკა, II,32]. მოგეხსენებათ, ეპითეტი „ნათელი" ძველ აღთქმაში მხსნელის ერთ-ერთი სახელთაგანია [ფსალმუნი, XLII,3; დანიელი, II,22], ახალ აღთქმაში კი ქრისტეს შეესაბამება. ხოლო, სახარების ისრაელი არის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევით ცხოვნებული, ჭეშმარიტი რწმენით აღვსებული, შეუმცდარი ხალხი. ამდენად, ქრისტეს მოსვლის შემდგომ ჭეშმარიტ ეკლესიას ახალი ისრაელი განასახიერებს, ვინაიდან ეკლესია ზეციური ისრაელის გაგრძელებაა.

ამგვარად, მეოთხე მუხლით ნაუწყებია, რომ წარმართებზე ქრისტეს ნათლის მოფენით, ცხოვნდება წმიდა ეკლესია.

ე) *«სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქმოდის ყოველსა სოფელსა»* – როგორც ვიცით, უფალი სასუფევლის შესახებ ქადაგებდა *«და მოჰვლიდა იესო ყოველსა გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის»* [მათე, IV,23]. აქვე იმის გათვალისწინებაც გვმართებს, რომ მხსნელი იმის თაობაზე ქადაგებდა, საიდანაც თვითონ მოვიდა და ასწავლიდა ადამიანებს: ვინც სიყვარულით ღმრთის ნებას დაუმორჩილებდა თავისი ცხოვრების წესს, ის ამქვეყნადვე ეზიარებოდა სასუფეველს. დარწმუნებული ვარ, გახსოვთ, თუ როგორ უპასუხა უფალმა ფარისეველთა შეკითხვას: *«ჰკითხეს მას ფარისეველთა: ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაჲ?*

*მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით; არცა თქუან: აჰა აქა, ანუ იქი. და აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს»* [ლუკა, XVII, 20-21]. ასე და ამრიგად, სასუფეველი ცათა მათშია, ვინც გულწრფელად ირწმუნა იესო, როგორც ძე ღმრთისა.

მეხუთე მუხლს მათეს სახარებაში დადასტურებული უფლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ესადაგება: *«ამინ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის რომელიცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა»* [მათე, XXVI,13]. ამ შემთხვევაში საუბარია დედაკაცზე, რომელმაც ძვირად ღირებული ზეთი უშურველად გაიმეტა ქრისტესთვის და თავისი საქციელით კეთილი სახელი მოიხვეჭა. ასე რომ, განსახილველი მუხლი შემდეგს გვამცნობს: სადაც იქადაგება ეს სახარება, რომელიც სასუფევლის სასიხარულო უწყებას წარმოადგენს, იქვე, მთელს ქვეყნიერებაზე, მოიხსენიეთ იმ დიაცის ღვაწლი, რომელმაც ძვირად ღირებული ზეთი უშურველად გაიმეტა ქრისტესთვის და თავისი ნამოქმედარით შარავანდედით შეიმოსაო.

იოანეს სახარების მიხედვით, დედაკაცი, რომელმაც ერთი ლიტრი სუფთა, ძვირფასი ნარდის ნელსაცხებელი სცხო იესოს და საკუთარი თმით შეუმშრალა ფეხები, უფლის მიერ მკვდრეთით აღდგენილი ოთხი დღის მკვდარი ლაზარესა და მართას და, მარიამი, იყო [იოანე, XII,1-11]. აქვე უსათუოდ უნდა გაგახსენოთ, საყოველთაოდ აღიარებული თვალთახედვა: ვინაიდან მათეს [მათე, XXVI, 6–13], მარკოზის [მარკოზი, XIV, 3-9] და იოანეს [იოანე, XII,1-11] სახარებებში მოთხრობილის თანახმად, ბეთანიაში, მაცხოვრისათვის ძვირფასი ნელსაცხებლის ცხების სიუჟეტში წარმოჩენილი ქალისადმი წაყენებული საყვედური და ქრისტეს მიერ მათი დაცვა ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე სიტყვებითაა გადმოცემული, ირკვევა, რომ სამივე შემთხვევაში დედაკაცი, რომელმაც ბეთანიაში სუფრასთან მჯდომ ქრისტეს თავზე ძვირფასი ნელსაცხებელი დაასხა, მკვდრეთით აღდგენილი ლაზარეს და – მარიამ ბეთანიელია.

ახლა კი მივუბრუნდეთ უფლის ნათქვამს: *«...სადაცა იქა-*

*დაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის რომელი-ცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა»* [მათე, XXVI,13]. მაშ ასე: მარიამ ბეთანიელმა, რომელმაც თვით უფლის ნათქვამის თანახმად იცოდა, თუ რა მოელოდა მაცხოვარს იერუსალიმში, ჯვარცმამდე ორი დღით ადრე მოწაფეებთან ერთად ბეთანი-აში ნადიმზე მყოფ იესოს ნელსაცხებელი სცხო. მოგეხსენებათ, უფალი ჯვარს აცვეს პარასკევს. როდესაც ქრისტე აღესრულა, შაბათიც დადგა. ოდეს კვირა დღე გათენდა, სამარხთან მი-სულ მენელსაცხებლე დედებს მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, მკვდრეთით აღმდგარი დახვდათ. ასე რომ, კეთილსურნელი მირონი იესოს გვამს ვერავინ სცხო. ამნაირად, ნათელია, მარი-ამმა წინასწარ განჭვრიტა ყოველივე და ჯვარცმამდე სიმბოლუ-რად გააპატიოსნა უფლის სხეული. აი, რას ამბობს მაცხოვარი მარიამის ნამოქმედარის გამო: *«რამეთუ დამასხა მაგან ნელ-საცხებელი ესე ჴორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ყო»* [მათე, XXVI,12]. ამ სიტყვებით მაცხოვარმა თავის მოწაფეებს მიმართა, რომლებიც მარიამის მოქმედებით განრისხდნენ და თქვეს: *«...რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ ამის? რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად დიდძალის და მიცე-მად გლახაკთა. ხოლო იესო გულისჴმა-ყო და ჰრქუა მათ: რაჲსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთი-ლი ქმნა ჩემდა მომართ. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ»* [მათე, XXVI,8-11]. ცხადზე უცხადესია, იესო ქრისტეს მოწაფეებმა ალ-ღოც კი ვერ აუღეს მარიამის საქციელს. არადა რა რწმენითა და სიყვარულითაა განპირობებული მარიამის ნამოქმედარი!

ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭირო არ არის იმის მტკი-ცება, რომ მარიამს სწამს უფლის აღდგომა. იმედია, დამერ-წმუნებით, მარიამ ბეთანიელი რწმენით მაცხოვრის მოწაფეებს აღემატა.

ერთი სიტყვით, მათეს სახარების ეს მუხლი მოგვიწოდებს, სადაც კი სახარება იქადაგება, ყოველთვის მოიხსენიეთ, თუ როგორ დაიმკვიდრა დედაკაცმა სასუფეველიო.

ყოველივე თქმულის შემდგომ, თქვენი ყურადღება მინდა

მივაქციო იმ გარემოებას, რომ გაშლილი გრაგნილის მეხუთე მუხლი უსრულობის შთაბეჭდილებას ტოვებს – *«სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქმოდის ყოველსა სოფელსა»* აშკარაა, სათქმელი ბოლომდე არ არის თქმული. ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ უფლის მიერ ღმრთისმოშიში ქალწულისათვის გახსნილი წიგნის მეხუთე მუხლი *«სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქმოდის ყოველსა სოფელსა»*, თავისთავად გვახსენებს წიგნის პირველ მუხლს *«სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქუას დედაკაცი ესე»*, რომელიც მოგვიწოდებს სახარების კითხვისას მუდამ დიდებით მოვიხსენიოთ მარიამ ბეთანიელის მსგავსი მაცხოვრის მოსიყვარულე სული – უფლის განუყოფელი კვართის მოსაძიებლად მცხეთისაკენ მიმავალი დედათა დიაკონი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღმრთისმორჩილი ქალწულისათვის გახსნილი წიგნის მეხუთე მუხლს მათეს სახარებაში დადასტურებული უფლის მიერ წინასაწარი ჭვრეტისას წარმოთქმული სიტყვა ესადაგება: *«ამინ გეტყჳ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის, რომელიცა-ესე ყო მაგან საჴსენებელად მაგისა»* [მათე, XXVI,13] – ასეთნაირად, მათეს სახარებაში ჩაწერილი ეს მუხლი იმას გვაუწყებს, რომ სადაც კი იქადაგება სახარება, მუდამ დიდებით იქნება მოხსენიებული მარიამ ბეთანიელის ნამოქმედარიო, რომლის არსსაც, როგორც მოგახსენეთ, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომამდე ვერავინ ჩასწვდა. ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, თუკი უფლის ნათქვამს ჩავუკვირდეთ, ნიშანდობლივი გახდება, რომ მოციქულად წარგზავნილი ქალწულისათვის გახსნილი წიგნის მეხუთე მუხლით სათქმელი მარიამ ბეთანიელის ნამოქმედარის შეხსენებითაა წარმოჩენილი. გამოდის, რომ მარიამ ბეთანიელის დარად უფლის უნაკერო კვართის დაფლის ადგილის მოსაძიებლად მიმავალი დედათა დიაკონი, განგების ნებით, ისეთ ღვთიურ საქმეს მოიმოქმედებს, რომელიც დრომდე არ გამჟღავნდება (ისევე, როგორც მარიამის ნამოქმედარი).

ნათელია, ვინაიდან ნათქვამი სიბრძნითაა შენიღბული, ამ-

დენად, მეხუთე მუხლით სათქმელი დაფარულადაა თქმული.

ვ) *«რომელმან თქუენი ისმინოს და შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი»* – მეექვსე მუხლი პარალელს მათეს სახარებაში პოულობს: *«რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი»* [მათე, X,40]. უეჭველია, უფლის მიერ გახსნილი წიგნის მეექვსე მუხლი სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს შეახსენებს, რომ ვინც ქრისტეს წარმოგზავნილს მიიღებს, ის მაცხოვარს აღიარებს, და ამნაირად, ვინც იესოს მხსნელად შერაცხავს, ის ღმერთს აღიარებსო.

ადვილი მისახვედრია, ღმრთისმოსავი ქალწული, რომელიც თანახმად უფლის მოწოდებისა: *«... „ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელ. აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ-კერძო, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა“....»*, უყოყმანოდ საღმრთო საქმის აღსასრულებლად გაემართება და ასევე, სხვა შემთხვევაშიც მაცხოვრის მოთხოვნის შესაბამისად – *«...„მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“...»* დაუყოვნებლივ მხსნელის დავალების შესასრულებლად გაეშურება, რა თქმა უნდა, ქრისტეს აღიარებით ღმერთს აღიარებს.

ასე და ამრიგად, ყოველივე თქმულის მიხედვით, ირკვევა, რომ დედათა დიაკონს ღმერთი იფარავს, რამდენადაც ის ღმრთის რჩეული, უფლის მოსიყვარულე სულია.

ამრიგად, გახსნილი წიგნის ეს მუხლი დედათა დიაკონს მოაგონებს, რომ უფლის ნების შესაბამისად მოქმედთ ღმერთი მფარველობს.

ზ) *«რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა მისსა სიტყუასა ჭეშმარიტსა»* – მეშვიდე მუხლში მოთხრობილი შემთხვევა ლუკას სახარებაშიც დასტურდება: *«და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჯდა ფერჴთა თანა იესოჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა»* [ლუკა, X,39]. უფრო სრულყოფილად კი ეს ამბავი სახარება-

ში ასეთნაირადაა მოთხრობილი: *«და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისაჲ სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თჳსა. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჯდა ფერჴთა თანა იესოჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა. ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავალისა მსახურებისათჳს, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად? არქუ მას, რაჲთა შემეწეოდის მე. მიუგო იესო და ჰრქუა მას: მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს; აქა ერთისა არს საჴმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან»* [ლუკა, X,38-42]. თავისთავად ცხადია, მეშვიდე მუხლით ნაუწყებია, რომ მარიამ ბეთანიელი უშუალოდ ქრისტესგან ისმენდა ჭეშმარიტ სიტყვას. ნათელია, მხსნელის სიტყვის მსმენელი, რა თქმა უნდა, სახარებას ისმენდა. უდავოა, უფლის სიტყვის ყურადღებით შემმეცნებელი მარიამი მოძღვრის მეშვეობით ღვთიურ საიდუმლოს ეზიარა.

როგორც ცნობილია, მარიამი მაცხოვრის მოსიყვარულე სულია. ისიც ვიცით, რომ უფალსაც უყვარდა მარიამი: *«უყუარდა იესოს მართა და დაჲ მისი და ლაზარე»* [იოანე, XI,5]. მაშინ, როდესაც მარიამის საყვარელი ძმა – ლაზარე გარდაიცვალა, უნუგეშოდ დამწუხრებული ჭირისუფალი მაცხოვარს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: *«...უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი»* [იოანე, XI,32]. ცხადია, მარიამისათვის იესო ქრისტე ღმრთის ძეა. ამდენად, მარიამი იესოში ხედავს არა მხოლოდ ოჯახის მეგობარსა და მოძღვარს, არამედ – ღმერთს.

აშკარაა, მარიამ ბეთანიელმა, რომელმაც იწამა მხსნელი, სამუდამოდ დაიმკვიდრა ცათა სასუფეველი და ამდენად ის აღარ იხილავს სიკვდილს უკუნისამდე. ყოველ ქრისტიანს კარგად მოგვეხსენება უფლის მიერ თქმული: *«ამინ, ამინ გეტყჳ თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს*

*იგი სიკუდილისაგან ცხოვრებად»* [იოანე,V,24]. რამდენადაც, უფლის ნათქვამის თანახმად – *«მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია...»*, ესე იგი მარიამ ბეთანიელი ღმრთის ნაწილია, ვინაიდან თავად ღმერთი ამბობს, რომ ის თავისი ხალხის ნაწილია: *«მოაკლდა გულსა ჩემსა და ჴორცთა ჩემთა; ღმერთი გულისა ჩემისაჲ და ნაწილ ჩემდა არს ღმერთი უკუნისამდე»* [ფსალმუნი, LXXII, 26]. ნათელია, მარიამი, რომელიც ღმრთის ნაწილია, სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს და მარადიულს ემსახურება.

ასეთნაირად, უფლის მიერ გახსნილი წიგნი წამკითხველს მიანიშნებს, რომ მარიამ ბეთანიელის სულიერ დად შერაცხული დედათა დიაკონი ასევე მარადიულის მსახურია და ამიტომ, როგორც ღმრთის ნაწილი, არც ის იხილავს სიკვდილს უკუნისამდე.

ტ) *«ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოგწყჳდნენ ჴორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად»* – მერვე მუხლში ნაუწყები მოწოდება მათეს სახარებაშიც მოიპოვება: *«და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყჳდნენ ჴორცნი, ხოლო სულისა ვერ ჴელ-ეწიფების მოკლვად...»* [მათე, X,28]. ასე რომ, მერვე მუხლი დედათა დიაკონს კიდევ ერთხელ ახსენებს იმას, რასაც ახალი აღთქმა გვასწავლის: ჭეშმარიტი მორწმუნის სული უკვდავია.

ცხადზე უცხადესია, ღმრთისმოსავი ქალწული, რომელიც იესო ქრისტეს სიტყვას ისმენს და მისი სიტყვის შესაბამისად მოქმედებს, ჭეშმარიტი რწმენა აქვს. ხოლო იმათ, ვინც უფლის სიტყვას ისმენს და იცავს, სიკვდილისა არ უნდა ეშინოდეთ, ვინაიდან, მხსნელის სიტყვის თანახმად, მათი სული უკვდავია: *«ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ვინმე სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე»* [იოანე,VIII,51].

თ) *«ჰრქუა მარიამ მაგდალელსა იესუ: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა“»* – მეცხრე მუხლის მსგავსი ამბავი იოანეს სახარებაშიცაა აღწერილი: *«ჰრქუა მას იესო: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩე-*

*მისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა»* [იოანე, XX,17]. მოგეხსენებათ, ღმრთის სული მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეს წარმართავს, რამდენადაც მარტოოდენ ჭეშმარიტ მორწმუნეს ესმის ღმრთის ხმა.

და ერთია კიდევ: *«...აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა»* [იოანე, XX,17] – ამ სიტყვებით იესო ქრისტე შეგვახსენებს, რომ მისი მამა ყველა ჩვენთაგანის მამაცაა, ვინაიდან, ღმერთი მწყალობელი ყველას საკუთარ შვილად მიიჩნევს და სწორედ ამიტომ მაცხოვარი ჩვენი ღირსეულთ ღმრთის წინაშე შუამდგომლობს.

მარიამ მაგდალელი ნერვული ავადმყოფობით იყო დაავადებული და უფალმა განკურნა. გამოჯანსაღებისთანავე, მადლიერების გრძნობით აღვსილი მარიამი, მყისვე გაჰყვა ქრისტეს, რათა ამქვეყნიური სამსახური გაეწია მხსნელისათვის და მკვდრეთით აღდგომამდე არ განშორებია იესოს. მას შემდგომ, რაც იუდეველებმა ქრისტე შეიპყრეს და მაცხოვრის უახლოესი მოწაფეები მიმოიფანტნენ, მარიამს არ მიუტოვებია უფალი. შიში, რომელმაც მოციქული პეტრე აიძულა, სამჯერ უარეყო ქრისტე, მარიამ მაგდალელის სულში სიყვარულმა დათრგუნა. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ჯვარცმისას მარიამ მაგდალელი არ განშორებია უფალს და მწუხარებით შეძრწუნებული, გამუდმებით ღმრთისმშობლის გვერდით იმყოფებოდა. სხვებთან ერთად წმიდა მარიამ მაგდალელიც მიაცილებდა უფალს უკანასკნელ გზაზე, როდესაც იოსებ არიმათიელმა მაცხოვრის ცხედარი სამარხში გადაასვენა.

მკვდრეთით აღმდგარი უფალი პირველად მარიამ მაგდალელს გამოეცხადა. მაცხოვარმა სწორედ მას მოუწოდა, ეუწყებინა მოწაფეებისათვის სიკვდილზე გამარჯვება.

ვინაიდან მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეს ძალუძს უფლის სულის გაგება, მარიამ მაგდალელი, რომელსაც ღმრთის სულისა ესმის, ასევე ჭეშმარიტი მორწმუნეა და ამგვარად მისი სული უკვდავია. რამდენადაც სულით უკვდავნი ცათა სასუფ-

ეველში არიან, ცხადია, მარიამ მაგდალელიც ზეციურ სასუ-ფეველსაა ნაზიარები.

ამნაირად მეცხრე მუხლი მარიამ მაგდალელისადმი უფლის მოწოდების საფუძველზე ქრისტეს ბეჭდით დაბეჭდილი წიგნის წამკითხველს შეახსენებს, რომ მაცხოვარმა დედაკაცს მიმარ-თა, რათა მან აუწყოს მხსნელის მოწაფეებს უფლის აღდგომის შესახებ. ერთი სიტყვით, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის შემდგომ უზენაესი დავალება სწორედ დედაკაცს მიეცა, ვი-ნაიდან ქრისტემ მარიამ მაგდალელი წარგზავნა მოციქულად, რათა მარიამ მაგდალელმა, რომელმაც იხილა ღმერთი და ის-მინა ღმრთის სიტყვა, მაცხოვრის აღდგომის სიხარული და რწმენა ქრისტეს მოწაფეებს გადასცეს, იმისათვის, რომ მისმა მოწაფეებმა სხვებიც აზიარონ ამ სიხარულს.

და, აი, ნიშანდობლივია, რომ უფლის მიერ გახსნილი წიგ-ნის წამკითხველ დედათა დიაკონსაც ესმის ღმრთის სულის. ამის თქმისას, ცხადია, მყისვე ის გვახსენდება, რომ უფალი სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: «...„*ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს-ეგე ეკა-ლი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურ-ცელ სულნელ. აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ-კერძო, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა*“....». ამ სიტყვების მოს-მენისთანავე ღმრთისმოსავი ქალწული ზეციერის მიერ დასახუ-ლი მიმართულებით გაეშურება. სხვა შემთხვევაში, როდესაც მესია დედათა დიაკონს ავალებს, ქართველთა მეფეს სიტყვი-ერად მოახსენოს წიგნით ნაუწყები ინფორმაცია – «...„*მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა*“...», ღმრთისმორჩილი ქალწული შიშისაგან ატირდება. ნათელია, რამდენადაც სული-წმიდის მადლით შემოსილ ქალწულს ღმრთის ხმა ესმის, ამდე-ნად მას ჭეშმარიტად სწამს და ამიტომ მისი სული უკვდავია. ყოველივე თქმულის მიხედვით, დედათა დიაკონი უფლის მოსი-ყვარულე სულია, რომელიც ცათა სასუფეველსაა ნაზიარები.

გამოდის, რომ რამდენადაც სასუფევლის დამკვიდრება ღმრთის რჩეულთა ხვედრია, ხოლო მაცხოვარი ღმრთის ნებას რჩეულთა მეშვეობით აღასრულებს, სწორედ ამიტომ უფლის

განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილის მოსაძიებლად მარიამ მაგდალელის მსგავსად დედათა დიაკონი იგზავნება.

ნათელია, მეცხრე მუხლი წამკითხველს მიანიშნებს, რომ დედათა დიაკონი, მარიამ მაგდალელის დარად, იესო ქრისტეს დავალების აღსასრულებლადაა წარგზავნილი.

ი) მეათე მუხლში შემდეგი წერია: *«სადაცა ქადაგებდეთ სახელითა მამისაჲთა, და ძისაჲთა, და სულისა წმიდისაჲთა»*. ამდენად წიგნის ბოლო მუხლი შეგონებაა, რომელიც გვამცნობს, რომ მოციქულს ძალაუფლება ღმრთისაგან ეძლევა და ამიტომ სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მქადაგებელი ღმრთის ნებით ქადაგებს. და, აი, მაგალითიც: მარიამ მაგდალელი იმიტომ კი არ მიდის უფლის მოციქულებთან მხსნელის აღდგომის საუწყებლად, რადგან თვითონ იხილა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა, არამედ იმიტომ, რომ ქრისტემ დაავალა – წასულიყო მოწაფეებთან სასიხარულო ამბის შესატყობინებლად.

ასეთნაირად, უფლის მიერ გახსნილი წიგნის წამკითხველ ღმრთისმოსავ ქალწულს ეუწყება, რომ უფლის უნაკერო კვართის დაფვლის ადგილის მოსაძიებლად მიმავალი დედათა დიაკონი ღმრთის ნების აღმსრულებელია.

მას მერე, რაც, ასე თუ ისე გავერკვიეთ, თუ რა წერია გრაგნილში, ცხადად გამოვლინდა, რომ დედათა დიაკონისათვის გახსნილი გრაგნილის ათ სიტყვაში მოცემულია იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისას ადამიანური თვალით აღქმული ხედვა, რაც ღმრთივმიმადლებულ სიზმარში ნანახის უტყუარობის დასტურია – *«...და ბეჭედი იყო იესოსი...»*

ამრიგად, ყოველივე ზემოღნიშნულის მიხედვით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დედათა დიაკონისათვის ძილში ჩვენებისას უფლის მიერ გადაშლილი წიგნი ღმრთის ჩანაფიქრს გვაუწყებს: თუ როგორ ცხოვნდება წმიდა ეკლესია და გვისახავს ხსნის გზას.

შევთანხმდეთ, უფლის მიერ გაშლილ გრაგნილში განცხადებული წინსწარმეტყველებით ნაუწყებია, რომ ღმრთის მლოცველი ქალწულის შემწეობით, რომელსაც რწმენის წყალობით ის-

ეთი სიწმინდისათვის მიუღწევია, როდესაც საღმრთო საქმეში დედათა დიაკონი მამაკაცთა თანასწორია, ცხოვნდება წმიდა ეკლესია და წმიდა ეკლესიის კეთილმსახური ერი გაბრწყინდება.

თანაც წიგნს ლაიტმოტივად თან სდევს აზრი, რომ ამ ქვეყნად ყოველივე ღმრთის ნების შესაბამისად ხორციელდება.

დაბოლოს, მას შემდგომ, რაც ნათლად წარმოჩნდა, რომ დაბეჭდილი წიგნი დედათა დიაკონს თვით უფალმა გაუხსნა, ცხადი ხდება, რომ ჩვენება, რომელიც სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა იხილა, არის ისეთივე გამოცხადება იესო ქრისტესი, როგორიც მას ღმერთმა მისცა და მხსნელმა კი მოციქულ იოანეს აუწყა, რათა ეჩვენებინა თავისი მონებისათვის, რაც უნდა მოხდეს მომავალში – *«გამოცხადებაჲ იესო ქრისტესი, რომელ-იგი მოსცა მას ღმერთმან ჩუენებად მონათა მისთა საქმეთა მათ, რომელთაჲ ჯერ-არს ადრე აღსრულებაჲ, და გამოუცხადა მოვლინებითა ანგელოზისა მისისაჲთა მონასა მისსა იოანეს»* [გამოცხადება, I,1].

ასე და ამრიგად, მხსნელის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულისათვის გახსნილი გრაგნილის ათი სიტყვა წარმოადგენს ღმრთისმოშიში ქალწულის გამოცხადებას, რომლითაც ღმრთის სიტყვა განეცხადა დედათა დიაკონს, რათა ღმერთმა სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს აჩვენოს, თუ რა მოხდება მომავალ დროში.

ამდენად, ღირსეული ქალწულისათვის ბეჭედდასმული გრაგნილის გახსნით უფალი ღმრთისმორჩილ ქალწულს ავალებს, ქართველთა წარმართ მეფეს სიტყვიერად მოახსენოს უფლის მიერ დედათა დიაკონისათვის ნაუწყები გამოცხადება.

დააკვირდით, მემატიანე სათქმელის შენიღბვის მიზნით, „*ესე*“ ნაწევარით გვაუწყებს, თუ რა უნდა მოახსენოს სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა მეფეს *«...მიართუ ესე* (ესე იგი – გამოცხადება) *მცხეთას მეფესა მას წარმართთასა...»*. თვალსაჩინოა, რომ უფალმა თავისი გადაწყვეტილებით: *«...„მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“...»* ჯავახეთის ზეგანზე ღირსეული ქალწული დაავალდებულა,

ღმრთივმიმადლებულ სიზმარში ნაუწყებ გამოცხადებას აზიაროს მირიან მეფე, რათა მისი უდიდებულესობის მიერ ღმრთის მლოცველი ქალწულის გამოცხადების სრულყოფილი შემეცნების წყალობით დაჩქარდეს ქართველთა მეფის, როგორც ქართველი ხალხის ღმერთთან წინამდგომის, გაქრისტიანება, იმისათვის, რომ დედათა დიაკონს საგანგებო დავალების აღსრულებისას ქართველთა ხელმწიფე თანამოაზრედ ეგულებოდეს.

როგორც კი წიგნის წაკითხვა დაამთავრა, დედათა დიაკონი მიხვდა, რომ ჩვენება ზეციდან იყო. თვალები ზეცად აღაპყრო და ღმერთს შეწევნა სთხოვა.

თქვენი არ ვიცი, მე კი თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ დროს დედათა დიაკონს იესო ქრისტეს ნათქვამი სიტყვა გაახსენდა: *«ჰრქუა მას იესო: არავინ დასდვის ჴელი საჴნველსა და ჰხედავნ იგი გარეშეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა»* [ლუკა,IX,62], წამოდგა და ისე, რომ უკან არც მოუხედავს, მცხეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

დასასრულ სხვა კითხვაც აღიძვრის: სახარებაში მოხსენიებული რომელი დედაკაცი იგულისხმება დედათა დიაკონის პროტოტიპად იესო ქრისტეს მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულისათვის გახსნილ წიგნში?

უფლის მიერ მოწოდებული ქალწულის პირველსახის წარმოსაჩენად მკითხველის ყურადღება თავდაპირველად იმ ფაქტზე გვსურს გავამახვილოთ, რომ მცხეთისაკენ მიმავალი ღმრთისმოშიში ქალწულისათვის, გახსნილი წიგნის თანახმად, სახარების ქადაგებისას დიდებით მოსახსენიებელი დედაკაცი სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულისათვის გახსნილ გრაგნილში სახელდებით არ მოიხსენიება, რაც ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს დიაცი არც წმიდა წერილში უნდა იხსენიებოდეს საკუთარი სახელით. ამასთანავე, სახარების ქაგაგებისას სადიდებელი დედაკაცის პირველსახის გამოსარკვევად იმის გათვალიწინებაც გვმართებს, რომ თავად დედათა დიაკონმა ქალწულობის აღთქმით თავი უფალს მიუძღვნა, ის უფლის სიტყვასაა მინდობილი, მას თვით უფალმა მოუწოდა და კეთილ-

მსახურებით მან ცათა სასუფეველი დაიმკვიდრა.

ნათქვამს თუ შევაჯამებთ, გამოდის, რომ დედათა დიაკონის პროტოტიპი სახარებაში უნდა იყოს ღმრთისმოსავი დიაცი, რომელიც წმიდა წერილში საკუთარი სახელით არ იხსენიება, თანაც ქალწულობის აღთქმით თავი უფალს მიუძღვნა, მასთან ერთად უფლის სიტყვასაა მინდობილი, რომელსაც თვით უფალმა მოუწოდა და ამსთანავე ცათა სასუფეველსაა ნაზიარები.

საქმე ისაა, რომ ღმრთის მლოცველი დიაცი, რომელიც წმიდა წერილში საკუთარი სახელდებით არ იხსენიება; ამასთან ერთად სახარების მიხედვით, ქალწულობის აღთქმით თავი უფალს მიუძღვნა; თანაც უფლის სიტყვასაა მინდობილი; რომელსაც ზეციდან ხმა მოუწოდებს და იმავდროულად ცათა სასუფეველი დაიმკვიდრა, ათი ქალწულის შესახებ უფლის მიერ თქმულ იგავში მოხსენიებული ბრძენი ქალწულია.

შეგახსენებთ იგავს: «*მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი, და ხუთნი სულელნი. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. ხოლო შუაღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროჲსღა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეკშა კარი. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგკღე ჩუენ. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამინ გეტყჳ თქუენ,*

*არა გიცნი თქუენ. იღვძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს»* [მათე, XXV, 1-13].

ყოველივე თქმულის შემდგომ ნათელია, რომ სახარების ქადაგებისას სადიდებელი დედაკაცის პროტოტიპი ბრძენი ქალწული ყოფილა.

რამდენადაც უფლის განუყოფელი კვართის მოსაძიებლად შემართული ღმრთისმოშიში ქალწული ასევე არ მოიხსენიება საკუთარი სახელით და თავად დედათა დიაკონმაც ქალწულობის აღთქმით თავი უფალს მიუძღვნა, ვინაიდან ისიც უფლის სიტყვასაა მინდობილი, მასაც თვით უფალმა მოუწოდა და იმავდროულად ცათა სასუფეველსაა ნაზიარები, უცილობელია, მცხეთისაკენ მიმავალი დედათა დიაკონი – ბრძენი ქალწულია.

მოგეხსენებათ, ბრძენი ქალწული ქრისტეს სძალს განასახიერებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უფლის სძალი ეკლესიის განსახიერებაა.

ამთავითვე უნდა განვმარტო: როგორც ეკლესიაა ერთი, ასევე ერთია ქრისტეს სძალი.

აქვე დავძენ, ბრძენი ქალწულები, რომლებიც ანთებული ლამპრებით ელიან სიძეს, მეორედ მოსვლის მოლოდინს წარმოსახავენ და, ასეთნაირად, ბრძენი ქალწულები, მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფ შეუმცდარ, ჭეშმარიტ ეკლესიას განასახიერებენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრძენი ქალწულების მსგავსი, მცხეთისაკენ მიმავალი ღმრთისმოსავი ქალწული ქრისტეს სძალია და მეორედ მოსვლის მომლოდინე ეკლესიას განასახიერებს.

ეს რომ ასეა და მცხეთისაკენ მიმავალი ბრძენი ქალწული ეკლესიას განასახიერებს, ამაში დასარწმუნებლად, ნება მიბოძეთ, გაგახსენოთ დედათა დიაკონის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც უფლის უნაკერო კვართის

დაფვლის ადგილის მოსაძიებლად გამგზავრების წინ მის უწმინდესობას თავისი დისშვილისათვის უთქვამს: *«...მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.90]. ქრისტიანთ კარგად მოგვეხსენება, რომ მოციქულ პავლეს მიერ ეფესელთა მიმართ გაგზავნილ წერილში ფრაზა: *«... მამაკაცად სრულად...»* [ეფესელთა მიმართ, IV, 13] ეხება როგორც დედაკაცებს, ისე – მამაკაცებს, რომელნიც სულიერი სრულყოფის საფუძველზე რწმენითა და ქმედებით ქრისტესმიერ გასრულდნენ და ამნაირად, ქრისტეს მისტიკურ სხეულს – ეკლესიას განასახიერებენ. შეგახსენებთ ნაწყვეტს ეფესელთა მიმართვიდან: *«და მან მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაჲსწარმეტყუელნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა, ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა;»* [ეფესელთა მიმართ, IV, 11-13]. დიახაც, სრულიად კანონზომიერია, რომ უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი დედათა დიაკონი, რომელმაც ქრისტეს ღმრთად შერაცხვით მამა ღმერთი აღიარა და ღმრთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, სახარებაში მოხსენიებული მარიამ ბეთანიელისა და მარიამ მაგდალელის სწორი, უფლის მოსიყვარულე სულია – ბრძენი ქალწულია და მეორედ მოსვლის მომლოდინე ეკლესიას განასახიერებს.

მაშ ასე: დედათა დიაკონის სახით, თვით ეკლესიის განსახიერება მიემართება ქართველთა ქვეყნისაკენ.

ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ უფლის ნების შესაბამისად, მაცხოვრის განუყოფელი კვართის მოსაძიებლად მიმავალი დედათა დიაკონი იესო ქრისტეს მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულია.

მომქანცველ მგზავრობას სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული იბერიის სამეფოს დედაქალაქის მახლობლად მდებარე ქალაქში – ურბნისში მისვლით დაასრულებს.

იერუსალიმიდან მცხეთისაკენ მიმავალი ქართული ენის

არმცოდნე დედათა დიაკონი ებრაული ენის გამო ურბნისში ქართველთა ქვეყანაში იმიგრირებულ ჰურიათა სამლოცველოში შევა და ქართულენოვანი სამყაროს შეცნობის მიზნით მათთან ერთ თვეს დაჰყოფს.

ერთხელაც უფლის მიერ მოხმობილი ქალწული დაინახავს, რომ ურბნისიდან უამრავი ხალხი დაიძრება მცხეთისაკენ, წარმართთა მთავარი ღვთაების – არმაზისათვის მსხვერპლის შესაწირავად. სხვებთან ერთად დედათა დიაკონიც გაემართება კერპთაყვანისმცემელთა თავშეყრის ადგილისაკენ.

სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის ქართველთა დედაქალაქში მისვლის ეპიზოდს ისე გადმოგცემთ, როგორც მემატიანემ დაწერა: *«...მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად საჴმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა. და წარჰყვა წმიდა იგი მათ თანა. ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, წიაღ მოგუთასა ჴიდსა ზედა, და დადგეს მუნ. და ხედვიდა წმიდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მოგუებასა და ცთომასა; და ტიროდა წმიდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა, და იგლოვდა უცხოებასა თჳსსა.*

*და აჰა ესერა, ხვალისა დღე იყო ჴმა ოხრისა და საყჳრისა; გამოვიდა ერი ურიცხჳ, ვითარცა ყუავილნი ველისანი, და ზარი საშინელი გამოვიდოდა, და ჯერეთ მეფე არღა გამოსრულ იყო. და ვითარ მოიწია ჟამი, იწყო სივლტოლა და მიდამომალვა ყოვლისა კაცისა, შიშითა საფარველსა თჳსსა შეივლტოდა. და აჰა მყის გამოვიდა დედოფალი ნანა, და ნელიად მოვიდოდა ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თჳთოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თუალშეუდგამითა ხილვითა...».* ამ დროს მთები გაივსო ხალხითა და დროშებით. კერპთმსახურთა დღესასწაულის მნახველი უფლის მიერ მოხმობილი ქალწული გაოგნებული შესცქეროდა, თუ როგორი ენით გამოუთქმელი კრძალვითა და რიდით იყვნენ გამსჭვალულნი მეფე, მთავრები და მთელი ხალხი მათ წინაშე აღმარ-

თული კერპებისადმი [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.88-89].

სწორედ ამიტომ, ვინაიდან დედათა დიაკონმა იხილა, რომ ქართველთა მეფე და მთავარნი დამბადებლის მიტოვების შემდგომ კვლავ ქვის, ხის, სპილენძისა და ბრინჯაოსაგან დამზადებულ კერპებს აღიარებდნენ ღმრთად და ყოვლის შემოქმედად, რის გამოც, ისინი ცოცხლად შთანთქმულიყვნენ ჯოჯოხეთში, მოციქულად წარგზავნილმა ქალწულმა იწყო ტირილი და ოხვრა, რადგან ღმრთის მიმართ შეცდენილთა მიზეზით, ქართველთა ქვეყანას ნათელი მიეფარა და ბნელეთი დაეუფლა [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.90]. ნანახით შეძრწუნებული ბრძენი ქალწული გაიხსენებს მისთვის გზის დალოცვისას ბიძამისის, იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს: *«...მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ...»* და რათა ღმრთის შეწევნით ქართველთა ქვეყანაში ჭეშმარიტი რწმენა აღორძინდეს, აღაპყრობს მზერას ზეცად და წარმოსთქვამს: უფალო, შენი სიძლიერის წინაშე გამტყუნდნენ შენი მტრები და შენი სულგრძელობის წყალობით ბედავენ შენი მოძულენი მოიფიქრონ და აკეთონ ის, რასაც აკეთებენ ამ ქვეყნად. ვინაიდან შენ მათ არ უგულვებელყოფ, რამეთუ, შენ, კაცი შენს მსგავსად შექმენი, რომლისთვისაც განკაცდი, ერთი წმიდისა სამებისთაგანი, ქვეყნიერების ცხოვნებისათვის. ამიტომ წყალობით მოხედე ქართველთა მოდგმას, ხოლო მათი ქვეყნის ურჩი მბრძანებლების სულები შერისხე და ჯოჯოხეთში ჩაყარე. მამაჩემის და დედაჩემის ღმერთო, შენს მხევალსა და მათ ნაშობს მიჩვენე შენი ცხოველმყოფელი ძალა ამ უკიდეგანო ქვეყანაზე, რათა ყველამ იხილოს, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთად ხარობს, რათა უკლებლივ ყველამ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს სცეს თაყვანი იესო ქრისტეს მეოხებით, რომელსაც ჩვენ მადლობას მივაგებთ და ვადიდებთ [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.90-91].

დაასრულა თუ არა სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა ლოცვა, მყისვე დასავლეთიდან ამოვარდა ქარიშხალი, გაისმა შემზარავი ქუხილის ხმა და ზეცა საშინელების მომასწავებლად მოიღრუბლა. მომხდარით შეშინებულმა ხალხმა

თავშესაფარს მიაშურა. ამ დროს წარმართული ღვთაებების ადგილსამყოფელში მოვიდა ძლიერი სეტყვა, ხოშკაკალამ დაამსხვრია და გაანადგურა კერპები, ხოლო დედათა დიაკონი უვნებელი დარჩა [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.91].

შეწყდა თუ არა სეტყვა და ქარიშხალი, ბრძენმა ქალწულმა მაღალი რტომრავალი ხის ქვეშ ააგო ქრისტეს ჯვარი ნიშად და ექვსი დღის განმავლობაში ღმერთს მადლობას სწირავდა ლოცვის შესმენისათვის, თანაც შესთხოვდა უზენაესს, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია ქართველთა მეფე და მისი ქვეშევრდომნი [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.92].

თავზარდამცემი ჭექა-ქუხილის მეორე დღეს მეფე მირიანი და ყოველი წარმართი მას მერე, რაც გულდასმითი ძიების მიუხედავად თავიანთ ღმერთებს ვეღარ მოიძიებენ, კერპების განადგურებით შეძრწუნებულნი გლოვას მიეცემიან [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.91].

ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა ერთი ამბავი: მას შემდგომ, რაც დედათა დიაკონის მიერ აღვლენილი ლოცვის შედეგად წარმართული სალოცავები დაიმსხვრევა, მომხდარით დაინტერესებული სეფექალი, სახელად შროშანა, კერპების განადგურების ადგილის მოსახილველად გაემართება და კერპთაყვანისმცემელთა კულტმსახურების აღსრულების მიდამოებში მისული გაოცდება, როდესაც იქ მლოცველ ბრძენ ქალწულს იხილავს. გავიხსენოთ, რას გვაუწყებს მემატიანე: *«...მაშინ მოვიდა სეფექალი ერთი, სახელით შროშანა და იხილა იგი ხესა მას ქუეშე; განკჳრდა და მოიყვანა ბერძულად მეტყუელი დედაკაცი, და ჰკითხა გ ზა მისი. ხოლო წმიდამან ნინო აუწყა და უთხრა ყოველი გ ზა და საქმე მისი, თჳნიერ ხოლო დედაძმათა მისთა არა აუწყა, რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თჳსი. მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა მისთჳს, აღევსნეს თუალნი ცრემლითა და აიძულებდა მას, რათამცა წარჰყვა სახიდ სამეუფოდ. ხოლო წმიდამან ნინო არა ინება წარსლვა მის თანა, და წარვიდა შროშანა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.93]. ამრიგად, სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულთან გასაუბრების მიზნით სეფექალი მოუხმობს ბერძნულად მოლაპარაკე

მანდილოსანს, ვისი მეშვეობითაც წარჩინებული ბანოვანი დედათა დიაკონს ქართველთა სამშობლოში მოსვლის მიზეზს გამოჰკითხავს. ღმრთისმოსავი ქალწული თავის მხრივ თანამოსაუბრეს ვრცლად გააცნობს საქმის ვითარებას და საკუთარ თავს ტყვედ წარუდგენს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, მაშინ, როდესაც ბრძენი ქალწულის ლოცვა-ვედრების წყალობით, ღმრთის შეწევნით წარმართული კერპები მოისპო და მეფე-დედოფალთან ერთად ყოველი კერპთაყვანისმცემელი შეძრწუნებულია სათაყვანებელი ღმერთების შემუსვრით, მირიან მეფის სამეფოში მცხოვრები დიდგვაროვანთა სახლის წარმომადგენელი შროშანა სრულიადაც არა წუხს წარმართული კერპების დამსხვრევას. სეფექალი არათუ არ დარდობს კერპთაყვანისმცემელთა სალოცავის განადგურებას, არამედ იმას, ვისი ლოცვითაც მოისპო ქართველი ხალხის მიერ ღმერთებად შერაცხული კერპები, თავის ოჯახში მიიპატიჟებს.

შროშანას საქციელი უდავოდ იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ დიდებული წარმომავლობის ქალბატონი კერპთაყვანისმცემელთა კონფესიის წევრი არ არის და მათგან განსხვავებით სრულიად სხვა სარწმუნოების აღმსარებელია. ხოლო ის, რომ უფლის მიერ მოხმობილ ქალწულს, რომლის ლოცვითაც დაილეწა წარმართული კერპები, შროშანა სახლში მიიპატიჟებს, ეს მოვლენა დედათა დიაკონისა და შროშანას სულიერ სიახლოვეზე უნდა მეტყველებდეს.

დედათა დიაკონის სულიერი კონსტიტუციის წარმოსაჩენად საიტერესოა, რომ როცა ბრძენ ქალწულსა და დიდებული წარმომავლობის ქალბატონს შორის გამართული საუბრისას შროშანამ უფლის მიერ მოხმობილ ქალწულს *«...ჰკითხა გზა მისი...»*, ღმრთისმოშიშმა ქალწულმა *«...აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი, თკნიერ ხოლო დედა-ძმათა მისთა არა აუწყა, რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თკსი. მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა მისთკს, აღევსნეს თუალნი ცრემლითა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ. 93]. თავდაპირველად იმის შესახებ, რომ შროშანასთან საუბრისას თავად ღმრთის-

მოსავი ქალწული მოიხსენიებს საკუთარ თავს „*ტყუედ*". დიახ, უიმედოდ დასნეულებული დედათა დიაკონისათვის სალომე უჯარმელის, პეროჟავრ სივნიელისა და ერისმთავრების მიერ დასმული შეკითხვიდან ნათლად ჩანს, რომ თვით ბრძენი ქალწული უწოდებს თავის თავს *ტყვეს*: «*...რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.127]. აღსანიშნავია, რომ იგივენი, ამავე შეკითხვას ღირსეულ ქალწულს განმეორებით სხვანაირადაც უსვამან: «*...და ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე ანუ ვითარ უცხო...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.127]. მემატიანის ცნობითაც დაუცხრომლად ქრისტეს რჯულის მქადაგებელი წმიდანი «*... არავის აუწყებდა, თუ: „ვინ ვარ, ანუ სადათ მოვალ", არამედ ტყუედ იტყოდა თავსა თჳსსა...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.106]. ამდენად, როგორც წერილობითი წყაროებიდან ცხადად წარმოჩნდა, ღმრთისმოსავი ქალწულის ზედწოდება „*ტყუე*" თვით დედათა დიაკონისაგან მომდინარეობს, ვინაიდან მისი პიროვნებით დაინტერესებულთ თავად სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული წარუდგენს საკუთარ თავს „*ტყუედ*".

საყურადღებოა, რომ ბრძენი ქალწულის ლოცვით განკურნებული ნანა დედოფალი ასევე „*ტყუე*"-ს ეპითეტით იხსენიებს თავის მხსნელს: «*...„არა არს სხუა ღმერთი, თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი"...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.105].

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პალესტინის კესარიის ეპისკოპოსის, გელასი კესარიელის ხუცესის – ტირანიუს რუფინუსის და სხვათა ბერძნულ-ლათინურ შრომებში, ქართულენოვან სამყაროში მოღვაწე დედათა დიაკონი სახელდებით არ იხსენიება და მხოლოდ „*ტყვე-ქალი*"-ს ეპითეტითაა მოხსენიებული [გეორგიკა,1961].

დედათა დიაკონის ტყვეობის არსის შეცნობის მიზნით მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის ერთგული მოწაფისათვის – სიდონიასათვის და დედათა დიაკონის მიერ ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცეული სალომე უჯარმელისათვის, პეროჟავრ სივნიელისა და

ერისმთავრებისათვის უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის „*ტყვეობა*“ სხვათა ტყვეობიდან განთავისუფლების საწინდარია.

შეგახსენებთ, ბრძენ ქალწულსა და მის საუკეთესო მოწაფეს შორის გამართული საუბრისას, როდესაც ღმრთისმოსავი ქალწული თხოვნით მიმართავს ძველი აღთქმის უბადლო მცოდნეთა შთამომავალს, აბიათარის ქალიშვილს, განუმარტოს ლოცვისას ნანახი ხილვა, ღმრთისმეტყველების საკითხებში ფრიად განსწავლული სიდონია ღირსეულ ქალწულს ასე მიუგებს: «*...„უცხოო და აქა შობილო ტყუეო და ტყუეთა მჴსნელო, უწყი, რამეთუ შენ მიერ მოიწია ახალი ესე ჟამი...„*» [ მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.101]. ამის მერე იმასაც მოგაგონებთ, თუ რას ეუბნებოდნენ და ეკითხებოდნენ უიმედოდ დასნეულებულ დედათა დიაკონს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული სალომე უჯარმელი, პეროჟავრ სივნიელი და ერისმთავარნი: «*...რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.127]. მოგეხსენებათ, უფალი ცოდვის ტყვეობაში მყოფთ, დატყვევებითვე ათავისუფლებს. ნება მიბოძეთ, გაგახსენოთ: «*აღჰჴედ მაღალსა, წარმოსტყუენე ტყუჱ და მოიღე ნიჭები კაცთა შორის, რაჲთა ურჩნიცა სამკჳდრებელად იყვნენ*» [ფსალმუნი, XVII,19]. მაშასადამე ცოდვის ტყვეობაში მყოფთა დამატყვევებელი უფალი ბოროტებას საკუთარი იარაღითვე ამარცხებს. ცხადზე ცხადია, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი დატყვევებითვე გამოიხსნის დატყვევებულთ, რათა ერთ დროს ცოდვილებსაც მიეცეთ შესაძლებლობა, ეზიარონ ცათა სასუფეველს.

ნათქვამის მიხედვით ნათელია, ტყვე, რომლის ტყვეობაც სხვათა ტყვეობიდან გამოხსნას განაპირობებს («*...ტყუეო და ტყუეთა მჴსნელო...*»; «*...რასა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო...*»), შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ღმრთის რჩეული, რომელიც არა ქრისტესათვის, არამედ ქრისტეს მსგავსად ცხოვრობს.

უცილობელია, ტყვეობით სხვათა ტყვეობიდან გამომხსნელი შესაძლებელია იყოს მარტოდმარტო ღმრთის ერთგული,

რომელიც ამქვეყნად დღენიადაგ ამოწმებს ღმერთს და ასეთნაირად სხვათა მხსნელად გვევლინება.

ამგვარად, დედათა დიაკონი იმდენადაა „ტყვე", რამდენადაც ქრისტეს მიუძღვნა საკუთარი თავი.

უდავოა, მხოლოდ უფლის ტყვეობაში მყოფი მიუახლოვდება ღმერთს. ყოველმა ქრისტიანმა ზეპირად ვიცით ქრისტეს ნათქვამი: *«მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ, არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ»* [იოანე, XIV,6].

ასეთნაირად, უფლის ტყვეობა ღმრთის მიერ ადამიანებისათვის მინიჭებული დიდი მადლია და ყოველი რჩეული ღმრთისადმი საკუთარი თავის მიძღვნით ნებაყოფლობით ხდება უფლის ტყვე.

და, აი, ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გაგახსენდეთ, რომ მას შემდგომ, რაც მირიან მეფემ იესო ქრისტე იწამა, კერპთაყვანისმცემლებმა მეფის მიერ უფლის ძალის აღიარება მისი უდიდებულესობის ტყვეობად ჩათვალეს: *«...და ისმა ჴმა ძლიერი – „მირიან მეფე შეიპყრესო"...»* [ მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.113]. ნათელია, ის, ვინც უფალს მიუძღვნა თავი, ქრისტეს „პატიმრად", ანუ „ტყუედ" მოიაზრება *«ამისთჳს მე, პავლე, კრული ქრისტე იესოჲსი თქვენ წარმართთათჳს»* [ეფს. III,1]. ( ამასთანავე იხილეთ: ეფს. IV, 1; VI ,20; კოლ. IV,3,18; ფილიპ. I,7,13,17; ფილიმ. 9;13 ).

ასე რომ, როგორც ირკვევა, დედათა დიაკონი, რომელმაც ქალწულებრივი აღთქმით თავისი თავი ქრისტეს მიუძღვნა, მისი ვინაობით დაინტერესებულთ საკუთარ რაობას, სულიწმიდის შთაგონებით დაწერილი ღვთაებრივი საგალობლის – „ფსალმუნის" ენით განუმარტავს – რათა მის გარშემო მყოფ ძველი აღთქმის მიმდევართ ნათელი წარმოდგენა შეუქმნას საკუთარი მოვალეობის შესახებ.

ამასთანავე, ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ სეფექალმა ბრძენი ქალწულის ტყვეობაში ყოფნა იმავდროულად უცხოობაში ყოფნად აღიქვა: *«...რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თჳსი. მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა მისთჳს, აღევსნეს თუალნი ცრემლითა...»*.

მართალია, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული უცხო ქვეყნიდანაა მოსული და ამის გამო ზოგიერთ შემთხვევაში მისი მისამართით ნახმარი სიტყვა „*უცხო*" უბრალოდ ქართველთა ქვეყანაში უცხო სამყაროდან მოსულ ქალწულზე მიგვანიშნებს, მაგრამ, მოდით, ახლა ისიც გავიხსენოთ, თუ როგორ მიმართავენ წმიდანს სალომე უჯარმელი, პეროჟავრ სივნიელი და ერისმთავარნი: «...*და ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე ანუ ვითარ უცხო*». დამოწმებული შეკითხვიდან გამომდინარე თვალსაჩინოა, რომ არა მხოლოდ ღმრთისმოსავ ქალწულს მიმართავდნენ „*უცხო*"-ს ეპითეტით, არამედ თვით დედათა დიაკონიც საკუთარ თავს „*უცხოდ*" მოიხსენიებდა. რაც მთავარია, ზემოთ მოტანილი ციტატის მიხედვით ნათლად ჩანს, დედათა დიაკონი იმდენადაა *უცხო*, რამდენადაც *ტყვედ* მოიხსენიებს საკუთარ თავს. ყოველივე თქმულის მიხედვით, ცხადია, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის უცხოობა მისსავე ტყვეობასთანაა გაიგივებული.

მოგეხსენებათ, ღმრთის რჩეულნი იმ გარემოს არ მიეკუთვნებიან, სადაც ცხოვრობენ, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ საღმრთო მადლით გამორჩეულნი ამქვეყნად არიან დაბადებულნი, საკუთარ თავს ამ ქვეყანას არ მიაკუთვნებენ.

ასეთნაირად, სანამ ამქვეყნად არ დამყარდება ცათა სასუფეველი, ჭეშმარიტი ქრისტიანები ამქვეყნად უცხონი არიან. სადავო არ უნდა იყოს, ის, ვინც ქალწულებრივი აღთქმით საკუთარი თავი უფალს მიუძღვნა, ამ სამყაროს აღარ მიეკუთვნება, რამდენადაც ღმრთის ნების აღსასრულებლად არაამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობს.

ვინაიდან ქალწულებრივი აღთქმით – საკუთარი თავის ქრისტესმიერი დატყვევებით ცოდვის ტყვეობიდან სხვათა გამომხსნელი დედათა დიაკონის ეპითეტი „*უცხო*" და მისი სულიერი მდგომარეობის განმსაზღვრელი სიტყვა „*ტყვე*" ბრძენ ქალწულთან დაახლოებულთა წარმოსახვაში გაიგივებულია, გამოდის, რომ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული, რომელსაც საკუთარი თავი ქრისტეს ტყვედ დაუსახავს, იმდენადაა უცხო, რამდენადაც არაამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვ-

რობს. ვფიქრობ, დედათა დიაკონის მიერ საკუთარი თავის ტყვედ მოხსენიების ფაქტი (*«...ხოლო წმიდანმან ნინო აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი, თჳნიერ ხოლო დედა-ძმათა მისთა არა აუწყა, რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თჳსი. მა-შინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა მისთჳს, აღევსნეს თუალ-ნი ცრემლითა...»*), ზემოთ უკვე წარმოჩენილი შეხედულების გამოძახილი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ დიდებული წარმომავლობის ქალბატონი ბრძენი ქალწულ-ის ტყვეობის შესატყვისად, დედათა დიაკონს უცხოდ მყოფად აღიქვამს, რის გამოც შროშანას სიბრალულის გრძნობა აღეძ-ვრება ღმრთისმოსავი ქალწულისადმი, იმას გვაფიქრებინებს, რომ ქრისტესმიერი დაფვლით დატყვევებული დედათა დია-კონისათვის მთავარია, ამქვეყნად იცხოვროს როგორც უცხომ, რათა სანამ ამქვეყნად ცათა სასუფეველი დამყარდებოდეს, წუთისოფლის საზრუნავისაგან განთავისუფლებით საკუთარ თავში დაიტიოს ცათა სასუფეველი.

ამრიგად, შროშანას ცრემლი, რომელიც ღმრთისმოსავი ქალწულისადმი თანაგრძნობითაა გამოწვეული, იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სეფექალმა ამოიცნო ბრძენი ქალწულის ტყვეობისა და უცხოობის არსი და ასეთნაირად, მისი სარწმუ-ნოებრივი მრწამსი შეიცნო.

ასე რომ, ვინაიდან დიდებული წარმომავლობის ქალბა-ტონი, არა მარტო ჩასწვდა ქრისტიანული კონფესიის წარმო-მადგენლის სულიერ კონსტიტუციას, არამედ თანაუგრძნობს კიდევაც ბრძენ ქალწულს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სეფექალი და დედათა დიაკონი ერთისა და იმავე სარწმუ-ნოების აღმსარებლები ყოფილან. მაშასადამე, თვით შროშანაც ქრისტიანია.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ სუ-ლიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული შროშანას დად მოიხ-სენიებს *«...მაშინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი შროშანა...»* [მოქც. ქართ.,1963, გვ.122]. ამასთან დაკავშირებით მრავლის მიმანიშ-ნებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ დედათა დიაკონი დად მხოლოდ და მხოლოდ თავის უსაყვარლეს მოწაფეს, სიდო-

ნიას მიმართავს: *«...და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა აბიათარისსა...»* [მოქც. ქართ.,1963, გვ.123] და იმ დედაკაცებს, რომლებიც მისი მოწაფეები არიან და სვეტის აღსამართავად ღმრთისმორჩილ ქალწულთან ერთად ლოცულობენ. *«...ნუ გეშინინ, დანო ჩემნო...»* [ მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ. 112] – ეუბნება მათ მოციქულად წარგზავნილი ქალწული. ქრისტიანთ კარგად მოგვეხსენება უფლის მიერ თქმული: *«რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცითაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი»* [მათე, XII, 50; მარ. III, 35]. უცილობელია, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის მიერ შროშანას დად მოხსენიება სეფექალის ქრისტიანობას უნდა ადასტურებდეს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ შროშანას სრულიად უდარდელი დამოკიდებულება კერპთაყვანისმცემელთა წარმართული სალოცავების განადგურების გამო; თანაც, დედათა დიაკონის „*ტყვეობისა*“ და „*უცხოობის*“ არსის გაცნობიერების წარმოჩენით, სეფექალის ქრისტიანულ საკითხებში ფრიად განსწავლულობა და იმავდროულად ბრძენი ქალწულის ბაგეთაგან შროშანას დად მოხსენიება დიდებული წარმომავლობის ქალბატონის ქრისტიანობაზე უნდა მეტყველებდეს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ადრექრისტიანულ ხანაში ცალკეული პიროვნებისათვის შერქმეული დედათა სახელი „*შროშანა*“ საყოველთაო პატივისცემით განსაკუთრებით ქრისტეს მიმდევართა შორის სარგებლობდა.

უინტერესო არ უნდა იყოს, რომ ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანა ქრისტიანთათვის სიწმინდის, ქალწულობის სიმბოლოდ მოიაზრება.

სახელდობრ, დედათა დიაკონის დედასაც ხომ ყვავილ შროშანას არამეული სახელწოდებიდან *šoošanna / šwšanna / sosanna / swsanna* ნაწარმოები სახელი – „*სოსანა*“ ერქვა, ისევე, როგორც სახელი „*შუშანა*“ ჰქონდა შერქმეული V საუკუნეში ქართულ სამყაროში აღსრულებულ წმიდა შუშანიკს.

მაშასადამე, ის ფაქტი, რომ სულიწმიდის მადლით შემო-

სილი ქალწულის მოღვაწეობით დაინტერესებულ წარჩინებულ ქალბატონს ქრისტიანთა შორის სიწმიდის სიმბოლოდ აღიარებული ყვავილის სახელწოდება – *შროშანა* ჰქვია, სეფექალის ქრისტიანულ ორიენტაციაზე უნდა მეტყველებდეს.

ცხადია, ქართულ სამყაროში მცხოვრები დიდებული წრის წარმომადგენელი შროშანა, რომელიც ვერ გამოელაპარაკება ებრაულ [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ. 88], სომხურ [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ 85], ლათინურ [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ 86] და ბერძნულ [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ 93] ენებზე მეტყველ დედათა დიაკონს და მასთან სასაუბროდ ბერძნული ენის მცოდნე დედაკაცს მოიხმობს, უცილობლად ქართველი წარჩინებული ბანოვანი უნდა ბრძანდებოდეს, რის თაობაზეც უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ სეფექალის სახელი „*შროშანა*" ყვავილის სახელწოდების ქართული ფორმის შესატყვისია.

ნათელია, ქართველი სეფექალი, სახელად შროშანა, რომელიც სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს ისე თანაუგრძნობს, როგორც თავის სულიერ დას, ქრისტიანი ქალბატონია.

ასე და ამრიგად, დედათა დიაკონის მცხეთაში მიბრძანებამდე იბერიის სამეფოში ქრისტეს სარწმუნოება გავრცელებული ყოფილა და უფლის მიმდევრები ქართულენოვან მოსახლეობაშიც უცილობლად არსებობდნენ.

შროშანას მრწამსის წარმოჩენის შემდგომ, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტად უნდა გაეწიოს ანგარიში აბო თბილელის წამებაში იოანე საბანის ძის მიერ ჩაწერილ ინფორმაციას: «... *რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსლა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა...*». ქრისტეს რჯულზე მოქცეული არაბი, აბოს მარტვილობა 786-790 წლებშია დაწერილი და თუ ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე ავტორის ცნობას გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ 286-290 წლებში და უფრო ადრეც ქართულ სამყაროში ქრისტეს მიმდევრები ყოფილან [კეკელიძე,1960, გვ. 129-130], რის მართებულობაზეც უნდა მეტყველებდეს ბრძენი

ქალწულის იბერიის სამეფოში მისვლამდე შროშანას სახით კონკრეტული ქრისტიანის არსებობის ფაქტიც.

ამასთანავე, ქართველთა ქვეყანაში III საუკუნისათვის, ქრისტიანთა წარმოსაჩენად, საინტერესოდ გვესახება დედათა დიაკონის ერთგული მოწაფის სიდონიას მონათხრობი: «...*და იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხრანით-კერძო, და მოუჴდა უჩინო იგი მტერი, ეშმაკი და შთაუგდო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა; და იგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა და მახკლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა. და რქუა მეფემან ოთხთა თანამზრახველთა მისთა: „ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტის ყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებასა მათსა და მიუშჳთ ჩუენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქუეყანასა ჩუენსა: რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკჳრველებათა მათ. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსავნი ჯუარცმულისანი და უმეტეს შეუდგეთ მსახურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა ქართლისათა; ვამხილოთ ნანას, ცოლსა ჩემსა, შენანება და დატეობა სჯულსა ჯუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიყუარული მისი და სხუათავე თანა წარვწყმიდო იგიცა“. და დაუმტკიცეს განზრახვა მისი თანამზრახველთა მათ, რამეთუ მჴურვალედ იყვნეს იგინი საქმესა ამას, და ნებვიდა პირველითგან და ვერ იკადრებდეს გაცხადებად...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.108-109]. როგორც ციტირებული ნაწყვეტიდან ნათლად წარმოჩნდა, იბერიის სამეფოში უფლის მიმდევართა გააქტიურებით შეშფოთებული მირიან მეფე ხელქვეითებთან მოთათბირებამდე იხსენებს, თუ რა დიდი რუდუნებით ემსახურებოდა კერპებს უწინ და კერპებისადმი მსახურებისას «...*მახკლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა...*». ვინაიდან, მუხრანში სანადიროდ წასვლამდე ბევრად უფრო ადრე, დედათა დიაკონის მიერ ნანა დედოფლის განკურნებისას მისი უდიდებულესობა ქრისტიანული სარწმუნოებით დაინტერესებულა «...*განკკრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მრავალგზის ჰკითხავნ*

*ჰურია-ყოფილსა მას აბიათარს ძველთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.105] და რამდენადაც მცხეთაში ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებისას, მირიან მეფე დედათა დიაკონს და მის მოწაფეებს წინააღმდეგობას არ უწევდა *«...რამეთუ ასმიოდა სასწაული ქრისტეს სჯულისა საბერძნეთით და სომხითით, და არა დააბრკოლებდა იგი* (ესე იგი – მეფე) *ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.102-103] და რაკიღა, ქრისტეს მრწამსის ქადაგებისათვის ჩასაქოლავად განწირულ აბიათარს ქართველთა ხელმწიფე სიკვდილისაგან გამოიხსნის *«...აღიძრნეს ჰურიანი აბიათარს ზედა, რათამცა ქვა დაკრიბეს მას. ხოლო მირიან მეფემან მიავლინნა მსახურნი და განარინა აბიათარ სიკვდილისაგან, რამეთუ მირიან მეფესა აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955. გვ. 102-103], მაშასადამე, დედათა დიაკონის ზეგავლენით ქრისტიანული სარწმუნოებით დაინტერესებული ქვეყნის მბრძანებლის მიერ გახსენებული ამბავი *«...მახკლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა...»*, ქართველთა ქვეყანაში ბრძენი ქალწულის მოღვაწეობამდე, მირიან მეფის თაოსნობით ქრისტიანთა დევნა-შევიწროებაზე უნდა მეტყველებდეს, რაც თავის მხრივ, დედათა დიაკონის მცხეთაში მისვლამდე ბევრად ადრე, მირიან მეფის სამეფოში ქრისტიანთა არსებობას უნდა ადასტურებდეს.

ნათქვამთან დაკავშირებით მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ოქმში ასახული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქართულ სამყაროში ანდრია პირველწოდებულის ქადაგების შემდგომ უფლის მრავალი მიმდევარი აღსრულებულა, როგორც ქრისტესათვის წამებული [დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545].

გამოთქმული მოსაზრების მართებულობაში დასარწმუნებლად, თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ, რომ 260-303 წლების ახლო ხანებში დაწერილი მარტიროლოგიური თხზულების – *„კოლაელ ყრმათა წამების"* თანახმად, იბერიის სამეფოში, კერძოდ, მდინარე მტკვრის სათავეში, უფრო ზუსტად

კი კოლას ხეობაში, III საუკუნისათვის ქრისტიანულ რელიგიას მრავალი მიმდევარი ჰყოლია. ქრისტიანული მოძღვრებისათვის წამებულთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოების მიხედვით დედათა დიაკონის მცხეთაში მისვლის დროისათვის მტკვრის ხეობის ქრისტიანებს იმდენად დიდი შესაძლებლობები ჰქონიათ, რომ არა მხოლოდ საკუთარი საკულტო ნაგებობის მფლობელები ყოფილან, არამედ სახარებაც ჰქონიათ თარგმნილი ქართულ ენაზე და ღმრთისმსახურებასაც ქართულად აღასრულებდნენ. თანაც, უფლის სადიდებლად წამებული ქართულენოვანი ეკლესიის წევრები წმიდანებად ჰყავდათ შერაცხილი, რომელთა ღვაწლის ქების შესხმის მიზნით, ნაწარმოებიც დაუწერიათ [ჩოლოყაშვილი, 2003, გვ. 50-53].

ყოველივე თქმულის შემდეგ, ბუნებრივად გვახსენდება ბრძენი ქალწულის მიერ ზეციდან მოსმენილი, იგავურად გამოთქმული მოწოდება: *«...აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ-კერძო, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა"....».* ვინაიდან, წარმოთქმულ სიტყვაში, იბერიის სამეფოში არსებული ქრისტეს მიმდევრები პირობითად სამკალს არიან შედარებულნი, ასეთნაირად, ქართველთა ქვეყანაში სამოღვაწეოდ გაგზავნილი, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის მისამართით – ქრისტეს მიმდევართა გასაერთიანებლად გაკეთებული მოწოდების თანახმად, ირკვევა, რომ დედათა დიაკონის მოღვაწეობის აღმწერი მემატიანისათვის, მცხეთაში ბრძენი ქალწულის მიბრძანებამდე, მირიან მეფის სამეფოში ქრისტიანების არსებობა კარგად ცნობილი ფაქტია.

მაშასადამე, სიდონიას მონათხრობიდან გამომდინარე, ინფორმაცია, რომ იბერიის სამეფოში ღმრთისმორჩილი ქალწულის მისვლამდე, ქრისტიანობა ქართველთა შორის გავრცელებული ყოფილა და იმ დროს უფლის მიმდევრები იმდენად ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, რომ ხელისუფლებას საჭიროდ მიუჩნევია, მათზე მახვილი აღემართა, ისტორიულ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.

ეს რომ მართლაც ასეა და დედათა დიაკონის მცხეთაში მისვლამდე იბერიის მკვიდრთ ქართულ ენაზე თარგმნილი

სახარება ჰქონიათ და ღმრთისმსახურებას ქართულად აღასრულებდნენ, იქიდანაც ირკვევა, რომ დიდებული წარმომავლობის შროშანას ქრისტიანული მრწამსი ბერძნულენოვანი სახარებით რომ ჰქონდეს შეთვისებული, ანდა ბერძნულ ენაზე აღსრულებული ლიტურგიის მონაწილე იყოს, მაშინ ქრისტიან სეფექალს არ გაუჭირდებოდა, მცხეთაში მისულ ბერძნულ ენაზე მეტყველ ღმრთისმოსავ ქალწულს ბერძნულად გამოლაპარაკებოდა. რამდენადაც დედათა დიაკონთან გასაუბრების მიზნით მისული ღმრთისმეტყველების საკითხებში ფრიად განსწავლული სეფექალი იძულებულია, ღმრთისმორჩილ ქალწულთან ბერძნული ენის მცოდნე მიიყვანოს, ნათელია, რომ შროშანა სახარებას ბერძნულ ენაზე არ ყოფილა ნაზიარები და არც ბერძნულენოვან ლიტურგიაში მონაწილეობდა.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით საეჭვო არ უნდა იყოს, რომ დედათა დიაკონის მცხეთაში მისვლამდე ქართულ სამყაროში ქრისტიანობა გავრცელებული ყოფილა და ღმრთისმსახურებაც ქართულად აღესრულებოდა.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ ირჯება ქრისტეს მრწამსის სადიდებლად შემართული დედათა დიაკონი ქართველთა ქვეყანაში.

სეფექალ შროშანასთან განშორებიდან მესამე დღეს ბრძენი ქალწული მეფის ბაღისაკენ გაემართა.

მისი უდიდებულესობის ბაღთან მისულმა, სამოთხის შესასვლელ კართან ბაღის მცველის სახლი დაინახა და შიგ შევიდა.

სახლში ღმრთისმორჩილმა ქალწულმა დედაკაცი იხილა, რომელსაც სახელად ანასტო ერქვა. როგორც კი დაინახა დედაკაცმა დედათა დიაკონი, წამოდგა, შემოეხვია და შეინყნარა იგი. გულისხმიერმა მასპინძელმა დაჰბანა ხელები და სცხო ზეთი, მიართვა პური და ღვინო.

მოციქულად წარგზავნილმა ქალწულმა სამოთხის მცველის სახლში ცხრა თვე დაყო.

ანასტო და მისი მეუღლე უშვილონი იყვნენ. ცოლ-ქმარი თავიანთ მდგომარეობას ძალიან განიცდიდა.

ბრძენი ქალწული გადაწყვეტს, დაეხმაროს გულნაკლულთ; მაშინ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული იხილავს ჩვენებას – ხილვისას ნათლით მოსილმა კაცმა უთხრა: შედი სამოთხის ბაღში და იმ ადგილიდან, საიდანაც ნაძვების ქვეშ ვაზია აშვებული, უფლის ძალით შეზავებული მიწა აიღე, აჭამე მათ და შვილი ეყოლებათო.

ღმრთის მლოცველი ქალწული ასეც მოიქცა და ცოლ-ქმარს უთხრა: დაუსაბამო ღმრთის ძის ქრისტეს ძალით, რომელიც მამის და სულიწმიდის თანამოსაყდრეა, ჩვენს გამოსახსნელად განკაცდა და ჯვარს ეცვა, დაეფლა, და მესამე დღეს აღდგა და ზეცად ამაღლდა და მამის მარჯვენით დაჯდა და კვლავ მოვა დიდებით ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად, მან მოგცეთ თქვენ ის, რაც გწადიათ, და აუწყა ყოველივე ჭეშმარიტი გზის შესახებ.

ცოლ-ქმარმა აღიარეს ქრისტე და დედათა დიაკონს ფარულად დაემოწაფნენ.

ამის შემდგომ, ბრძენმა ქალწულმა ქალაქის ზღუდის გარეთ, მაყვლოვანში, დაისადგურა, ვაზის ნასხლევისაგან ჯვარი აღმართა და დაუცხრომლად დღე და ღამე ლოცულობდა. ხოლო ანასტო და მისი მეუღლე მას ემსახურებოდნენ და თანაც აკვირდებოდნენ, ლოცვითა და მარხვით როგორ ახერხებდა უფლის მიერ მოხმობილი ქალწული, გამუდმებით სულიერად მღვიძარი ყოფილიყო [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.93-94].

ასეთნაირად საჩინოა, თუ რატომაა სარა ბეთლემელისათვის ქალწულებრივი აღთქმით ამქვეყნიურ ცხოვრებას განდგომილი დედათა დიაკონი უდაბნოში განმარტოებით ბინადარი ძუ ლომის მსგავსი. უეჭველია, დვინელი ქალბატონისათვის სულიერი სიფხიზლით გამორჩეული ღმრთისმოშიში ქალწული მუდმივად ფხიზლად მყოფი ძუ ლომის თვისებების მატარებელია – ძუ ლომისა, რომელსაც ძილის დროსაც კი თვალები გახელილი აქვს.

იმხანად, ღმრთისმოშიში ქალწული ხშირად დადიოდა ურიათა უბანში, ერთი მხრივ ებრაული ენის გამო და, მეორე მხრივ, უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილმდებარეობის

გამოსაძიებლად, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ იერუსალიმში დვინელი სარა ნიაფორისაგან ჰქონდა გაგონილი: «...„*კუართი უფლისა მცხეთელთ ჰურიათა წაუღიაო*“...». იმავე დროს ღირსეული ქალწული მრავალ დავრდომილს კურნავდა ქრისტეს საკვირველი ძალის შემწეობით [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.95].

მემატიანეს ცნობით, ჰურიათა უბანში გამუდმებული სიარულისას ღმრთისმოსავმა ქალწულმა უფლის სახარება უქადაგა ერთ რაბინს, სახელად აბიათარს, მის ასულ სიდონიას და კიდევ ექვს ჰურია დედაკაცს. «...*და პოვა ჰურია ერთი მღდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ ჰრწმენა და დაემოწაფნეს, იგინი და ექუსნი დედანი სხუანი ჰურიანი. და აღიღეს უღელი სწავლისა წმიდისა ნინოსი თჳნიერ ნათლისღებისა, რამეთუ არა იპოვებოდა მღდელი, რომელმანმცა ნათელ-სცა, და ფარულად იყვნეს მოწაფე მისი...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.95]. როგორც ხედავთ, დედათა დიაკონს დამოწაფებულნი სასოებით ცხოვრებას ნათლისღების გარეშე შეუდგნენ, ვინაიდან ნათლისმცემელი მღვდელი არ მოიპოვებოდა და ასეთნაირად, მოუნათლავნი, ბრძენი ქალწულის ფარული მონაფეები გახდნენ.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს, დედათა დიაკონს, რომელმაც მცხეთაში მისვლამდე რიფსიმე, მისი გამზრდელი გაიანე და მათი თანმხლები ორმოცდაათამდე ქალი განათლა, ქართველთა დედაქალაქში მისივე ქადაგების წყალობით ნათლისღების მოსურნე დიაცთაგან, ქრისტეს რჯულზე არავინ მოუნათლავს. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწული მასთან დაახლოებულ ქართველთა მეფის ქვეშევრდომთა გაქრისტიანებით სრულიად არ არის დაინტერესებული და რაღაც სხვა მიზანი ამოძრავებს. [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.95].

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს:

აბიათარის მოგონებების მიხედვით ირკვევა, რომ დედათა დიაკონის მცხეთაში მისვლისას წილისყრით თვით აბიათარი

იყო რაბინი. ამავე ხანებში აბიათარს წერილი მიუღია ანტიოქიიდან, ჰურია რაბინებისაგან, რომელშიც შემდეგი ეწერა: ღმერთმა იუდეველ მეფეთა ბატონობა დაასრულა და ჩვენი ქვეყანა სამად გაყო; საღმრთო სულით შთაგონებული ჩვენი წინასწარმეტყველები დაიხოცნენ. ასეთნაირად აღსრულდა ყოველივე და ჩვენ მთელს ქვეყანაზე გავიფანტენით და რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ჩვენ ხალხთან ერთად ვტიროდით, რადგან ღმერთი განვარისხეთ. იხილე მოსეს ნათქვამი სიტყვა, რომელიც მან ჩვენ დაგვიწერა: ვინც ამ ქვეყანაზე თავის თავს ღმრთის ძედ გამოაცხადებს, ის მოკვდესო. ანუ ჩვენ შევცდით, როდესაც იესო ნაზარეველი მოვკალით. როგორც ხედავთ, პირველად ჩვენმა წინაპრებმა შესცოდეს ღმერთს, როდესაც დაივიწყეს უფალი, რის გამოც ისინი ბოროტების ტყვეობაში ჩაცვივდნენ. თუკი ოდესმე აღიარებენ თავიანთ შეცდომას და მოიქცევიან, უმალვე განთავისუფლდებიან ჭირისაგან, რაც შვიდჯერაა ნაუწყები წინასწარმეტყველებაში. ხოლო, ვინაიდან ჩვენმა წინაპრებმა ხელი შეახეს ღმრთისმორჩილი დედაკაცის ძეს და მოკლეს იგი, ღმერთმა წყალობის ხელი აიღო ჩვენზე და მოსპო მეფობა ჩვენი, განგვაშორა თავის წმიდა ტაძარს და სრულიად უგულებელყო ჩვენი მოდგმა. უკვე სამას წელზე მეტია, რაც ღმერთი აღარ ისმენს ჩვენს ვედრებას და აღარც ლხენა მოუცია ჩვენთვის. რის გამოც საფიქრებელია, რომ ეს ყოველივე ღმრთის ნებით მოხდა, რათა თვალი აგვეხილოს. ანტიოქიიდან გამოგზავნილი ეს წერილი მრავალმა ადამიანმა გადაიწერა [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.95-96].

წერილის გაცნობის შემდეგ აბიათარი იგონებს: წაკითხულმა იმდენად დამაინტერესა, რომ დავიწყე ნინოს გამოკითხვა ქრისტეს შესახებ, თუ ვინ იყო და რა მიზნით განკაცდა ღმრთის ძე. მაშინ გახსნა პირი წმიდა ნინომ და შორეული წარსულიდან დაიწყო ყოველივეს ახსნა, წინასწარმეტყველთა წიგნების ზეპირად დამოწმებითა და განმარტებით, რაც ისეთ ზემოქმედებას ახდენდა, თითქოს მძინარე გაველვიძებინე, ანდა გონებადაკარგული გონს მოვეყვანე. სმენად გადაქცეული ჩვენი წინაპრებისადმი სიბრალულის გრძნობით ვიმსჭვალებოდი,

ის კი სჯულის შეცვლაში მარწმუნებდა, ვიდრე მისი სიტყვები არ ვირწმუნე, კერძოდ ის, რომ იესო ქრისტე ღმრთის ძეა. მისი აღდგომა და მეორედ მოსვლა, რომლის დროსაც უფალს წარმართებიც უერთდებიან. ასეთნაირად, მე და ჩემი ქალიშვილი ღირსი გავხდით ცოდვებისაგან განსაწმენდელი ემბაზის წყლის მიღებისა, რომელსაც ნატრობდა დავით წინასწარმეტყველი და ვერ ეღირსა. და მესმა ხმა ახალი სჯულის საგალობლებისა, რომლის მოსმენაც სურდა დავითს. და ღირსი გავხდით ღმრთის ძის, ქრისტეს, სისხლის და ხორცის ზიარებისა. სასიამოვნო იყო ამქვეყნიური ცოდვებისათვის შეწირულ კრავთან მიახლება. ამ დროს აბიათარი ღმერთს შეევედრებია, გაეთავისუფლებინა უფალს იგი ხორცისაგან: *«...ყავ განსლვა ჩემი ჴორცთაგან ჩემთა...»*. უფალმა თხოვნა არ შეუსრულა, თუმც, სამაგიეროდ, კიდევ მრავალი სასწაული იხილა მისმა თვალებმა წმიდა ნინოს მიერ მცხეთაში აღსრულებული [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.96-97].

ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად, აქვე საჭიროდ მიმაჩნია, შევნიშნო: მაშინ, როდესაც აბიათრი და სიდონია, ექვს ჰურია დედაკაცთან ერთად დედათა დიაკონის მონაფეები გახდნენ, დამონაფებულთაგან არც ერთი არ მონათლულა, რადგან იმ დროს მათი მომნათვლელი მღვდელი ვერ იპოვეს *«...და პოვა ჰურია ერთი მღდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ რწმენა და დაემონაფნეს, იგინი და ექუსნი დედანი სხუანი ჰურიანი. და აღიღეს უღელი სწავლისა წმიდისა ნინოსი თჳნიერ ნათლისღებისა, რამეთუ არა იპოვებოდა მღდელი, რომელმანცა ნათელ-სცა, და ფარულად იყვნეს მონაფე მისი...»* თუმც, გარკვეული ხნის შემდგომ აბიათარი და სიდონია ნათლისღების საღმრთო მადლით წინაპართა მემკვიდრეობითი ცოდვებისაგან განწმენდილან *«...მე და შვილი ჩემი ღირს ვიქმნენით მოღებად საპკურებელსა მას განსაწმედელსა ცოდვათაგან, ემბაზისა წყალსა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.97]. ასე რომ, ვინაიდან, ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი აბიათარისა და მისი ქალიშვლის ნათლისღება

თავდაპირველად, იმ მიზეზით ვერ განხორციელდა *«...რამეთუ არა იპოვებოდა მღდელი, რომელმანცა ნათელ-სცა...»*, ხოლო მოგვიანებით ნათლისღების მსურველთა ნათლობა შედგა და რაკიღა, მონათლულთაგან ერთ-ერთი მამაკაცია და ამიტომ დედათა დიაკონი აბიათარს, როგორც მამაკაცს, მარტოოდენ საგანგებო შემთხვევაში, სულისა და ხორცის გაყრის წინ, თუ განათლავდა – სულის გადარჩენის მიზნით, რასაც აბიათარის ნათლისღების შემთხვევაში ვერ ვიგულისხმებთ, სწორედ ამის გამო, დასაშვებად მიგვაჩნია, ვივარაუდოთ, რომ სიდონიასა და აბიათარის ნათლობა მღვდელს უნდა ჩაეტარებინა. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იბერიის დედაქალაქში დედათა დიაკონის მისვლისას, ქართულენოვან სამყაროში, სადღაც, მცხეთიდან მოშორებით მღვდელი მოღვაწეობდა.

ბრძენი ქალწულის ცხოვრების აღმწერი მეისტორიის მიერ შედგენილი თხზულების მიხედვით, ზიარებისას უფალთან შეხვედრით შეძრული აბიათარი ქრისტეს ცხოვრებით დაინტერესებულთ მოუთხრობდა, რაც თავისი ყურით მოუსმენია დედ-მამისაგან და მათ კი თავის მხრივ საკუთარი წინაპრებისაგან ჰქონდათ გაგონილი და აგრეთვე იმას, რაც წიგნებიდან თავადაც იცოდა. აი, რა შეიტყვეს აბიათარისაგან ქრისტესთან დაკავშირებული ამბებით დაინტერესებულებმა: თურმე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იერუსალიმში ჰეროდე მეფობდა, მცხეთაში, ბოდში, კოდისწყაროში და სობში მცხოვრებ ქართველ ჰურიებს შორის ხმა გავრცელებულა: *«...„იერუსალემი სპარსთა დაიპყრესო“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.98], რამაც ისრაელის ტომის ჩამომავალთა შორის დიდი გლოვა გამოიწვია და წასასვლელად დაუწყიათ მზადება. თუმც მცირეოდენი ხნის შემდგომ სანუგეშო ცნობა მიუღიათ: *«...„სპარსნი არა დაპყრობად მოვიდეს იერუსალიმისა, არამედ საჭურველისა წილ აქუნდა ოქრო სამეუფო, და მური მსწრაფლ მკურნალი წყლულებათა და გუნდრუკი სულ-ამო. და ეძიებდეს ყრმასა ვისმე შობილსა, ძესა დავითისსა, რეცა პოვეს მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისაგან შობილი უუამოდ და უადგილოსა ადგილსა. და ესენი მის ყრმისა მოვიდეს თაყუანისცემად, და შეწირეს მისა ძღუენი*

*იგი". და იქმნა სიხარული დიდი ყოველთა ზედა ჰურიათა ქართველთა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.98]. ერთი სიტყვით, როდესაც ქართველ ჰურიებს გაუგიათ, რომ სპარსელები იერუსალიმის დასაპყრობად კი არ მისულან მათს ისტორიულ სამშობლოში, არამედ იარაღის ნაცვლად ძვირფასი ოქრო, წყლულების სამკურნალო მური და სურნელოვანი გუნდრუკი ჰქონიათ და ეძებდნენ მწირი დედაკაცისაგან შობილ ყრმას, რომელიც დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი იქნებოდა, დიდად გაუხარიათ და დამშვიდებულან.

ამ ამბის შემდეგ გავიდა ოცდაათი წელი და იერუსალიმიდან რაბინ ანას აბიათარის უშუალო წინაპრისათვის, ელიოზისათვის მიუწერია: იგი, რომელსაც სპარსელმა მოგვებმა ძღვენი მიართვეს, აღიზარდა, უკვე ასაკშია და თავის თავს ღმრთის ძედ სახავსო. მოდით ყველანი სამსჯავროზე დასასწრებად, რათა აღსრულდეს მოსეს მცნებაო [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.98-99]. მონოდებაზე კარსნიდან წასულა ლონგინოზი, ხოლო მცხეთიდან – აბიათარის წინაპარი, მოხუცებული ელიოზი, რომლის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო *«...და ესუა მას დედა ტომისაგან ელია მღდელისა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.99] და რომელსაც ელიოზის გარდა, კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავდა.

ცხადზე ცხადია, ვინაიდან ელიოზისა და მისი დის, სიდონიას დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო, ხოლო ელი მღვდელმთავარი ისრაელის ტომის შთამომავალია, ირკვევა, რომ ელიოზისა და სიდონიას დედა და ამდენად მისი შვილები – ელიოზი და სიდონია ისრაელის ტომის ჩამომავალნი ყოფილან. აქვე უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, რომ წმიდა ელია წინასწარმეტყველიც ისრაელის ტომიდანაა.

სწორედ, ელიოზისა და სიდონიას დედის წინაპრებმა მოიტანეს მცხეთაში ელიას ხალენი – სიმბოლო ელია წინასწარმეტყველთან სულიერი კავშირისა.

იერუსალიმისაკენ მიმავალ ელიოზს დედამისი შეჰვედრებია: შვილო, ჩვენი სჯულის თანახმად მეფის მოწოდებაზე უნდა წახვიდე; ხოლო მათ განზრახვას ნუ შეუერთდები, ვინაიდან

წინასწარმრტყველთა სიტყვის და ბრძენთა იგავების მიხედვით ცნობილია, რაც უნდა მოხდესო [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.99]. დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ ქართველი ჰურიების წარმომადგენლობას იესო ქრისტეს ჯვარცმისას ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი წარმოადგენდნენ *«...მეცნიერნი სჯულისანი...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.36].

მაშინ, როცა მაცხოვრის დალურსმვისას ლურსმანს ურო დაჰკრეს, ელიოზის დედას მცხეთაში მოესმა უფლის გმინვა, იკივლა და თქვა: *«...„მშჯდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქუენისა მაცხოვარი და იქმნენით მკლველ შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინავე მოვკუედ, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა"... »* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.99]. აი, ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე აღესრულა ისრაელის ტომის გაქართველებული ჩამომავალი, რწმენაშეუმცდარი ელიოზის დედა.

მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, მაცხოვრის ჯვარცმისას, მათ, რომელთაც ჯვარს აცვეს უფალი და მისი შესამოსელი ოთხ ნაწილად გაიყვეს, კვართზე წილი ყარეს *«და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქმული იგი წინაწარმეტყველისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი»* [მათე, XXVII,35]. იმის გათვალისწინებით, რომ დავით წინასწარმეტყველის გაფრთხილების თანახმად განკაცებული ღმრთის კვართი არ განიყო – ცხადზე ცხადია, უფლის უნაკერო პერანგი ღმრთის ჩანაფიქრის შესაბამისად გარკვეული ნიშნით გამორჩეულს უნდა შეხვედროდა.

და, აი, უფლის განუყოფელი კვართი, წილისყრით ქართველთა ქვეყნიდან იერუსალიმში მაცხოვრის ჯვარცმაზე დასასწრებად ჩასულ, ისრაელის ტომის გაქართველებულ ჩამომავალ მცხეთელ ელიოზს შეახვედრა უფალმა, რომელმაც ღმრთის ნაბოძები სახლში წაიღო *«...კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წამოიღო ელიოზ, და მოიღო მცხეთას...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.99].

როდესაც ელიოზმა უფლის განუყოფელი სამოსელი მცხეთაში მიასვენა, მას ცრემლმორეული მისი და შეეგება, ძმას ყელზე მოეხვია, ჩამოართვა იესო ქრისტეს უნაკერო კვართი, სიხარულით მკერდში ჩაიკრა და მყისვე სული განუტევა სამი სატკივარის გამო: ქრისტეს წამებისათვის, დედის გარდაცვალებისათვის და ძმის გამო, რომელიც ვერ შეეწინააღმდეგა ქრისტეს ჯვარცმას და ამდენად მხსნელის სიკვდილის თანამონაწილე გახდა [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.99-100]. მიხვდით, ალბათ, რათა უფლის განუყოფელი კვართი სამუდამოდ ქართველთა ქვეყანაში დამარხულიყო, ღმერთმა იმქვეყნად წაიყვანა სიდონია. ასე რომ, სიდონიამ თავისი ცხოვრება ღმრთის სამსახურში დაასრულა.

ელიოზის რწმენაშეუმცდარი დის საკვირველმა სიკვდილმა დიდი შეშფოთება გამოიწვია მცხეთაში. მომხდარმა თვით დიდი მეფე ადერკი, იბერიის მთავარნი და ხელმწიფის ქვეშევრდომთა უმრავლესობა გააკვირვა. მართალია, მეფე ადერკის უფლის კვართის მოპოვების სურვილი გაუჩნდა, მაგრამ მომხდარით შეძრულმა არ იკადრა, მიცვალებულისათვის ხელიდან აერთვა სამოსელი, რომლისთვისაც გარდაცვლილს ხელები ჰქონდა ჩავლებული. ამრიგად, ელიოზმა საყვარელი და დაკრძალა მკერდზე მიკრული უფლის კვართით: *«...და ელიოზ დამარხა დაი თკსი, და ჴელთა აქუნდა სამოსელი იგი უფლისა. და არს ადგილი იგი, რომელი უფალმან უწყის...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.100].

დროთა განმავლობაში მიცვალებულის სამარხის ადგილმდებარეობა ხალხს მიჰვიწყებია და იუდაიზმის ყოფილი ადეპტის, აბიათარის თქმით, მის დროს მხოლოდ ღმერთმაღა უწყოდა, თუ სად იყო დაფლული უფლის კვართი *«...და არს ადგილი იგი, რომელი უფალმან უწყის...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.100].

როგორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილის მოძიების მიზნით დედათა დიაკონმა მრავალჯერ მოუწოდა თავის მოწაფეებს, გამოერკვიათ საღმრთო სიწმიდის ადგილსამყოფელი. მაგრამ მათ მხოლოდ იმის გაგება შეძლეს, რომ სიდონიას გარდაცვა-

ლებიდან *«...შემდგომად მრავალთა წელიწადთა ძისწულის შვილმან ადერკი მეფისამან, მეფემან არმაზაელ, ძიება ყო სამოსლისა მის ჰურიათა თანა და არა პოვა. რამეთუ აუწყეს ესე ყოველი, რომელი იყო, და არავინ უწყის ადგილი იგი თჳნიერ ამისა, რომელ „არს მახლობელად ნაძჳსა მის ლიბანით მოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა"...»* [მოქც. მირიან მეფისა,1955, გვ.100 - 101]. რწმენით გამორჩეული ბრძენი ქალწულისთვის კი ასე უთქვამთ: *«...„არს ადგილი იგი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ"...»*-ო [მოქც. მირიან მეფისა,1955, გვ.101].

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, ისრაელის ტომის გაქართველებულ ჩამომავალთა შორის განდობილთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობაა ინფორმირებული უფლის კვართის ადგილმდებარეობის თაობაზე. თუმც სრულიად გარკვეული მიზეზის გამო განდობილნი საღმრთო სიწმიდის ადგილს მარტოოდენ ჭეშმარიტების მსახურთაგან რჩეულთა შორის გამორჩეულთ მიანიშნებენ და ისიც მხოლოდ იგავურად, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ უფლის განუყოფელი კვართი შემთხვევით არ არის მცხეთაში დაფლული.

ახლა კი კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს გადასარჩენად მოღვაწე წმიდანს, რომელსაც კვართის მოძიებისას, როგორც ვიცით, იგავურად ასე უთხრეს: «...„არს ადგილი იგი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ"...»-ო. და, აი, უფლის უნაკერო კვართის დაფვლის ადგილის ძიების პერიოდში განუყოფელი კვართის დაფვლის სივრცის იგავურად მიმნიშნებელთა ნათქვამზე ჩაფიქრებულმა, ლოცვაში ჩაძირულმა დედათა დიაკონმა მრავალჯერ ნახა ერთი და იგივე ხილვა: თითქოს ციდან შავი ფერის ფრინველები მოფრინავდნენ, მდინარეში განიბანებოდნენ და გაქათქათებულნი სამოთხეში ადიოდნენ, ყურძენს და ყვავილებს კენკავდნენ და საამო ჟივჟივით, გარს ეხვეოდნენ ღმრთის მლოცველ ქალწულს: *«... მათ დღეთა შინა მრავალგზის იხილა ჩუენება წმიდამან ნინო მცირედსა მას მირულებასა მისსა მუჴლთა მისთა ზედა, რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი, ფერითა შავნი, და შთავიდიან*

*მდინარესა მას შინა, განიბანნიან და განსპეტაკნიან, და აღვიდიან სამოთხესა მას, ბაბილოსა მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და ესრეთ მოწლედ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მივლენ, რეცა მისი არს სამოთხე იგი, გარე მოადგიან ყივილით შუენიერად...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ 101]. ნათელია, შავი ფერის ფრინველების თეთრ ფრინველებად გარდასახვა ცოდვებისაგან განწმენდას განასახიერებს, ანუ წარმართები ქრისტიანდებიან, რის შედეგადაც განსპეტაკებულნი ცათა სასუფეველში, ანუ სამოთხეში ხვდებიან და ბრძენ ქალწულს უერთდებიან, რამდენადაც სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული ცათა სასუფეველსაა ნაზიარები.

ვინაიდან ღმრთისმოსავმა ქალწულმა განსპეტაკებული ფრინველები ხეზე აშვებული ვაზის გარშემო იხილა, ხოლო ნაძვზე აშვებული ყურძენი მეფის სამოთხეშია [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ 93], მაშასადამე, ბრძენ ქალწულს უფლის კვართის დაფვლის ადგილი სულიერი თვალით ლიბანიდან მოტანილ ნაძვთან უხილავს, რომელიც სამეფო ბაღში მდებარეობდა.

საქმე ისაა, რომ მოკვდავთაგან მხოლოდ სამოთხეში მყოფთ შესწევთ უნარი უხილავის ხილვისა. დიახ, უხილავი ღმერთი მოსიარულედ ადამიანმა სამოთხეში იხილა: *«მოესმათ ხმა უფალი ღმრთისა, რომელიც საღამო ხანს ბაღში მიმოდიოდა, და დაემალნენ უფალ ღმერთს ადამი და მისი დედაკაცი ბაღის ხეებს შორის»* [დაბადება, III, 8]. ასე რომ, უხილავის ხილვა მხოლოდ სამოთხეში მყოფს შეუძლია, ვინაიდან ცათა სასუფეველში არაფერია დაფარული.

ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, ღმრთისმორჩილი ქალწული, რომელმაც სულიერი თვალით მარადიულობაში გარდასულთა უბინო გვამებიდან ამომავალი სულები იხილა და უფლის მიერ გახსნილი წიგნის ათი სიტყვა ზეცად წაიკითხა, უეჭველია, ცათა სასუფეველსაა ნაზიარები. ამდენად, ბრძენმა ქალწულმა, რომელმაც ნუთისოფლის საზრუნავისაგან განთავისუფლებით საკუთარ თავში ცათა სასუფეველი დაიტია, უეჭველია, სულიერი თვალით უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილი იხილა.

ცხადია, ისრაელის ტომის გაქართველებულ ჩამომავალთა მიერ იგავურად მინიშნებული განკაცებული ღმრთის კვართის დაფვლის ადგილას არსებული სიტუაცია *«...„არს ადგილი იგი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ“...»* და ბრძენი ქალწულის ხილვით აღქმული გარემო, სადაც განსპეტაკებული ფრინველები საამო ჟივჟივით გარს ეხვეოდნენ ღმრთისმოშიშ ქალწულს, იმდენად ერთგვაროვან სამყაროს განასახიერებს, რომ ნათელია, დედათა დიაკონმა ხილვისას, რომელსაც მხოლოდ *«...წმიდანი გულითა...»* ღმრთის წყალობით განჭვრეტენ, უფლის კვართის დაფვლის ადგილი იხილა, რომელიც იმავდროულად სამოთხედაა მოაზრებული.

რამდენადაც ეკლესიის აგების ადგილი, დედათა დიაკონის საღმრთო ჩვენების შესაბამისად განისაზღვრა, ხოლო ეკლესია კი იქ აიგო, სადაც განკაცებული ღმრთის კვართია დამარხული და ლიბანიდან მოტანილი ნაძვი იყო დარგული, უცილობელია, ლოცვაში ჩაძირულმა ბრძენმა ქალწულმა ჩვენებისას უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილი ლიბანიდან მოტანილ ნაძვთან იხილა.

აქვე იმასაც მოგაგონებთ, რომ შატბერდული რედაქციის მიხედვით უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილს აბიათარი თავის ქალიშვილს ასეთნაირად მიანიშნებს: *«...„აქა არსო ადგილი სამარხვოჲ მისიო, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმდნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ“...»* [მოქც. ქართ.,1963, გვ.130]. მოგეხსენებათ, იაკობის მიერ სიზმარში ნანახი კიბე, რომელზეც ანგელოზები ადიან და ჩამოდიან, ის ადგილია, სადაც ანთროპომორფული სახით ღმერთი გამოეცხადა იაკობს. *«ესი ზმრა: მიწაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება; უფლის ანგელოზები ადი-ჩამოდიან კიბეზე. აჰა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისაკისა. ეს მიწა, რომელ ზედაც წევხარ, შენთვისა და შენი შთამომავლობისთვის*

*მომიცია. შენი შთამომავლობა ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება და განივრცობი დასავლეთისკენ, აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ; შენითა და შენი შთამომავლობით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა. აჰა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ; კვლავ დაგაბრუნებ ამ მიწაზე, არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ ყველაფერს, რაც გითხარი»* [დაბადება, XXVIII,12-15], ამდენად იაკობის მიერ სიზმარში ხილული კიბე ღმრთისაკენ მიმავალი გზაა. ამიტომაც წამოიძახა ძილისაგან გამოფხიზლდებულმა იაკობმა: *«...ეს ცათა კარიბჭეა!»* [დაბადება, XXVIII,17]. მაშასადამე განკაცებული ღმრთის სამოსელის დაფვლის სივრცე, სადაც ეკლესია შენდება, ის ადგილია, სადაც ცა და დედამიწა ერთიანდება.

ვინაიდან, ერთი მხრივ, *„სამოთხე"* და, მეორე მხრივ, *„იაკობის კიბე"* ღმერთთან შეხვედრის ადგილია, მიხვდით, ალბათ, წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების როგორც ლეონტი მროველისეული, ასევე, შატბერდული რედაქციები, სხვადასხვაგვარად, ერთსა და იმავეს მიგვანიშნებს: უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილი ის სივრცეა, სადაც ადამიანი ღმერთს ხვდება. ღმრთის სამყოფელი კი სამოთხეა.

და ერთია კიდევ, დედათა დიაკონისათვის იგავურად ნათქვამიდან: *«...„არს ადგილი იგი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ"...»* ნათლად ჩანს, რომ უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის სივრცეში ღმრთისმსახურება სრულდებოდა. ეჭვი არ არის, დამეთახმებით, ვინაიდან კაცთა გალობა *«...ღმრთისა მიმართ...»* საკულტო დანიშნულების სალოცავებში აღევლინება, ამდენად, სავარაუდოა, ადგილი, *«...რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ...»*, წირვა-ლოცვისათვის განკუთვნილი შესაკრებელი იყოს.

ნურავინ შემედავება: ციტირებული წინადადებიდან *«...რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ...»* ნათლად ჩანს, რომ ხსენებულ ადგილას სადღეღამისო ღმრთისმსახურება სრულდებოდა. ხოლო, რამდენადაც

სადღეღამისო საღმრთო მსახურების მხოლოდ ერთადერთი ტრადიცია არსებობს, რომელიც ფსალმუნების გალობით შეიძლება შესრულდეს, ამდენად ცხადია, ბრძენი ქალწულისათვის მინიშნებულ სივრცეში, ცისკრიდან ცისკრამდე ფსალმუნის გალობა აღესრულებოდა.

ამასთანავე, დედათა დიაკონის მოწაფეებს უფლის განუყოფელი კვართის ადგილმდებარეობის თაობაზე თვისტომთაგან კიდევ ის გაუგიათ, რომ განკაცებული ღმრთის კვართის დაფვლის ადგილის შესახებ ინფორმაცია, ასევე იგავურად, გადმოცემის თანახმად ბრძენ ქალწულამდე, უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის არეალის მცოდნეთ, მხოლოდ მეფე არმაზაელისათვის (ახ.წ.75-120) გაუნდვიათ, რომელიც დინასტიური ნიშნის მიხედვით, იმავდროულად მითრიდატედაც იწოდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე [Меликишвили,1959, გვ. 56] და ამიტომ მითრიდატე II-დ მოიხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში. აი, როგორ მომხდარა ეს ამბავი: ელიოზის დის დაკრძალვიდან მრავალი წლის შემდგომ ადერკი მეფის შვილიშვილის შვილს, მეფე არმაზაელს, მოუწადინებია, მოეძია უფლის კვართის დაფვლის ადგილი – *«...შემდგომად მრავალთა წელიწადთა ძისწულის შვილმან ადერკი მეფისამან, მეფემან არმაზაელ, ძიება ყო სამოსლისა მის ჰურიათა თანა და არა პოვა. რამეთუ აუწყეს ესე ყოველი, რომელი იყო, და არავინ უწყის ადგილი იგი თჳნიერ ამისა, რომელ „არს მახლობელად ნაძჳსა მის ლიბანით მოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა“...»* [მოქც. მირიან მეფისა,1955, გვ.100 - 101]. როგორც ხედავთ, მრავალი წლის შემდგომ ადერკი მეფის შვილიშვილის შვილმა, მეფე არმაზაელმა, მოინდომა, განკაცებული ღმრთის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილსამყოფელი მოეძებნა, მაგრამ ვერ იპოვა.

ვინაიდან დედათა დიაკონმა სულიერი თვალით უფლის კვართი ლიბანიდან მოტანილი და დარგული ნაძვის მდებარეობის ადგილას იხილა, ეს ფაქტი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მეფე არმაზაელმა, რომელსაც უფლის კვართის დაფვლის ადგილის მინიშნებისას ასე უთხრეს: *«...არს მახლობლად*

*ნაძესა მის ლიბანით მოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა...»*, განკაცებული ღმრთის კვართის მოძიების მიზნით, სიწმიდის დაფვლის სავარაუდო ადგილი არ გაათხრევინა. უეჭველია, მეფე არმაზაელი უფლის სამოსელისადმი მოწიწებით რომ არ ყოფილიყო განმსჭვალული, მაშინ მისი უდიდებულესობა საკრალურ სივრცეს აუცილებლად გაათხრევინებდა. ამნაირად, ნათელია, მეფე არმაზაელმა იმიტომ ვერ შეძლო უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილის ნახვა, რადგანაც ხელმწიფემ ვერ მოახერხა, დედათა დიაკონის დარად რწმენის თვალით ეხილა იგავურად მინიშნებული ადგილი.

დედათა დიაკონისათვის უფლის კვართის დაფვლის ადგილმდებარეობის იგავურად მინიშნებისას, იმ გარემოებასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ისრაელის ტომის გაქართველებული ჩამომავალნი უფლის კვართის დამარხვის ადგილს ბრძენ ქალწულს დამონაფებულ თავიანთ თვისტომთაც კი არ უმხელენ, თუმც ასეთი ინფორმაცია, გადმოცემის თანახმად, დედათა დიაკონამდე, მხოლოდ მეფე არმაზაელისათვის უთქვამთ, მაშინ ნათლად წარმოჩნდება, რომ ისრაელის ტომის გაქართველებულ ჩამომავალთა მხრივ, განკაცებული ღმრთის უნაკერო კვართის დაფვლის ადგილის იგავური მითითება საგანგებო მოვლენათა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს, რომელიც მარტოდმარტო რწმენის წყალობით რჩეულთა შორის გამორჩეულმა, ჭეშმარიტების კეთილმსახურმა შეიძლება დაიმსახუროს.

ერთი რამ ცხადია, ელიოზის დედის დარად რწმენაშეუმცდარი ისრაელის ტომის გაქართველებული ჩამომავალნი, რომელთაც ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველის, წმიდა ელიას ხალენის ფლობა ავალდებულებთ, რომ სულიერ კავშირში იმყოფებოდნენ წინასწარმეტყველთან, რომელიც ფერისცვალებისას იესო ქრისტესთან ერთად გამოეცხადა მოციქულებს [მათე, XVII,1-5] და ამნაირად ღმრთის მაცნედ მოევლინა კაცობრიობას, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების მსახურთაგან რჩეულთა შორის გამორჩეულს მიანიშნებდნენ უფლის კვართის დამარხვის ადგილს. ამდენად ირკვევა, ბრძენ ქალ-

წულამდე მაცხოვრის კვართის დაფვლის ადგილიმდებარეობა მეფე არმაზაელისათვის იგავურად იმიტომ მიუსწავლებიათ, რომ მეფე არმაზაელი იმსახურებდა ქრისტიანული სიწმიდის სუფევის ადგილის ქარაგმულად მითითებას.

მეფე არმაზაელი თანამემამულეთაგან განსხვავებული სარწმუნოების აღმსარებელი რომ ყოფილა, ამ ფაქტს *„მეფეთა ცხოვრებაში“* ჩაწერილი ინფორმაციაც ადასტურებს: *«... და იყო ოძრჴეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი, და იგი დადგრომილ იყო სარწმუნეობით ერთგულებასა ზედა არმაზელისსა...»* [ცხოვრებასა ქართუელთა მეფეთასა, 1955, გვ. 47]. მეფე არმაზაელის მრწამსში გასარკვევად ნიშანდობლივია, რომ ოძრხის ერისთავი სარწმუნოებით გამორჩეული ის ერისთავია, რომელიც მეფესთან აღმსარებლობით ყოფილა დაკავშირებული. რამდენადაც მემატიანე საჭიროდ მიიჩნევს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ოძრხის ერისთავი მტკიცედ იდგა მეფე არმაზაელის სარწმუნოებაზე, ამდენად ირკვევა, მეფე არმაზაელის სამეფოში მისი უდიდებულესობის აღმსარებლობას ყველა არ იზიარებდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეფე არმაზაელი თანამემამულეთა უმეტესი ნაწილისაგან გასხვავებული სარწმუნოების აღმსარებელი ყოფილა.

ვფიქრობთ, ახალი წელთაღიცხვის I საუკუნის დასასრულსა და II საუკუნის დასაწყისში, ქრისტიანული სიწმინდით – უფლის კვართით დაინტერესებული მეფე არმაზაელი, რომელიც ქვეშევრდომთა უმეტესი ნაწილისაგან გასხვავებული სარწმუნოების აღმსარებელი ყოფილა და იმსახურებს უფლის კვართის დაფვლის ადგილსამყოფელის იგავურად მინიშნებას, უდავოდ ქარისტიანი მეფე უნდა იყოს.

ხოლო მათ, რომელთაც შეიძლება ეჭვი შეეპაროთ ახალი წელთაღრიცხვის 75-120 წლებში ქართულ სამყაროში მოღვაწე მეფის ქრისტიანობაში, თავი რომ არ შეგაწყინოთ, მარტოოდენ ორ ფაქტს შევახსენებ: ახალი წელთაღრიცხვის 13-50 წლებში მოღვაწე ოსროენის მეფე ავგაროზი ქრისტიანი გახლდათ; აგრეთვე ქრისტიანი იყო რომის იმპერატორ ფლავიუს ვესპა-

სიანეს ძმისშვილი, კონსული ფლავიუს კლემენტი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის 95 წელს იმპერატორმა ფლავიუს დომიციანემ რწმენისათვის სიკვდილით დასაჯა.

ასეთნაირად, ვინაიდან მეფე არმაზაელი და ოძრხის ერისთავი, სხვათაგან განსხვავებით, ერთი და იმავე საწმუნოების მიმდევარნი ყოფილან, ხოლო რადგანაც მეფე არმაზაელი, ანუ საერთაშორისო ასპარეზზე იგივე მითრიდატე II ქრისტიანია, ამდენად ირკვევა, რომ მეფე არმაზაელთან აღმსარებლობით დაკავშირებული ოძრხის ერისთავიც ქრისტიანი ყოფილა.

უდავოა, მეფე არმაზაელმა იგავურად მინიშნებული ადგილი იმიტომ ვერ მოიძია, რადგანაც ვერ შეძლო რწმენის თვალით ეხილა უფლის კვართი.

როგორც ჩანს, სახელმწიფო საქმეებით დაკავებულ მეფეს სასუფეველს ნაზიარებთა ბადალი საღმრთო მადლი არ აღმოაჩნდა, რათა მისცემოდა ხილვა იგავურად მინიშნებული ადგილის შესაცნობად. ასე რომ, თუკი დედათა დიაკონმა უხილავის ხილვა შეძლო – *«რამეთუ არა ვხედავთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას; რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არა ხილული იგი საუკუნო»* [II კორინთელთა მიმართ IV ,18], სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლმა მეფე არმაზაელმა ვერ შეძლო, რწმენის თვალით ეხილა უხილავი.

მიუხედავად იმისა, რომ ერის მსახურება იმავდროულად ღმრთის მსახურებაა, მართლაც ძნელია, ერთდროულად პოლიტიკურ და სამხედრო ბატალიებში ჩართულს სულიერი თვალი მუდამ გახელილი ჰქონდეს.

ყოველივე თქმულის შემდგომ, ნათელი ეფინება იბერიის სამეფოში მოსახლე წარმართთა მთავარი ღვთაების – არმაზის თაყვანისმცემელთა მოქმედებითა და ქართველთა მეფეებისა და მთავრების მხრივ დამბადებლის მიტოვების გამო, სულით ხორცამდე შეძრული დედათა დიაკონის მიერ ღმრთისადმი წარმოთქმულ საევედრებელში გამოთქმული საყვედურის საბაბს: *«...მაშინ ტიროდა და სულთ-ითქუმოდა ნეტარი ნინო ღმრთისა მიმართ ცთომათა მათთათჳს ქუეყანისა ჩრდილო-*

*სა, მიფარვასა მათგან ნათლისასა და უფლებასა მათ ზედა ბნელისასა: რამეთუ მიხედნა მეფეთა მათ დიდძალთა და ყოველთა მთავართა, რომელნი ცოცხლებით შთაენთქნეს ჯოჯოხეთსა, დაეტევა დამბადებელი, და ქუათა და ძელთა, სპილენძსა და რვალსა განჭედილსა ღმრთად თაყუანის-სცემდეს, და ესენი იცოდეს ყოვლისა შემოქმედად...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.90], ასე და ამრიგად, ღირსეული ქალწულის მიერ ღმრთისადმი აღვლენილ ლოცვაში წარმოჩენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა: ბრძენ ქალწულს მცხეთაში მისვლამდე სცოდნია, რომ ქართველი ხალხის მეფეთა და დიდებულთა შორის ერთ დროს ქრისტეს ჯვრის მტვირთველნიც ყოფილან, რის თაობაზეც, როგორც ჩანს, დედათა დიაკონი იბერიაში წასვლამდე უნდა ყოფილიყო ინფორმირებული.

მას შემდგომ, რაც სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა საღმრთო ხილვის წყალობით უფლის განუყოფელი კვართის დაფვლის ადგილმდებარეობა შეიცნო, ქართველთა მეფის სატახტო ქალაქში მისვლიდან სამი წლის შემდგომ, მეოთხე წელს უკვე ხმამაღლა ამხელდა მცდარ გზაზე მდგომ იბერიის მკვიდრთ და ვაზის ნასხლევისაგან გაკეთებული ჯვრით დიდ სასწაულებს ახდენდა, ვინაიდან მრავალი დავრდომილი, წამლის გარეშე, ჯვრის შეხებით განკურნა.

მასთან ერთად ქადაგებდნენ მისი მოწაფეებიც, რომელნიც თავდაპირველად ფარულად დაემოწაფნენ დედათა დიაკონს – შვიდი ჰურია დედაკაცი: აბიათარის ასული სიდონია და ექვსი სხვა დედაკაცი, სამეფო ბაღის მცველი და მისი ცოლი და აბიათარი, ახალი იგი პავლე, რომელიც უშიშრად და დაუღალავად ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას და რომელიც ძველი რჯულის ზედმიწევნით კარგი მცოდნე იყო, ახალი რჯული კი ბრძენი ქალწულისაგან ჰქონდა ნასწავლი და მასზე უკეთ განუმარტავდა ყოველ კაცს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. თუმც უდავოდ გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ საქვეყნო მოღვაწეობისას დედათა დიაკონი იმდენად აქტიური არ არის, როგორც მისი ერთი მოწაფეთაგანი, აბიათარი, რომელიც *«...უმეტეს ნინოსსა ამხილებდა ყოველსა კაცსა სჯულსა ჭეშმარიტსა...»* [მოქც.

მირიან მეფისა.,1955, გვ.102]. პირდაპირ დაუჯერებელია მემატიანის ცნობა, რომ ქრისტეს რჯულზე ახლად მონათლული აბიათარი უფრო აქტიურად მოქმედებს ქართველთა ქვეყანაში ახალი სარწმუნოების დასამკვიდრებლად, ვიდრე დედათა დიაკონად ხელთდასხმული, მხსნელის სადიდებლად შემართული ეკლესიის მსახური.

ზემოთქმულთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამის თქმა შეიძლება: ვინაიდან ქართველთა სატახტო ქალაქში მისული ბრძენი ქალწული თავდაპირველად მასთან დამონაფებულებთან ერთად უფლის კვართის დაფვლის ადგილის მოძიებითაა დაკავებული და მხოლოდ მცხეთაში მისვლიდან სამი წლის შემდეგ, მეოთხე წელს, როცა დაადგენს კვართის დაფვლის ადგილმდებარეობას, ოდენ მაშინ იწყებს სხვათა გასაქრისტიანებლად შედარებით აქტიურ მოღვაწეობას და მაშინაც მისი მონაფე აბიათარი უფრო აქტიურად იღვწის ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად – ამიტომ, ვფიქრობ, რომ მცხეთაში უფლის მიერ მოხმობილი ქალწულის მოქმედება არ ტოვებს იმ მოღვაწის შთაბეჭდილებას, რომლის უმთავრესი საზრუნავი ქართველთა მეფის ქვეშევრდომთა გაქრისტიანება ყოფილიყოს.

უეჭველია, იბერიელთა ქრისტეს სარწმუნოებაზე მოსაქცევად წარგზავნილი ქალწული უპირველეს ყოვლისა ქართველთა ქვეყნის იმ რეგიონებს მოიხილავდა, სადაც არაფერი ჰქონდათ გაგონილი ქრისტიანული სარწმუნოების თაობაზე და მაინცადამაინც მეფის სამოთხეში არ მივიდოდა, სადაც ახალი წელთაღრიცხვის 30 წლიდან ქრისტიანთა უდიდესი სიწმიდე, უფლის უნაკერო კვართი სუფევს და აქ დაფლული რელიკვიის მადლით მოფენილია სამეფო ქალაქის არემარე. განკაცებული ღმრთის კვართის მადლის მოქმედების თაობაზე ღმრთისმორჩილ ქალწულს კარგად რომ მოეხსენება, ეს მისივე წარმოთქმული სიტყვიდანაც ნათლად ჩანს, როდესაც მის უდიდებულესობას შემდეგნაირად მიმართავს: «*...მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა მიხედვად, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი: სამოსელი ძისა ღმრთისა...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.107].

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს:

იმხანად, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მიზნით დედათა დიაკონისა და მისი მონაფეების გააქტიურების პერიოდში, როდესაც აბიათარის მიერ ქრისტეს მრწამსის ქადაგებით შეშფოთებული ჰურიები ყოფილი რაბინის ჩაქოლვას განიზრახავენ, მირიან მეფე თავის მსახურებს მიავლენს და სიკვდილისაგან იხსნის აბიათარს, რადგან მის უდიდებულესობას გაგებული ჰქონდა საბერძნეთსა და სომხეთში მომხდარი ქრისტიანული სასნაულების შესახებ და დაინტერესებული იყო მაცხოვრის მოძღვრებით. თუმც უხილავი, ეშმაკეული ძალის ზემოქმედებით ვერ აღიარებდა ქრისტეს სარწმუნოებას. ამის მერე ისიც უნდა ითქვას, რომ მეფის თანამეცხედრე ნანა დედოფალი ძალიან გულქვა იყო და არად აგდებდა ქრისტიანთა ქადაგებას [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.102-103].

იმავდროულად ღმრთისმოშიში ქალწული დაუცხრომლად განაგრძობდა ლოცვას მაყვლოვან ბუჩქნარში. წარმართები კი აკვირდებოდნენ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის ლოცვა-ვედრებას და გამუდმებით სულიერად ფხიზლად მყოფს მრწამსს გამოჰკითხავდნენ. ხოლო დედათა დიაკონი მათ ძველ და ახალ წიგნებს აცნობდა, უგუნურნი და შეუსმენელნი გონს მოჰყავდა და ქრისტეს სიყვარულს შთააგონებდა [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.103].

იმჟამად იყო ერთი მძიმე სენით დაავადებული ყრმა, რომელსაც დედა კარდაკარ დაატარებდა, რათა შვილის განმკურნებელი ეპოვა. მრავალმა სცადა მისი განკურნება, მაგრამ ვერავინ შეძლო. ხოლო როდესაც მშობელს უთხრეს: არაფერი ეშველება ყრმასო, სასოწარკვეთილი დედა, რომელიც განუწყვეტლივ აძაგებდა ქრისტეს სჯულს და ყველას უკრძალავდა სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულთან მისვლასა და ქრისტიანული მრწამსის გამოკითხვას, თვითონ მივიდა ბრძენ ქალწულთან, დაემხო მის წინაშე და ვაჟიშვილის განკურნებას შეევედრა. მაშინ წმიდა ნინომ უთხრა: «...„*კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა რა ვყო; ხოლო ღმერთმან ჩემმან ქრისტემან მოსცეს ყრმასა მაგას კურნება, რომელი*

*ყოველთაგან განწირულ არს"...».* შემდეგ ნინომ ბრძანა ყრმა იმ საგებელზე დაეწვინათ, რომელზეც თვითონ განუწყვეტლივ ლოცულობდა და დაიწყო ღმრთის მიმართ ლოცვა-ვედრება. ვაჟი მაშინვე განიკურნა. ყრმის დედამ აღიარა ქრისტე და თქვა: *«...„არა არს სხუა ღმერთი თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ნინო"...».* ამის შემდეგ, იგი დაემონაფა ღმრთისმოსავ ქალწულს, გაჰყვა მის გზას და ქრისტეს ადიდებდა [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.103-104].

გარკვეული ხნის შემდგომ დასნეულდა იბერიის მეფის მირიანის მეუღლე ნანა. მრავალმა დახელოვნებულმა მკურნალმა გამოიყენა მრავალგვარი წამალი, მაგრამ დედოფლის განკურნება ვერავინ მოახერხა, რის გამოც ექიმები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. ამის გამო ვიღაცებმა მეფის თანამეცხედრეს ურჩიეს, მიემართა რომის იმპერიიდან მოსული ღმრთისმორჩილი ქალწულისათვის, რომლის ლოცვითაც მრავალი სნეული განიკურნა. მაშინ დედოფალი ნანა მსახურთ უბრძანებს, მიჰგვარონ დედათა დიაკონი. დედოფლის მსახურებმა სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული მეექვსე ჟამის ლოცვისას მაყვლოვანში მოინახულეს და ნანა დედოფლის ბრძანება მოახსენეს. ბრძენმა ქალწულმა წარმოგზავნილთ უთხრა: ნაბრძანები არა მაქვს, წავიდე იქ, სადაც ხსნა არ არის. ხოლო, თუკი ლოგინად ჩავარდნილი ჩემს საცხოვრისში მოვა, ქრისტეს ძალით განვკურნავო დედოფალს: *«...„არა ბრძანებულ არს ჩემდა, რაჲთა განვიდე, სადა შუება ჩუენი არა არს, არამედ დედოფალი მოვედინ საყოფელსა ამას ჩემსა, და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა"...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.104]. როდესაც მსახურნი მოახსენებენ მეფის თანამეცხედრეს ნეტარი ქალწულის ნათქვამს, დედოფალი ბრძანებს, ღმრთისმოსავ ქალწულთან მიიყვანონ.

მოახლენი და მრავალი ხალხი უფლისწულის თანხლებით დავრდომილს საკაცით წაიყვანენ. როცა ბრძენი ქალწულის სამყოფელ ადგილას მივიდნენ და დედოფალი იმ საგებელზე დააწვინეს, რომელზეც სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული ლოცულობდა, დედათა დიაკონმა დაიწყო ღმრთის მი-

მართ ხანგრძლივი ლოცვა-ვედრება, აიღო ჯვარი და ავადმყოფის თავზე, ფეხებსა და მხრებზე შეხებით, დავრდომილს ჯვარი გადასახა. დედოფალი მაშინვე განიკურნა და გამოჯანმრთელებული წამოდგა, ირწმუნა იესო ქრისტე და თქვა: «...„*არა არს სხუა ღმერთი, თკნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყვე ესე დედაკაცი*“...». ამის მერე დედოფალმა ღმრთისმოშიში ქალწული თავის მეგობრად გაიხადა და დაწვრილებით გამოჰკითხავდა ქრისტეს სჯულს. მაშინ ღმრთისმოსავი ქალწული, აბიათარი – ახალი პავლე და მისი ასული სიდონია მირიანის მეუღლეს ქრისტეს მოძღვრებას ასწავლიდნენ. ასეთნაირად დედოფალი მორწმუნე გახდა და ნამდვილი ღმერთი შეიცნო [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ.104-105].

თანამეცხედრის ასეთი სწრაფი გამოჯანსაღებით გაოცებული მეფე არაერთხელ ჰკითხავდა დედოფალს, თუ როგორ გამოკეთდა ასე უეცრად.

დედოფალი კი უყვებოდა, რაც გადჰხდა თავს და როგორც განიკურნა წამლის გარეშე, ჯვრის შეხებით და ხალხიც, რომელმაც ყოველივე თავისი თვალით იხილა, დედოფლის ნათქვამს ადასტურებდა.

იმ დროს მომხდარით გაკვირვებულმა მისმა უდიდებულესობამ დაიწყო ქრისტეს სჯულის შესწავლა და მრავალჯერ გამოჰკითხავდა ჰურიადყოფილ აბიათარს ძველსა და ახალ წიგნებს და ისიც ყოველივეს განუმარტავდა.

და, აი, წიგნში, რომელიც ჰქონდა მირიან მეფეს ნებროთის შესახებ, ხელმწიფემ შემდეგი ამოიკითხა: გოდოლის აშენების დროს ნებროთს ზეციდან ხმა მოესმა, რომელიც ეუბნებოდა: მე მიქაელი ვარ, რომელიც ღმრთისაგან აღმოსავლეთის მთავრად ვარ დადგენილი; გადი მაგ ქალაქიდან, რადგან ღმერთი იფარავს მაგ ქალაქს. ხოლო ბოლო ჟამს უბრალო ადამიანებს შორის მოვა ცის მეუფე, რომლის ნახვაც შენ გნებავს. მისი მეორედ მოსვლის შიშმა უაზრო გახადა ამქვეყნიური სიამენი. მეფეები მიატოვებენ მეფობას და დაიწყებენ სათნოების ძიებას; ხოლო თუკი ის გაჭირვებაში გიხილავს, გასაჭირიდან გიხსნის [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ.105].

იმისათვის, რათა მირიან მეფის მიერ წიგნებში წაკითხულის გაანალიზება გაგვიადვილდეს, შეგახსენებთ: კაცობრიობის ისტორიაში პირველი მეფე ნებროთი იყო და ამქვეყნად პირველი სამეფოც მან შექმნა.

ნებროთი ნოეს ერთ-ერთი შვილის, ქამის შვილიშვილი გახლდათ. ნებროთმა ხალხს მოუწოდა, აეშენებინათ ქალაქი და ამასთანავე – გოდოლი ცამდე. გოდოლის მშენებლობა ემსახურებოდა შემდეგ მიზანს: განმეორებითი წარღვნის შემთხვევაში ადამიანებს ჰქონოდათ თავშესაფარი და თანაც ცაში შეეხედათ. ასეთი გადაწყვეტილება და მშენებლობაში მონაწილეობა ცხადყოფდა, რომ სენაარიის მიწაზე მცხოვრებლების უმრავლესობას არ სჯეროდათ ღმრთის აღთქმის, რომელიც მან ნოეს და მის შვილებს მისცა: *«...აჰა, გიდებთ აღთქმას თქვენ და თქვენს შთამომავლობას, ყოველ სულდგმულს. რომელიც კი თქვენთან არის, ფრინველს, პირუტყვს, მიწის ყველა მხეცს, რომელიც კი თქვენთან არის, ყველას, კიდობანიდან გამოსულს, გიდებთ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად. თქვა უფალმა ღმერთმა: ეს იყოს ნიშანი აღთქმისა, რომელსაც ვდებ ჩემსა და თქვენს შორის, და თქვენთან მყოფ ყოველ სულდგმულს შორის, თაობიდან თაობამდე, სამარადისოდ; ვდებ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში ნიშნად აღთქმისა ჩემსა და თქვენს შორის...»* [დაბადება, IX, 9-13].

ამრიგად ბაბილონის კოშკის მშენებლობამ გამოააშკარავა, რომ სენაარიის დაბლობზე მცხოვრებთა უმრავლესობა წარღვნის განმეორებას არ გამორიცხავდა. ასეთნაირად, ისინი თვლიდნენ, რომ წარღვნა ბუნებრივი მიზეზებით იყო გამოწვეული და ამიტომ არ ენდობოდნენ უზენაესის აღთქმას, რითაც უარყოფდნენ ღმრთის არსებობას.

ადამიანების უგუნური და სრულიად გამოუსადეგარი შრომისაგან დახსნისა და ღმრთისაკენ შემობრუნების მიზნით ღმერთმა ინება და ერთბაშად მშენებლებს ენა აურია, რის გამოც მათ ერთმანეთისა აღარ ესმოდათ და იძულებულები გახდნენ, ხელი აეღოთ გოდოლის აშენებაზე.

ბაბილონის კოშკი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანთა ქედმაღლობის სიმბოლოს, ხოლო, მეორე მხრივ – წარმართობის საყრდენს. ბაბილონთან დაკავშირებულია ადამიანების ორგანიზებული აჯანყება ღმრთის წინააღმდეგ და ამიტომ ბაბილონი უნდობლობის და ქაოსის სიმბოლოდაა მიჩნეული.

ამასთანავე შეგახსენებთ, რომ უფალი ცოდვის ტყვეობაში მყოფთ ასე მიმართავს: *«...მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, დამმოძღვრავი სასიკეთოდ, სავალ გზაზე შენი წარმმართველი. ნეტავ ყურად-გეღო ჩემი მცნებები! მაშინ მდინარესავით იქნებოდა შენი სიმრთელე და ზღვის ტალღებივით – შენი სიმართლე. ქვიშასავით იქნებოდა შენი თესლი და მისი მარცვლებივით – შენი წიაღის ნაშიერი, არ ამოიკვეთებოდა მისი სახელი, არ გაქრებოდა ჩემს წინაშე. გამოდით ბაბილონიდან, გაერიდეთ ქალდეველებს! მხიარული ხმით გამოაცხადეთ, ამცნეთ ეს, ქვეყნის კიდემდე მიაწვდინეთ, თქვით: იხსნა უფალმა, თავისი მორჩილი...»* [ესაია, XLVIII, 17-20]. დამეთანხმებით, ბაბილონი ცოდვილი სამყაროს განსახიერებაა. ამდენად, ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას ნებროთის მისამართით თქმული: *«...„განვედ ქალაქით მაგით“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955,გვ.105] მისმა უდიდებულესობამ ცოდვის ტყვეობიდან თავის დაღწევის მიზნით წარმოთქმულ მოწოდებად აღიქვა. ასეთი შეგონება კი ხელმწიფეს მიანიშნებდა, რომ თვით მირიან მეფე გაუთვითცნობიერებლად ბაბილონში ცხოვრობდა. რაღა თქმა უნდა, ძველ და ახალ წიგნებში ამოკითხულის საფუძველზე მეფეს შემდეგი ენიშნა: მოინანიე ცოდვები, მთელი არსებით მიენდე უფალს და მოსიყვარულე ღმრთის წყალობით სამუდამო დავიწყებას მიეცემა შენი უსამართლობა, შენი აუგი, შენს მიერ ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი შეცდომები. შეისმინე ღმრთის სიტყვა და შენი სულიერი სამყარო მდინარესავით ძლიერი გახდება, ხოლო შენი სიმართლე იქნება მარადიული, როგორც ზღვის ტალღები.

ასეთნაირად, წიგნებში ამოკითხულის მიხედვით, მეფე მირიანმა შეიტყო, რომ ძველი და ახალი წიგნები ერთმანეთს ემოწმებოდნენ და ნებროთის წიგნიც (ესე იგი - წიგნი ნებრო-

თის შესახებ) იმავეს ამტკიცებდა. ამგვარად, მის უდიდებულესობას ქრისტეს სჯულის მიღების სურვილი აღეძრა. მაგრამ უხილავი მტერი, რომელიც ებრძოდა მირიანს, კერპებისა და ცეცხლის ძალის იმედს უნერგავდა და ამის გამო მეფე თავს იკავებდა, ეღიარებინა ქრისტე. თუმც დედოფალი დაჟინებით ევედრებოდა ხელმწიფეს, მაცხოვრის ჯვარი ეტვირთა. ნანა დედოფლის მოქცევიდან ერთი წლის განმავლობაში მეფე ყოყმანობდა გადაწყვეტილების მიღებას.

ამასობაში ღმრთისმოშიში ქალწული დაუღალავად ასწავლიდა ხალხს ქრისტეს სარწმუნოებას, ოღონდ არავის ეუბნებოდა, თუ ვინ იყო და საიდან მოდიოდა, არამედ თავს ტყვედ აცნობდა [მოქც. მირიან მეფისა., 1955,გვ.105-106].

ხანმოკლე დროის შემდეგ მისი უდიდებულესობის ნათესავი, მთავარი მოგვი – სახელად ხუარა დასნეულდა. სიკვდილის პირას მყოფი სასტიკად იტანჯებოდა უკეთური სულისაგან. მაშინ ნანა დედოფალი და მირიან მეფე შეევედრნენ დედათა დიაკონს, განეკურნა ავადმყოფი. თუმც ხელმწიფე ამ საქმეს ეჭვის თვალით უყურებდა [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.106 -107].

და, აი უნდობლობით შეპყრობილ მეფეს ქალწული ლოცავს: მეფეო, ქრისტეს სახელით და მისი დედისა და ყოველთა წმიდათა ვედრებით, ღმერთმა – ცისა და ქვეყნის შემომქმედმა, ყოველი დაბადებულის დამბადებელმა მოავლინოს შენზე მისი დიდი და დიდებული და აურაცხელი მოწყალებისაგან მადლის ერთი ნაპერწკალი, რათა მიხვდე და გაიგო ცის სიმაღლე და მზის ნათელი, ზღვის სიღრმე და ქვეყნის სივრცე და მისი საფუძველი. იმისათვის, რომ შეიცნო, მეფეო, ვინ მოსავს ცას ღრუბლებით და ჰაერს ქუხილის ხმით, ვისი სიმძლავრით იძვრის ქვეყანა, ვისი გულისწყრომის კვალზე აინთება ცეცხლი და ატყდება მეხისტეხა – ანუ ზღვაში დიდი ვეშაპის შეტორტმანებისას რა ზომაზე დაირღვევა მთელი ქვეყნის მთები და კლდეები [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.107].

ლოცვის დამთავრების შემდეგ დედათა დიაკონი დასძენს: მეფეო, ახლოსაა შენი მიახლება ღმრთის დასანახავად, რადგან

ამ ქალაქში ერთი სასწაულია: ღმრთის ძის სამოსელი, და როგორც ამბობენ, ელიას ხალენიც აქვე არისო, და მრავალ სასწაულს გამოაჩენს ღმერთი ამ ქალაქში. ახლა კი, მეფეო, მე შენს მთავარ მოგვს განვკურნავ ჩემი ღმრთის, ქრისტეს ძალით და მისი ჯვრით, ისევე, როგორც დედოფალი განვკურნე მძიმე სენისაგან და რაც ვაუწყე მეფის თანამეცხედრეს, იგი აღასრულებს, რათა თავისი სულიც განაბრწყინოს და თავისი ხალხიც ღმერთს მიაახლოს [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.107-108].

როცა ნეტარხსენებულს მთავარი მოგვი მიუყვანეს, სულიწმინდის მადლით შემოსილმა ქალწულმა ავადმყოფი აღმოსავლეთის მხარეს დააყენა, ხელები ზეცისაკენ ააპყრობინა და სამჯერ ათქმევინა: *«...„ვიჯმნი* (ესე იგი – განვეშორები) *შენგან, ეშმაკო, და შეუდგები ქრისტესა ძესა ღმრთისასა“...».* იმავდროულად ღმრთისმლოცველი ქალწული ტიროდა და ოხრავდა და ერთი დღისა და ორი ღამის განმავლობაში მოწაფეებთან ერთად მოგვის განსაკურნავად ღმრთისაგან შეწევნას ითხოვდა. სნეული მოგვისაგან სწრაფად გავიდა ბოროტი სული. გამოჯანმრთელებული მოგვი კი ოჯახითურთ და თავისი ხალხით დედათა დიაკონს დაემონაფა და ღმერთს ადიდებდა [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.108].

როგორც ხედავთ, როდესაც დედათა დიაკონი იესო ქრისტეს მოუწოდებს სნეულთა განსაკურნავად, დავრდომილნი მყისვე იკურნებიან, რადგან უფალს უყვარს ბრძენი ქალწული და მის ლოცვა-ვედრებას მუდამ ისმენს, რაკიღა ღმრთისმორჩილმა ქალწულმა თავის თავში ცათა სასუფეველი დაიტია.

ხანი რომ გამოხდა, ზაფხულის ერთ დღეს, ივლისის ოცს, შაბათ დღეს, მხლებლების თანხლებით სანადიროდ მუხრანისკენ მიმავალ მეფეზე უხილავმა მტერმა – ეშმაკმა იერიში მიიტანა და გულში კერპებისა და ცეცხლის სიყვარული გაუღვიძა. და იხსენებდა მისი უდიდებულესობა, თუ როგორი რუდუნებით ემსახურებოდნენ კერპებს და კერპებისადმი მსახურებისას ყოველი ქრისტიანის მახვილით ამოწყვეტას – *«...მახკლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა...»* და უთხრა ხელმწიფემ თავის ოთხ თანმხლებ პირს: ღირსნი ვართ ჩვენი ღმერ-

თებისაგან ბოროტის ქმნას, რადგან გავზარმაცდით მათ მსახურებაში და ჩვენს ქეყანაში თავის ნებაზე მივუშვით გრძნეული ქრისტიანები თავიანთი რჯულის საქადაგებლად. რადგან ისინი გრძნეულებით ახორციელებენ საკვირველებებს. ახლა ასეთია ჩემი განზრახვა, რომ ბოროტად ამოვჟლიტოთ ჯვარცმულის ყოველი მორწმუნე და უფრო მეტად ვემსახუროთ ქართლის მპყრობელ ღმერთებს, ვამხილოთ ჩემი ცოლი ნანა, რათა მოინანიოს და მიატოვოს ჯვარცმულის რჯული. ხოლო თუ არ დამემორჩილება, დავივიწყებ მის სიყვარულს და სხვებთან ერთად მასაც დავლუპავ. მეფის განზრახვას თანმხლები პირებიც დაეთანხმნენ და მისი უდიდებულესობის თანამზრახველნი გახდნენ, რადგან მათაც ამ საქმის მოგვარება ადრევე ეწადათ, მაგრამ თქმას ვერ ბედავდნენ.

ამის შემდეგ მეფემ მოიარა მუხრანის სანახები და ავიდა თხოთის მთაზე კასპისა და უფლისციხის მოსახილველად. როდესაც ქედის თხემზე გავიდა, შუა სამხრობისას მთაზე მზე დაბნელდა და ღამესავით ბნელი-უკუნი შეიქმნა. ბნელმა მოიცვა იქაურობა: *«...შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი, და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი...».* აქვე იმასაც ჩავურთავ, რომ გელასი კესარიელის, რუფინუსის, თეოდორიტე კვირელის, სოკრატე სქოლასტიკოსის, ერმია სოზომენეს ცნობების მიხედვით მაშინ, როცა მეფე ნადირობდა, ძალიან სქელმა ნისლმა – ღრმა ბურუსმა მოიცვა მთელი ტყე [გეორგიკა,1961, გვ. 189, 203, 212, 232, 238].

მზის დაბნელებისას თხოთის მთაზე მყოფნი ჭირისა და მწუხარებისაგან აქეთ-იქით გაიფანტნენ. დარჩა მეფე მარტო და მიმოდიოდა მთებსა და ტყეებში შეშინებული და შეძრწუნებული. სიცოცხლის იმედი გადაეწურა და ერთ ადგილას დადგა. როცა გონს მოეგო, გულში ასე გაიფიქრა: *«...„აჰა ესერა, ვხადე* (ესე იგი – ვუღაღადე) *ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვე ჩემ ზედა ლხინება. აწ, რომელსა-იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარცმულსა და ჰყოფს კურნებასა, მისითა მოსავობითა, არამცა ძალ-ედვაა ჴსნა ჩემი ამის ჭირისაგან? რამეთუ ვარ მე*

*ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა და არა უწყი, თუ ყოვლისა ქუეყანისათჳს იქმნა დაქცევა ესე, ანუ თუ ჩემთჳს ოდენ იქმნა. აწ, თუ ოდენ ჩემთჳს არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი; და აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანის-ვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა"...* » [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ.109-110].

თავდაპირველად იმის შესახებ, რომ მზის ასტრონომიული სრული დაბნელებისას  უკუნი წყვდიადი არ დგება და მზის ბუნებრივი, სრული დაბნელების ხანგრძლივობა, მართალია, ცვალებადია, მაგრამ 7 წუთსა და 28 წამზე დიდხანს არასოდეს გაგრძელებულა.

ასე რომ, რადგანაც მირიან მეფის მიერ თავისი ღმერთებისადმი აღვლენილი ღაღადისისას სიბნელე არ გაიფანტა და უკუნეთი იქამდე გაგრძელდა, სანამ ხელმწიფე არ მიხვდა, რომ მზის დაბნელების მიზეზი შესაძლებელია თვითვე ყოფილიყო და პირობა დადო, უკეთუ დედათა დიაკონის ღმერთი გასაჭირიდან დაიხსნიდა, მაშინ მისი უდიდებულესობა ქრისტეს აღიარებდა და რაკიღა მხოლოდ ამის შემდეგ გაიფანტა სიბნელე, ნათელია, რომ თხოთის მთაზე ოც ივლისს, შაბათ დღეს, მზის დაბნელება მზის ასტრონომიული სრული დაბნელებისათვის დამახასიათებელ ხანგრძლივობაზე დიდხანს გაგრძელებულა. ამრიგად, თხოთის მთაზე მზის ასტრონომიული დაბნელება კი არ მომხდარა, არამედ იმგვარი მზის დაბნელება განხორციელებულა, როგორი მზის დაბნელებაც მოხდა ეგვიპტეში [გამოსვლა, X, 21-23], გოლგოთის მთაზე, იესო ქრისტეს ჯვარცმისას [მათე, XXVII,45] და ახალ ინგლისში, 1780 წლის 19 მაისს.

სწორედ ამის გამო, რადგანაც მხოლოდ ქრისტეს აღიარების გულში გავლების შემდგომ გაიფანტა სიბნელე და გამოანათა მზემ, ცხადია, თხოთის მთაზე მირიან მეფეს მზე უფალმა დაუბნელა. ამრიგად, თხოთის მთაზე, მზის დაბნელებით შექმნილი უკუნი იმ სიბნელის გამოვლინებაა, რომელიც ცოდვილი მირიან მეფის არსებაში და მისი ქვეშევრდომების

სულებში იყო დასადგურებული. ასეთნაირად, ღმერთმა მირიანს აჩვენა ის წყვდიადი, რომელიც თვით მასში და მის სამეფოში არსებობდა. წარმოუდგენელია, არ გახსოვდეთ, დედათა დიაკონის მცხეთაში მისვლისას ბრძენი ქალწულის სულიერი თვალით აღქმული მირიან მეფის სამფლობელო: «...*ღმრთისა მიმართ ცდომათა მათთათჳს ქვეყანისა ჩრდილოსა, მიფარვასა მათგან ნათლისასა და უფლებასა მათ ზედა ბნელისასა...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.90].

მაშ ასე: თხოთის მთაზე გამოვლენილმა სასწაულმა მეფე დაარწმუნა ქრისტეს ძალაში და აღიარა უფალი.

მომხდარით ზეშთაგონებული მეფე ცხენიდან ჩამოქვეითდა, ხელები ცისკენ აღმოსავლეთით აღაპყრო და თქვა: «...„*შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყჳს; და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიჴსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა ესერა, მიცნობიეს* (ესე იგი - ვიცი), *რამეთუ გინდა ჴსნა ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და იჴსენებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე*“...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.110]. შემდგომ მეფემ სასწაულის არეალი მოინიშნა და ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული მცხეთისაკენ გაეშურა. გზად მიმავალ ხელმწიფეს მზის დაბნელებისას მიმოფანტული თანმხლები პირები უერთდებოდნენ; ხოლო მეფე ღაღადებდა «...„*მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე*“...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.110].

ამ დროს ნანა დედოფალი და მთელი ხალხი მეფის მისაგებებლად გამოვიდნენ, რადგან პირველად გაიგეს მირიანის დაღუპვა და შემდეგ მშვიდობით დაბრუნება. და მიეგებებოდნენ ქინძარასა და ღართაში. ხოლო ღმრთისმოსავი ქალწული მწუხრისას მაყვლოვანში ლოცულობდა ჩვეულებისამებრ და მასთან ერთად ორმოცდაათი სული. როგორც კი ხელმწიფე

მოვიდა, ქალაქი იძვროდა და მეფე ხმამაღლა ღაღადებდა: *«...„სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი – მჴსნელი ჩემი“...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.110]. როდესაც უთხრეს: მაყვლოვანშია და ლოცულობსო, თვით მეფე მირიანი მივიდა წმიდანთან. ხელმწიფე ცხენიდან ჩამოქვეითდა და ბრძენ ქალწულს უთხრა: *«...„აწ ღირს ვარ სახელის-დებად სახელსა ღმრთისა შენისასა მჴსნელისა ჩემისასა“...»* ხოლო სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული ასწავლიდა და ურჩევდა მეფეს, საჩქაროდ თაყვანი ეცა აღმოსავლეთით და ელიარებინა ქრისტე. ხოლო, როდესაც ხალხმა თვალცრემლიანი მეფე და დედოფალი იხილეს, მაშინ ტიროდა და ქვითინებდა ყველა [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.111].

აი, აღსრულდა ჯავახეთის მთაზე ფარავნის ტბასთან ბრძენი ქალწულისათვის მიცემული დავალება, მირიან მეფემ ქრისტე აღიარა და ღმრთისმოშიშ ქალწულს დედა უწოდა: *«...„სად არის ის უცხო დედაკაცი, რომელიც დედაა ჩემი და მისი ღმერთი ჩემი მხსნელი“...».*

იწამა თუ არა მირიან მეფემ ქრისტე, მეორე დღესვე მისმა უდიდებულესობამ მოციქულები წარგზავნა რომის იმპერიაში კონსტანტინე კეისართან, რომლებმაც დედათა დიაკონის ეპისტოლე წაიღეს ელენე დედოფალთან. ნერილით ბრძენი ქალწული კეისრის დედას აუწყებდა უფლის მიერ განხორციელებული სასწაულის წყალობით ქართველთა მეფის ახალ ადამიანად გარდაქმნას და საქრისტიანოს მფარველ დედოფალს სთხოვდა, რაც შეიძლება მალე გამოეგზავნა სასულიერო პირები მცხეთაში ნათლობის აღსასრულებლად.

მას მერე, რაც მისმა უდიდებულესობამ იწამა უფალი, ბრძენი ქალწული და მისი მოწაფეები დღე და ღამე დაუცხრომლად უქადაგებდნენ მეფის ქვეშევრდომთ სასუფევლის გზას [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.110-111].

ამავე დროს მეფე თხოთის მთაზე ქრისტესათვის მიცემული აღთქმის აღსასრულებლად – უფლის სახლის ასაშენებლად იწყებს ზრუნავას.

იმისათვას, რომ გავერკვეთ, თუ რა მიზნით იღვწის ბრძენი

ქალწული მცხეთაში, კიდევ ერთხელ გულდასმით გადავავლოთ თვალი დედათა დიაკონის მოღვაწეობას ქართველთა ქვეყანაში.

აი, რას მოგვითხრობს მემატიანე სამეფო ბაღში ეკლესიის აღმართვის თაობაზე:

მას შემდგომ, რაც მეფე მირიანი ქრისტეს მსახურებისათვის განიმსჭვალა, *«...ჰრქუა მეფემან წმიდასა ნინოს: „მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღმრთისასა; სადა აღვაშენო?" ჰრქუა წმიდამან ნინო: „სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს". ჰრქუა მას მეფემან: „მიყუარან მე მაყუალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ვყო ესრეთ, არამედ არა ვრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა, და ნაძუთა ამათ სიმაღლესა, და ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა სურნელებასა. რამეთუ ჩუენება, რომელი იხილე შენ – მფრინველთა მათ ფრთითა უშუერითა განბანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ, და დასხდომა მათი ხეთა მათ ზედა სამოთხისათა და ჴმობა მათი ჴმითა ტკბილითა, – ჭეშმარიტად სამოთხე ესე ჴორციელი წარმწყმედელი შეგუეცვალოს სამოთხედ საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩუენდა ვიდრე მოსლვადმდე მღდელთა საბერძნეთით...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.111]. როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ მის უდიდებულესობას ქრისტეს სახლის აშენება მიზანშეწონილად მაყვლოვანი ბუჩქნარის სიახლოვეს მიაჩნია, იქ, სადაც სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა ჯვარი აღმართა და ლოცულობდა, ხელმწიფე ითვალისწინებს უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის ხილვას და დედათა დიაკონის საღმრთო ჩვენებით ზეშთაგონებული გადაწყვეტს, ეკლესია სამეფო ბაღში ააგოს.

ცხადია, ვინაიდან მირიან მეფემ საკუთარი სურვილის უგულებელყოფით, დედათა დიაკონის საღმრთო ხილვის შესაბამისად განსაზღვრა ეკლესიის აგების ადგილი, მაშასადამე, ბრძენ ქალწულს ფარავნის ტბასთან ძილში ღმრთივმიმადლებულ სიზმარში ნანახი, უფლის მიერ დასახული ამოცანის განსახორციელებლად წინასწარ შეუმზადებია მისი უდიდებუ-

ლესობა სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად ისე, რომ თვით ხელმწიფე ამას ვერც მიხვედრილა.

ეს რომ ასეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ეკლესიის აგების შემდგომ სამეფო ქალაქში მაცხოვრისაგან მომდინარე საღმრთო სიწმინდის არარსებობის გამო დადარდიანებულ მეფეს ღმრთის მლოცველი ქალწული შემდეგი სიტყვებით ამშვიდებს: *«...ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს: სადაცა მივიდოდიან, დასთესვიდენ სახელსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა. მაშინ მოიყვანა მეფემან აბიათარ მღდელი და მის თანა ჰურიანი მრავალნი, და გამოიკითხა მათგან კუართისა მისთჳს. ხოლო მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემო წერილ არს. მაშინ აღიპყრნა ჴელნი მირიან მეფემან და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო; რამეთუ პირველთაგანვე გინდა ჴსნა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა. ამისთჳს სამოსელი იგი შენი წმიდა წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალემით ებრაელთა მათ, ღმერთეებისა შენისაგან უცხო-ქმნილთა, და მომეც ჩუენ უცხოთა ნათესავთაგან"...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.118]. უცილობელია, რადგანაც ხელმწიფე მხოლოდ ეკლესიის აგების შემდგომ იგებს მცხეთაში უფლის კვართის სუფევის ფაქტს, მაშასადამე, მირიან მეფისათვის უცნობია, თუ რატომ იღვწის დედათა დიაკონი სამეფო ბაღში ეკლესიის ასაშენებლად.

მართალია, ერთხელ, როცა მირიან მეფემ განსაკურნავად ბრძენ ქალწულთან მთავარი მოგვი მიიყვანა, სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულსა და მის უდიდებულესობას შორის გამართული საუბრისას, ბრძენმა ქალწულმა ხელმწიფეს მოახსენა ქართველთა ქვეყნის დედაქალაქში ღმრთის ძის სამოსელის სუფევის თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დროს კერპთაყვანისმცემელი მეფე მისთვის უცხო და მიუღებელი რელიგიის აღმსარებელს ყასიდად უსმენდა.

ასე იყო თუ ისე, ხელმწიფესა და ღმრთისმოსავ ქალწულს შორის გამართული დიალოგიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ დედათა დიაკონის მონაყოლით შთაგონებუ-

ლი მირიან მეფე ლოცვაში ჩაძირული ნეტარი ქალწულის მიერ მრავალგზის ხილული ჩვენების შესაბამისად, ბრძენი ქალწულის ხილვისას წარმოჩენილ სამყაროს – *«...მოვიდიან მფრინველნი ცისანი, ფერითა შავნი, და შთავიდიან მდინარესა მას შინა, განიბანნიან და განსპეტაკნიან, და აღვიდიან სამოთხესა მას, ბაბილოსა მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და ესრეთ მოწლედ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მივლენ, რეცა მისი არს სამოთხე იგი, გარე-მოადგიან ჟივილით შუენიერად...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.101], სამეფო ბაღთან აიგივებს, რომლის *«...ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა სურნელებასა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.111] ბადალი არ მოეძებნებოდა – იმ ადგილთან სადაც ღმრთისმოსავ ქალწულს უფლის უნაკერო კვართი ეგულება დაფლული და რომელი ადგილიც ნართაულად ღმრთისმოსავ ქალწულს ასეთნაირად მიანიშნეს: *«...„არს ადგილი იგი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ“...».* თუმც თვით დედათა დიაკონი მეფის სამოთხეში ეკლესიის აგების ნამდვილ მიზეზს მის უდიდებულესობას არ უმხელს.

მას შემდგომ, რაც მეფე მიიღებს გადაწყვეტილებას ეკლესიის აგების თაობაზე, მემატიანე გვამცნობს, რომ მისმა უდიდებულესობამ *«...მეყუსეულად მოიღო ძალი და ასწავებდა ხუროთა, და მოჰკუეთა ნაძკ იგი და ნაძკსა მისგან შემზადნა შკდნი სუეტნი ეკლესიისანი. და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართნეს ექუსნი იგი სუეტნი თკს-თკსად. ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკკრველ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა. და აუწყეს მეფესა საკკრველი იგი ყოვლად ვერ-ძრვა ადგილითცა სუეტისა მის. მაშინ მოვიდა მეფე სიმრავლითა ერისათა. და მოიხუნეს მრავალღონენი მანქანანი, და სიმარჯკთა და ერისა სიმრავლისა ძალითა ეცადნეს აღმართებად და ვერ შეუძლეს. და იყო დაკკირვებულ მეფე და სიმრავლე ერისა, და იტყოდეს:" რა-მე არს ესე"? და ვითარ იქმნა მწუხრი, წარვიდა მეფე სახიდ თკსად, შეწუხებული დიდად....»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.112].

ამრიგად, ჟამთააღმწერლის ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესიის მშენებლობისას ტაძრის ცენტრალური სვეტის აღმართვას ძეხორციელი ვერ შეძლებს. მომხდარით ყველა გაოგნებულია.

მაშინ სვეტისაკენ დედათა დიაკონი გაემართება და მასთან ერთად მისი თორმეტი მოწაფე.

ბრძენი ქალწული გონებით ჩასწვდება, რომ რწმენის შესაბამისად გაართმევს თავს საწადელს, მოვალეობის გრძნობით შემკრთალი გულამოსკვნით ატირდება  და მისი ცრემლები სვეტს დაედინება.

და, აი, ამ დროს უფლის მიერ მოხმობილი ქალწულის ერთგული მოწაფე სიდონია ფართოდ გახელილი სულიერი თვალით შემდეგს ხედავს: *«...ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგჳ გარდამოჴდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგჳნვანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს. ხოლო ნეტარი ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს. ხოლო ჴმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თჳსსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მაღლისაჲთა და ჯუარითა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ". და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი, და იყო არა რა.*

*და დადგა წმიდა ნინო, განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: „რაჲთა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე". კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთავე კართა ქალაქისათა, დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან: დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი*

*სპარსთა ლაშქრითა; და შეიქმნა ჴმა ზარისსაჴდელი, ზრზინვა, და ყივილი, და კლვა. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა, და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახჳლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჴორცნი  და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა თჳსთა.*

*და მსწრაფლ ისმოდა, ჴმობდეს რაჲ ძლიერად: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურია განარინეთ პირისაგან მახჳლისა". ესე რა მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა; და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი გარემოს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.*

*და ისმა ჴმაჲ ძლიერი – "მირიან მეფე შეიპყრესო". გარემოიხილა მჴნემან მოღუაწემან და თქუა: „ესე რომელ ყივის, ვიცი რომელ აწ სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დიდებისა". და ნუგეშინის – გუცემდა, ვითარცა მოძღუარი ჴელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.*

*მიექცა ერსა მას მომავალსა და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახჳლი დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოჲთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქუენ ევლტით". და განძრა ჴელი ჯუარისსახედ და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი. და იქმნა დაყუდება დიდი, და დედანი იგი ჰნატრიდეს მას და ადიდებდეს ღმერთსა.*

*ხოლო ვითარცა ცისკარი აღეღებოდა, და მიერულა ყოველთა მათ დედათა. ხოლო მე, სიდონია, მღჳძარე ვიყავ. და იგი დგა ჴელგაპყრობით. აჰა ესერა, ზედა-მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა, და ჰრქუა რაჲმე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა, და ჭაბუკმან მან შეჰყო ჴელი სუეტსა მას და აღმართა და წაიღო სიმაღლესა შინა. და განკკრვებული*

*მივეახლე მას და ვარქუ ესრეთ: „დედოფალო, რაჲ არს ესე?" ხოლო მან მრქუა: „მოიდრიკე თავი ქუეყანად", და ტირილად იწყო ზარისა მისგან. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა. ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდე, იხილეს მათცა სუეტი იგი, ცეცხლისსახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძჳსასა...»* [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ. 112-114].

სიდონიას ხილვის კითხვისას თუკი გაითავისებთ, რომ „უჩინო და ცხადი" დროით არ არის შემოსაზღვრული, ისეთი განცდა დაგეუფლებათ, თითქოს სვეტთან დაყუდებულთა გვერდით იმყოფებოდეთ. მათ კი, რომელთაც მოუცლელობის გამო დრო არ რჩებათ, ჩაუღრმავდნენ სიდონიას სულიერი თვალით დანახულს, განვუმარტავ: მას შემდგომ, რაც დედათა დიაკონის ლოცვა-ვედრება შესმენილ იქნა, შუაღამისას ცისა და ქვეყნის შემქმნელის ნებით წარმართული ღვთაებების თაყვანისცემის ადგილები, არმაზისა და ზადენის მთები, ჩამოიქცა. მთების დაქცევამ მდინარეები – მტკვარი და არაგვი გააჩერა. ამ დროს დატბორილმა მტკვარმა გადმოხეთქა და წალეკა ქალაქი. იმავდროულად შეკავებული არაგვი ღვარად გადმოედინა ციხეს, რამაც შემზარავი გრგვინვა გამოიწვია. საშინელი ნგრევისას ისმოდა საზარელი მოთქმისა და გოდების ხმა. ამავდროულად, ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა, წყლები დაწყდა.

მეტსაც გეტყვით: უწყლო მიწა – უდაბნოა.

ასეთნაირად, განგების ძალით დედათა დიაკონთან ერთად სვეტთან დაყუდებული დედაკაცები უდაბნოში აღმოჩნდნენ. უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის მონაფეთაგან, სიდონიას გარდა, ყველას შეეშინდა და უდაბური ადგილიდან გაღწევას ლამობდა. გაოგნებულებს ღმრთისმოსავი ქალწული ეუბნებოდა: ნუ გეშინიათ, დებო, მთები იქვე დგანან, წყლებიც იქვე მიედინებიან და ხალხსაც მშვიდად სძინავს. ხოლო ის, რომ, თითქოს, მთები ჩამოიქცა, ამას თქვენი სულიერი თვალით ხედავთ, რადგან ურწმუნოების მთები დაიქცა ქართლში და ასეთნაირად წყლების გაჩერება, კერპებისადმი შეწირული ყრმების სამსხვერპლო სისხლის შეჩერების ნიშანია.

ხოლო ძლიერი გოდების ხმა, რომელიც თქვენ გესმით, ეშმაკთა მრავალრიცხოვნების მაუწყებელია, რომლებიც თავიანთ თავს გლოვობენ, რადგან უზენაესის ძალითა და ქრისტეს ჯვრით ამ ადგილებიდან ძლეულნი არიან. დაბრუნდით და უფლისა მიმართ ილოცეთ. ამ სიტყვების წარმოთქმისას მყისვე დაცხრა გოდების ხმა, სიწყნარემ დაისადგურა და აღარაფერი იყო.

შემდგომ დედათა დიაკონი შეჩერდა, ხელები მაღლა აღაპყრო და უფლის მიმართ დაიწყო ლოცვა, რათა მირიან მეფის მესვეურობით წამოწყებული ეკლესიის მშენებლობა არ შეფერხებულიყო.

მოგვიანებით, ვიდრე მამალი იყივლებდა, სიდონია სრულად გახელილი სულიერი თვალით ხედავს, რომ სპარსელების ძლიერმა ლაშქარმა ქალაქის სამივე კართან შიშის ზარი დასცა – დალეწეს კარებები და ქალაქი სპარსული ჯარით გაივსო. სპარსელები ხოცავდნენ ხალხს, ისმოდა შიშის მომგვრელი ქვითინი და ყვირილი, ყოველ ადგილას სისხლი იღვრებოდა.

ადვილი მისახვედრია, მშენებარე ეკლესიის ადგილის დასაპატრონებლად მოსულ ქალაქის ამაოხრებელ ბოროტ სულებს სიდონია სპარსელებად მოიხსენიებს ( იხილე: დანიელ წინასწარმეტყველი X,13 ).

და, აი, ამ დროს სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის მიერ ეკლესიის ასაგებად აღვლენილი ლოცვისას მშენებარე ეკლესიის შემოგარენში მოვიდნენ „*მახვილოსნები*“ «*... და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახკლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჴორცნი და განილია სული მათი...*» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.113]. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: „*მახვილოსნები*“ ისინი არიან, რომლებიც საბას სამეფოდან (ესე იგი - საბასტანიდან) მოვიდნენ, ლომისებური ღრიალითა და მახვილებით. ნათქვამი სადავო არ უნდა იყოს, ვინაიდან, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული ბოროტი სულების დამმარცხებლებს შემდეგნაირად მიმართავს: «*...„საბას სამეფოდან გუშინ წამოსულები მალე მოხვედით, ძლიერი ლაშქარი ხართ, ღონივრად დაეცით მახვილი და დალეწეთ ურწმუნოთა ქალაქი. ამგვარად, ქარსა და ნიავს გაატანეთ ქარ-*

*თველთა ქვეყნის მთებისა და ტყეების ბნელეთი"...»*, ამრიგად, ციტირებული მიმართვიდან ირკვევა, რომ *„მახვილოსნები"* სწორედაც ისინი არიან, რომლებიც საბას სამეფოდან მოვიდნენ. ასეთნაირად, *„სხვებში"* იგულისხმებიან ქალაქის ამაოხრებელი სპარსელები, რომელთაც *„მახვილოსანთა"* შიშით ხორცი ადნებოდათ და სული სძვრებოდათ, თანაც სულთმობრძავნი თავიანთ ნათესავებს ტიროდნენ. ამდენად, ციტირებული მიმართვიდან ირკვევა, რომ *„მახვილოსნები"* იმათ ეწოდებათ, რომელნიც საბას სამეფოდან მოსულან სპარსელების გასანადგურებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, საბას სამეფო ეთიოპიელთა სამკვიდროა. *«მოვიდენ მოციქულნი ეგვიპტით, ჰინდოეთმან უსწროს ჴელისა მიცემად ღმრთისა»* [ფსალმუნი, LXVII,32]. საყოველთაოდ ცნობილია, ფსალმუნის ქართულ ვერსიაში მოხსენიებული *„ჰინდოეთი"* ეთიოპიას შეესაბამება. მაშასადამე, სულიწმიდის შთაგონებით დაწერილი წინასწარმეტყველება *«...ეთიოპია ხელს გაუწოდებს ღმერთს...»*, რომელსაც სასოებით ისმენს ყოველი ქრისტიანი, ქართულ სამყაროში უფლის კვართის დაფვლის ადგილას ეკლესიის მშენებლობისას ხორციელდება.

ნათელია, იმ ადგილას, სადაც უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწული ეკლესიის ასაგებად ლოცვას აღავლენს, იმავე სივრცეში საბას სამეფოდან მოვლენ ღმრთის მადიდებლები მშენებარე ეკლესიის შემოგარენიდან ავი სულების გასადევნად.

*„მახვილოსანთა"* შიშით სპარსელებს ხორცი ადნებოდათ და სული სძვრებოდათ. სულთმობრძავნი თავიანთ ნათესავებს ტიროდნენ, იმავდროულად ისმოდა ხმამაღალი მოწოდება: მეფეთმეფე სპარსელთა ბრძანებს: ყოველი ჰურია გაანადგურეთ მახვილის პირით. ამ სიტყვების მოსმენის შემდგომ, – იგონებს სიდონია, – როდესაც გონს მოვეგე, მეც და ჩემთან ერთად მყოფი ათივე დედაკაცი დავეჭვდით, რომ სპარსელები თავიანთი მეფეთმეფის ბრძანების განხორციელებას შეძლებდნენ, რადგან მახვილოსნები ცოცხლად დარჩენილი სპარსელების ხოცვით უახლოვდებოდნენ ჩვენს ადგილსამყოფელსო.

ერთია კიდევ: ვინაიდან, სიდონიასთან ერთად ათი დედაკაცილა ფხიზლობს, მაშასადამე, ცაში გამართულ ომს დედათა დიაკონის თორმეტ მონაფეთაგან თერთმეტილა ადევნებს თვალს. მიხვდით, ალბათ, ამასობაში ბრძენი ქალწულის თორმეტი მონაფიდან ერთ-ერთს აღარ შესწევს სულიერი სიფხიზლე და ჩასძინებია.

მოულოდნელად ისმის ხმა: «...„*მირიან მეფე შეიპყრესო*"...». ნათელია, განადგურების პირას მყოფმა სპარსელებმა მისი უდიდებულესობის მიერ ქრისტეს აღიარება მეფის შეპყრობად მიიჩნიეს, რადგან, ამიერიდან, ქაჯებისთვის მირიან მეფე ქრისტეს პატიმარია, ანუ ტყვე – «*ამისათვის მე, პავლე, ქრისტეს პატიმარი თქვენთვის, წარმართებისათვის*» [ეფს. III,1]. ( ამასთანავე იხილეთ: ეფს. IV, 1; VI ,20; კოლ. IV,3,18; ფილიპ. I,7,13,17; ფილიმ. 9;13 ). «...„*მირიან მეფე შეიპყრესო*"...» შეძახილის გაგონებაზე ბრძენმა ქალწულმა მიმოიხედა და თქვა: ვიცი, ვინც ამ სიტყვებს იძახის, ამჟამად ძალიან უჭირს. ამავდროულად სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული მადლობას სწირავდა ღმერთს და გარშემო მყოფთ განუმარტავდა, რომ ეს წამოძახილი ავი სულების დაღუპვის, ქართველთა ქვეყნის მარადიული არსებობის და ამ ადგილის დიდების მაუწყებელიაო «...„*ესე რომელ ყივის, ვიცი რომელ აწ სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დიდებისა*"...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.113].

შემდგომ სიდონია სულიერი თვალით ხედავს, რომ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული მიუბრუნდა საბას სამეფოდან მოსულ ლაშქარს და ღმრთის სადიდებლად შემართულ მებრძოლებს შემდეგნაირად მიმართავს: «...„*სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახვლი დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით*"...»

[მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.113-114]. როგორც ხედავთ, დამოწმებული კითხვითი, ზმნიზედიანი – უარყოფითი წინადადების დასაწყისი იმას გვაუწყებს, რომ დედათა დიაკონი აღფრთოვანებულია, რადგან აღარსად აღარ არიან სპარსელი მეფეები და განაგრძობს: საბას სამეფოდან გუშინ წამოსულები მალე მოხვედით, ძლიერი ლაშქარი ხართ, ღონივრად დაეცით მახვილი და დალეწეთ ურწმუნოთა ქალაქი. ასეთნაირად, ქარსა და ნიავს გაატანეთ ქალაქ მცხეთის მთათა და კედართა ბნელეთი. დარწმუნებული ვარ, მიხვდით, ღმრთის მადიდებლების შეწევნით ბოროტი ძალების განდევნისას – ბნელეთის გაფანტვით განათდა ქალაქი. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ: *«და ქალაქსა მას არა უჴმს მზე, ანუ მთოვარე მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი»* [გამოცხადება, XXI,23]. დასასრულს ბრძენმა ქალწულმა ღმრთის მადიდებლებს, მათ ვინც ღმერთს უწვდის ხელს, ასე მიმართა: *«...„აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით“...»* ხელით ჯვარი გამოსახა და მყისვე ყოველივე უჩინო გახდა.

მაშ ასე: ცაში გამართული გადამწყვეტი ბრძოლა ბოროტ სულებსა და ქრისტეს ერთგულთა შორის ღმრთის მადიდებელთა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

იმავდროულად სვეტთან დაყუდებული დედაკაცები ადიდებენ ღმერთს და შენატრიან სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის სიდიადეს.

დედათა დიაკონი კვლავ ხელებაპყრობილი განაგრძობს ლოცვას.

ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ: მორწმუნეთათვის ჭეშმარიტი ეკლესია მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე უდაბნოსაა შეფარებული [გამოცხადება, XII,6, 14].

ახლა, როცა ცხადი გახდა, რომ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის ხილვის შესაბამისად შერჩეულ ადგილას – არმაზისა და ზადენის მთების დაქცევის სივრცეში – მირიან მეფის ხელმძღვანელობითა და ბრძენი ქალწულის ლოცვა-ვედრებით მშენებარე ეკლესია უდაბნოში შენდება, ნათელია,

დედალ ორბს შედარებული დედათა დიაკონი იმ დედაკაცის სადარია, რომელსაც უდაბნოში გასაფრენად არწივის ორი ფრთა მიეცა *«და მიეცნეს დედაკაცსა მას ორნი ფრთენი არწივისა მის დიდისანი, რაჲთა ფრინვიდეს უდაბნოდ ადგილსა მისსა, რაჲთა გამოიზარდოს მუნ წელსა და წელთა და კერძოსა წელიწდისასა პირისაგან გუელისა მის»* [გამოცხ., XII,14]. ცხადია, დედაკაცს ფრთების მიცემით ღვთაებრივი ძალა ებოძა. უეჭველია, სწორედ ამგვარივე ძალა შეიცნო სარა ბეთლეემელმა თავის აღზრდილში და ამიტომაც შეადარა უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწული დედალ ორბს. არც შემცდარა, ღმრთისმოსავი ქალწული ხომ იმ მიმართულებით გაეშურა, საითაც ეს დედაკაცი გაემართა: *«და დედაკაცი იგი ივლტოდა უდაბნოდ, სადა-იგი აქუს მუნ ადგილი განმზადებული ღმრთისა მიერ, რაჲთა მუნ გამოზარდონ იგი ათას ორას და სამეოც დღე»* [გამოცხ. XII,6]. უფლის ნების აღმსრულებელი ბრძენი ქალწული აკი უდაბნოში მივიდა, სადაც იესო ქრისტეს კვართის დაფვლით შემზადებული იყო ადგილი ღმრთისაგან ეკლესიის ასაშენებლად და უფლის მიერ გადაშლილი წიგნით ნაუწყები გამოცხადებით საზრდოობდა სამ წელზე მეტხანს ღმრთის ჩანაფიქრის აღსასრულებლად.

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს:

განთიადისას ღმრთისმოშიში ქალწულის მოწაფეებს, სიდონიას გარდა, სულიერი თვალი მიელულათ და ჩაეძინათ. მხოლოდ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული და ერთადერთი მისი მოწაფეთაგანი, სიდონიაღა ფხიზლობენ.

და, აი, სიდონია ცხადად ხედავს, რომ ლოცვისას ღმრთისმორჩილ ქალწულს ზეციდან თავს დაადგება ნათლით შემკობილი, ცეცხლის ზეწარში გახვეული ჭაბუკი, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა ბრძენ ქალწულს. დედათა დიაკონი შიშისაგან მიწაზე დაემხობა, ხოლო ჭაბუკი ხელს შეახებს სვეტს, მაღლა ასწევს და ზეცისაკენ წაიღებს. ამ დროს მომხდარით გაოგნებული სიდონია ღმრთის მლოცველ ქალწულს ეკითხება: *«...„დედოფალო, რა არს ესე?"...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.114]. მიუხედავად იმისა, რომ კითხვა-პასუხის დრო არ არის,

მოციქულად წარგზავნილი ქალწული მიუგებს: «...„*მოიდრიკე თავი ქვეყნად*“...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.114] და შიშისაგან ატირდება.

თუ რა იხილა დედათა დიაკონმა, ამის თაობაზე მემატიანე არაფერს გვამცნობს; ალბათ, იმიტომ, რომ ღმრთისმოშიშ ქალწულს ამის შესახებ არავისთან არაფერი მოუყოლია...

მცირე ხნის შემდეგ სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული წამოდგება, წამოაყენებს სიდონიას და ორივენი გაშორდებიან საღმრთო სასწაულის გამოვლინების ადგილს. ხოლო, იმ დედაკაცებმა, რომლებიც დედათა დიაკონთან ერთად სვეტთან იყვნენ დაყუდებულები და სულიერი თვალი მიელულათ, მხოლოდ ზეციდან ცეცხლის სახედ დაშვებული სვეტი იხილეს, რომელიც უახლოვდებოდა თავისსავე ხარისხს.

მაშ ასე: გამოდის, რომ ცისა და ქვეყნის გამგებლის ჩანაფიქრის შესაბამისად, ნათლით შემკობილი ჭაბუკის მიერ ცის ტატნობზე ატანილი სვეტი, ღმრთის ნებით, თავისსავე ძირს ცეცხლოვან სვეტად დაემყარა. ცხადზე ცხადია, იმავდროულად ცეცხლოვანმა სვეტმა მშენებარე ეკლესიის სივრცე უწმინდურებისაგან გაწმინდა: «*და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა და გარე-მოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეყუარებულსა. და გარდამოჴდა ცეცხლი ზეცით და შეჭამნა იგინი*» [გამოცხადება, XX, 9]. ასეთნაირად, ღმრთის გამოგზავნილი ცეცხლის ძალით მშენებარე ეკლესიის სივრცე განიწმინდა.

როგორც სიდონიას მონათხრობიდან ირკვევა, როდესაც ჩვენების ხილვისას სიდონიას ჩაესმა ის სიტყვები, რომლითაც ბრძენმა ქალწულმა ღმრთის მადიდებლებს მიმართა: «...„*აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით*“...», იმ დროს ცხადში დედათა დიაკონს თავს ზეციდან ნათლით შემკობილი ჭაბუკი წამოადგა, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს.

ვფიქრობთ, ნათლით შემკობილი ჭაბუკის მიერ თქმულ სამ სიტყვას უნდა ამჟღავნებდეს დედათა დიაკონის მიერ ღმრთის მადიდებლებისადმი მიმართვისას წარმოთქმული სიტყვები:

*«...„აჰა მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით"...»*. ვინაიდან ბრძენი ქალწულის ნათქვამი შინაარსობრივად მოლოდინის აღსრულებით გამოწვეული სასიხარულო უწყების შემცველი მიმართვაა, ამდენად, სამი სიტყვით აღთქმა უნდა იყოს გადმოცემული, რომლის აღსრულება სიხარულით ამცნო დედათა დიაკონმა გარშემო მყოფთ. შეგახსენებთ, სამი სიტყვისაგან შემდგარი აღთქმა თავის დროზე იესო ქრისტემ წარმოთქვა: *«აჰა მოვალ ადრე. ...»* [გამოცხადება, III, 11]. მაშასადამე, ნათლით შემკობილ ჭაბუკს ბრძენი ქალწულისთვის უთქვამს იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმული აღთქმა, რომელიც სწორედ სამი სიტყვისაგან შედგება: *«აჰა მოვალ ადრე. ...»*. ასე რომ, ნათლით შემკობილი ჭაბუკის სახით ბრძენ ქალწულს მაცხოვარი გამოსცხადებია. ბარემ აქვე დავძენ, წინადადებაში: *«აჰა მოვალ ადრე. ...»* სიტყვა *«ადრე»* მხსნელის უეცრად მოსვლაზე მიგვანიშნებს. და, აი, ქრისტეს მეორედ მოსვლის მომლოდინეთ, რომელნიც სასოებით მოელიან უფლის მეორედ მოსვლას და რომლებმაც ამნაირად უპასუხეს მესიის აღთქმას: *«...და სული და სძალი იტყჳან: მოვიდოდე! და რომელსა ესმას, თქუნ: მოვიდოდე! და რომელსა სწყუროდის, მოვიდოდენ, რომელსა ჰნებავს მიღებად წყლისა მის ცხოველისა უსასყიდლოდ...»* [გამოცხადება, XXII, 17], დედათა დიაკონი ატყობინებს: *«...„აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით"...»*. რითაც ღმრთის მადიდებლებს ამცნობს, რომ იესო ქრისტეს აღთქმა: *«აჰა მოვალ ადრე. ...»* აღსრულდა. ასე რომ, სიბნელის გაფანტვით ნათელი გამობრწყინდა და ამნაირად საღმრთო სულიერებამ მოიცვა ქალაქი მცხეთა: *«და ქალაქსა მას არა უჴმს მზე, ანუ მთოვარე მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი»* [გამოცხადება, XXI,23].

დააკვირდით, ვინაიდან დედათა დიაკონი მომავალზე აწმყო დროში საუბრობს, მაშასადამე მშენებარე ეკლესიის შემოგარენში ღმერთი გამოვლინდა და ამდენად მცხეთაში საღმრთო სრულყოფილება დამყარდა. რამდენადაც საღმრთო სრულყოფილება უცვლელია, ამიტომ იქ, სადაც არ არის ცვალებადობა, დროზე საუბარი უაზრობაა. ასე და ამრიგად, დე-

დათა დიაკონი ღმრთის მადიდებლებს აწმყო დროში მომავალზე ელაპარაკება.

ასეთნაირად, ხილვისას, როდესაც სიდონიამ დედათა დიაკონის წარმოთქმული სიტყვები მოისმინა: «...„*სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახკლი დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით*“...» მაშინ დედათა დიაკონმა მომავალი მოვლენა, მაცხოვრის მეორედ მოსვლა, როგორც სინამდვილეში მომხდარი ისე იხილა და განცდილი ღმრთის მადიდებლებს შემდეგი სიტყვებით აუწყა: «...„*აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით*“...».

მაშ ასე: ნათლით შემკობილი ჭაბუკის სახით ბრძენ ქალწულს უდავოდ იესო ქრისტე გამოსცხადებია.

დარწმუნებული ვარ, მიხვდით, ამ დროს სიდონიამ ღმრთის დიდება იხილა.

ამგვარად იესო ქრისტეს გამოცხადების სასიხარულო მოვლენამ ისეთი ზემოქმედება მოახდინა ღმრთისმოშიშ ქალწულზე, რომ დედათა დიაკონი მიწაზე დაემხო, ამ დროს კი უფალმა ხელი შეახო სვეტს, მაღლა ასწია, ზეცისაკენ წაიღო და საღმრთო ძალით ზეციდან ცეცხლის სახით დაუშვა.

ეჭვი არ არის, უფლის განუყოფელ კვართზე ეკლესია ღმრთის შეწევნით შენდება.

ვიდრე მსჯელობას განვაგრძობდეთ, გადავუხვევ სათქმელს და ჩავურთავ –შემთხვევითობას არ უნდა მიეწერებოდეს ის ამბავი, რომ ბრძენი ქალწულის ლოცვით, ანგელოზის მიერ სვეტის ზეცად აღმართვისას, უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის ერთგული მოწაფე სიდონია დედათა დიაკონს დედოფლის ეპითეტით მიმართავს: «...„*დედოფალო, რა არს ესე?*“...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.114]. საინტერესოა, რომ ასევე მოიხსენიებს წმიდანს სვეტის ხარისხზე დამყარების შემდეგ სვეტიცხოვლის მადლით შვილის განკურნების მოიმედე დედა: «...*მოხედენ, დედოფალო, ძესა, ამას ჩემსა*...»

[მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.115]. სვეტიცხოვლის ძალით განკურნებული ყრმაც ამგვარადვე მიმართავს სულიწმიდის მადლით შემოსილ ქალწულს: *«...„ჰე, დედოფალო, მრწამს იესუ ქრისტე, მჴსნელი დაბადებულთაჲ"...»* [მოქც. ქართ., 1963, გვ.143]. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ღმრთისმოსავ ქალწულს დედოფლის ეპითეტით სხვა შემთხვევებშიც მხოლოდ მისი ლოცვით სვეტის სასწაულებრივი აღმართვის შემდეგ მიმართავენ.

მოგეხსენებათ, ქართულ ენაზე მეტყველთათვის დედოფალი ეწოდება მეფის ცოლს, ანდა ქალს, საქორწინო გვირგვინის კურთხევისას.

თქმა არ უნდა, ქალწულობის აღთქმის ერთგული დედათა დიაკონი, რომელსაც მეფე თავის სულიერ დედად მოიხსენიებს (*«...სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი...»*) [მოქც. მირიან მეფისა.,1955 გვ.110], უდავოდ მექორწილე დედოფალია.

დიახ, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქალწულობის აღთქმა ქორწილთანაა დაკავშირებული.

როგორც უკვე აღინიშნა, ქალწულობის აღთქმა მოასწავებს სხეულის ღმერთთან ინტეგრაციით საღმრთო ძალის თაყვანისცემას. ასე რომ, დიაცი, რომელმაც თავისი ქალწულობა უფალს მიუძღვნა, იდეალური მორწმუნეა.

ამასთანავე გაგახსენებთ: რელიგიური ქალწულობის არსი ეკლესიის ერთგულებაა.

ასეთნაირად, ნათელია, დედათა დიაკონი, მისთვის დამახასიათებელი იდეალური რწმენის გამო, იმდენად სრულყოფილ არსებადაა აღიარებული, რომ ქრისტეს სძალს განასახიერებს.

მაშასადამე, დედოფლის ეპითეტით მოხსენიებული ბრძენი ქალწული უფლის სძლად შერაცხული დედოფალია. ამასთან დაკავშირებით გაგახსენებთ ფრაგმენტს უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი დედაკაცისადმი მიძღვნილი საგალობლიდან, რომელიც X საუკუნეში მოღვაწე ჰიმნოგრაფმა, მიქაელ მოდრეკილმა შექმნა:

*«...სძალსა ქრისტჱსსა ნინოს, ქართლისა ქადაგსა,*

*ვარსკულავსა მნათობსა, საღმრთოჲთა მით ნათლითა*

*კერპთა სიბნელისა მაოტებელსა, მოვედით, შევამკობ-*
*დეთ;*

*გაიანეს და რიფსიმეს და მჴნესა შუშანიკს მათ თანავე*
*ვაქებდეთ...»*[*]

გარდა ამისა, ღმრთისმოსავ ქალწულს ქრისტეს სძლად მოიხსენიებს XI საუკუნეში, ათონის ივერიის მონასტერში მოღვაწე გიორგი ათონელი თავის საგალობელში « წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი»:

*«...შენ რომელი უქორწი[ნებელ]...*
*განათლებული ქუეყანაჲ შენ მიერ ქადაგებითა*
*დღეს მიცვალებასა შენსა, ნინო, დღესასწაულობს*
*და კრებული მორწმუნეთაჲ გევედრების შენ,*
*სძალო ქრისტესო, ითხოვენ ჩუენთჳს წყალობაჲ...»*[**]

ასევე ქრისტეს სძალს უწოდებს დედათა დიაკონს XIII საუკუნეში მოღვაწე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი არსენ ბულმაისიმისძე საგალობელში «გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსი »:

*«...ბარბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი*
*ტრედმან წმიდამან, დასავალით მჴმობელმან,*
*სიტკბოებათა თჳსთა მიერ დუმილით*
*ჴელთ-უსხნა შემოქმედსა, სძალმან წმიდამან*
*სიძესა თჳსსა, განბანილნი მადლითა!...»* [მიქაძე, 1964, გვ.135].

ვფიქრობთ, ღმრთისმოსავი ქალწულისადმი მიძღვნილი საგალობლებიდან დამოწმებული ფრაგმენტების მიხედვით ნათლად წარმოჩნდა, რომ ქართულენოვან ეკლესიაში მოღვაწე წმიდა მამების თვალთახედვითაც მცხეთაში მოამაგე ბრძენი ქალწული ქრისტეს სძლად მოიაზრება. მაშასადამე, მცხეთაში

---

* *საგალობლის ტექსტი ჩემი თხოვით ხელნაწერიდან გადმოიწერა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნესტან სულავამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მეცნიერს.*

** *საგალობლის ტექსტი ჩემი თხოვნით ხელნაწერიდან გადმოიწერა მკვლევარმა ანა ღამბაშიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ სწავლულს.*

მოღვაწე დედათა დიაკონს რწმენის წყალობით ისეთი სიწმიდისათვის მიუღწევია, რომ თავისსავე თავში დაუტევია სასუფეველი და ამიტომაც ეკლესიის მსახურნი ქრისტეს სძლად აღიარებენ.

კვლავაც ვიტყვი: ღმრთის მლოცველი ქალწული, როგორც ქრისტეს სძალი, წმიდა ეკლესიის განსახიერებაა.

იმედია, გახსოვთ, რომ ბრძენი ქალწული მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფ შეუმცდარ ეკლესიას განასახიერებს.

მაშ ასე: ქართველთა ქვეყანაში უფლის განუყოფელ კვართზე ეკლესიის ასაშენებლად თავად ბრძენი ქალწული – მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფი, შეუმცდარი ეკლესიის განსახიერება იღვწის.

ახლა კი გასაგები ხდება, თუ რატომ შეარჩია დიაცი იერუსალიმის ეკლესიამ იბერიაში სპეციალური დავალების შესასრულებლად.

ცხადზე უცხადესია, რადგან ბრძენი ქალწულის ლოცვის შემწეობით სვეტის სასწაულებრივი აღმართვისას ქალწულს, რომელმაც უბიწობის აღთქმით ღმერთს მიუძღვნა თავი, იესო ქრისტე გამოეცხადა და სხვები კი იმავდროულად დედოფლის ეპითეტით მიმართავენ, ესე იგი ზეცაში კრავის ქორწილია, რამდენადაც მცხეთაში მოღვაწე ქრისტეს სძალმა უფლისადმი კეთილმსახურებით თავი გაიმზადა: *«ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ და მივსცეთ მას დიდებაჲ, რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისაჲ, და ცოლმან მისმან განმზადა თავი თჳსი»* [გამოცხადება, XIX, 7].

აშკარაა, მაშინ, როდესაც დედათა დიაკონს უფალი გამოეცხადა და სამი სიტყვა უთხრა, ბრძენი ქალწული მიხვდა, რომ ზეცაში მისი ქორწილი გაიმართა კრავთან, ვინაიდან მან უფლისადმი კეთილმსახურებით საკუთარი თავი მხსნელისათვის გაიმზადა და შიშისაგან მიწაზე დაემხო.

მოგეხსენებათ, ქორწილი წარმოადგენს სიყვარულის ზეიმს, ხოლო ვინაიდან ღმერთი სიყვარულია, ამდენად ქორწილი ღმრთის დღესასწაულია ადამიანში.

კიდევ ერთხელ დავძენ, ამ დროს დედათა დიაკონმა იხილა

მომავალი მოვლენა, როგორც სინამდვილეში მომხდარი.

მოგეხსენებათ, ქრისტეს სძალი იმავდროულად ახალი იერუსალიმია: *«და მოვიდა ერთი შჳდთა მათ ანგელოზთაგანი, რომელთა-იგი აქუნდეს შჳდნი იგი ლანკნანი, სავსენი წყლულებათა მათ უკუანაჲსკნელთა, და იტყოდა ჩემ თანა და მრქუა მე: მოვედ, და გიჩუენო შენ დედაკაცი იგი, სძალი კრავისაჲ. და წარმიყვანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიჩუენა მე ქალაქი წმიდაჲ იერუსალემი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან»* [გამოცხადება, XXI,9-10]. რა თქმა უნდა, იქ, სადაც არმაზისა და ზადენის მთების დაქცევით დედამიწა გარდაიქმნა და ცოდვებისაგან წახდენილი ძველი ქვეყნის განწმენდილი ელემენტებისაგან ახალი ქვეყანა შეიქმნა, ახალი იერუსალიმი გადმოდის. *«და ვიხილე ცაჲ ახალი და ქვეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი ქუეყანაჲ წარჴდეს, და ზღუაჲ არღარა არს. და ქალაქი იგი წმიდაჲ იერუსალემი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თჳსისა»* [გამოცხადება, XXI, 1-2]. დიახ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრავის სძალი ახალი იერუსალიმია.

ეჭვს გარეშეა, მაშინ, როდესაც კრავის ქორწილის ხილვისას ქრისტეს სძალი მიწაზე დაემხო, იმავდროულად მას ზეციდან გადმომავალი ახალი იერუსალიმის ჩვენება მიეცა.

ასეთნაირად, წმიდანმა „უჩინო და ცხადი" იხილა.

ჩვენი დაკვირვების მართებულობაში თქვენს დასარწმუნებლად ურიგო არ იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის დიალოგი, რომელიც ბრძენი ქალწულის მიერ არაერთხელ ნანახი ხილვის თაობაზე, ჯერ კიდევ სვეტის აღმართვამდე, გაიმართა დედათა დიაკონსა და ძველი აღთქმის უბადლო მცოდნეთა შთამომავალს – სიდონიას შორის: *«...მათ დღეთა შინა მრავალგზის იხილა ჩუენება წმიდამან ნინო მცირედსა მას მირულებასა მისსა მუჴლთა მისთა ზედა, რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი, ფერითა შავნი, და შთავიდიან მდინარესა მას შინა, განიბანნიან და განსპეტაკნიან, და აღვიდიან სამოთხესა მას, ბაბილოსა მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და*

*ესრეთ მოწლედ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მივლენ, რეცა მისი არს სამოთხე იგი, გარე-მოადგიან ჟივილით შუენიერად. ესე უთხრა წმიდამან ნინო მოწაფესა თჳსსა სიდონიას, ასულსა აბიათარისსა. ხოლო სიდონია ჰრქუა წმიდასა ნინოს: „უცხოო და აქა შობილო ტყუეო და ტყუეთა მჴსნელო, უწყი, რამეთუ შენ მიერ მოიწია ახალი ესე ჟამი, და შენ ძლით ისმის ამბავი იგი ძველი, მამათა ჩუენთა ნაქმარი ზეცისა მის კაცისა ზედა, უბრალოჲსა მის სისხლისა უსამართლოდ დათხევა, რომლითაცა იქმნა ჰურიათა სირცხჳლი: ცის-კიდეთა განბნევა, მეფობისაგან დაცემა, ტაძრისა მის წმიდისა მიღება, ერისა უცხოჲსა წოდება და დიდება მათი მათდა მიცემად: იერუსალემ, იერუსალემ, ვითარ განგიმარტავნ ფრთენი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცის-კიდისა ნათესავთა ფრთეთა შენთა ქუეშე. აჰა, აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს ყოველი წესი ამის ქუეყანისა". და კუალადცა მიექცა წმიდასა ნინოს და ჰრქუა: „ ჩვენება ესე შენი არს, რამეთუ ადგილი ესე შენ მიერ იქმნეს სამოთხე"....»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.101-102].]. ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, ბრძენი ქალწულის ხილვის განმარტებისას სიდონიას მიერ ნახსენები *«...ახალი ესე ჟამი...»* გაიგივებულია *«უკანასკნელ ჟამთან»*. ამასთან დაკავშირებით თქვენს ყურადღებას გავამახვილებ იმ ფაქტზე, რომ ესაია წინასწარმეტყველის თქმული: *«...უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ უფლის სახლის მთა მთათა სათავეში დადგინდება, აღიმართება მწვერვალზე მაღლა და ყოველი ერი მისკენ დაიწყებს დენას...»* [ესაია, II,2] ეხება *«უკანასკნელ ჟამს»*, როცა იწყება *«ახალი ჟამი»*.

აი, როგორ განუმარტა სიდონიამ ღმრთისმოსავ ქალწულს მის მიერ მრავალჯერ ნანახი ჩვენება: „დატყვევებულთა დატყვევებითვე გამომხსნელო, იცი, რომ შენ მიერ მოიწია ახალი ჟამი ( ესე იგი - უკანასკნელი ჟამი ) და შენი ძალისხმევით ისმის ამბავი იგი ძველი, ჩვენი წინაპრების ნამოქმედარი, ზეციერი კაცის უდანაშაულო სისხლის უსამართლო დანთხევა, რამაც განაპირობა ჰურიათა შერცხვენა: მათი დედამიწის ზურგზე გაფანტვა, იუდეველ მეფეთა მეფობის დასრულება,

მათი წმიდა ტაძრის დანგრევა და უცხო ხალხისათვის ჰურიათა დიდების გადაცემა: იერუსალემ, იერუსალემ, როგორ გაგიშლია შენი ფრთები და იკრებ უკლებლივ ყველა შენიანს, შენი ფრთების ქვეშ. აჰა, აქ არის მოსული ის დედაკაცი, რომელიც შეცვლის ამ ქვეყნის ყოველ წესს". ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ სიდონია კვლავ მიუბრუნდა წმიდა ნინოს და უთხრა: შენი ხილვა იმის მაუწყებელია, რომ ეს ადგილი შენ მიერ სამოთხედ გარდაიქმნება".

მრავლისმეტყველია, რომ სიდონია, დედათა დიაკონის ხილვის ახსნისას, ახალ აღთქმაში ქრისტეს მიერ ნაწინასწარმეტყველებ იერუსალიმის მხრივ ჭეშმარიტი რელიგიის უარყოფის უნყების საპირისპირო წინასწრმეტყველებას გვამცნობს. მაშ ასე: თუკი სახარებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იერუსალიმმა უარყო უფალი, რადგან მათ ვერ შეიცნეს მხსნელი (*«...იერუსალემ, იერუსალემ, რომელმან მოსწყჳდენ წინაჲსწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა! რაოდენ გ ზის ვინებე შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თჳსნი ქუეშე ფრთეთა თჳსთა. და არა ინებეთ!...»* [მათე, XXIII, 37; ლუკა, XIII, 34]), სიდონიას წინასწარმეტყველებაში უფლის უარყოფის მომენტი საერთოდ არ არსებობს და გარკვევითაა თქმული, რომ იერუსალიმის ფრთებქვეშ მდგომნი, ჭეშმარიტი სარწმუნოების სამსახურში მდგომნი არიან, რომელთაც გადაეცემათ ჰურიათა დიდება – ახალი იერუსალიმი: *«...იერუსალემ, იერუსალემ, ვითარ განგიმარტავნ ფრთენი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცისკიდისა ნათესავთა ფრთეთა შენთა ქუეშე. აჰა, აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს ყოველი წესი ამის ქუეყანისა"...»*.

როგორც უკვე აღინიშნა, ახალი იერუსალიმი კრავის სძალია [გამოცხადება, XXI,9-10], თანაც ქრისტეს სძალი ეკლესიაა [ეფესელთა მიმართ, V, 25-32]. მაშასადამე, ახალი იერუსალიმი ეკლესიაა.

უეჭველია, ვინაიდან ქრისტეს სძალი ახალ იერუსალიმში კი არ იმყოფება, არამედ თვით კრავის სძალია ახალი იერუსა-

ლიმი, ცხადია, რომ ახალი იერუსალიმი წმიდა ეკლესიაა.

და ერთია კიდევ – ახალი იერუსალიმი დედამიწაზეა, ვინაიდან იოანემ იხილა, თუ როგორ ჩამოდიოდა ახალი იერუსალიმი ციდან, ღმრთისაგან: *«და წარმიყვანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიჩუენა მე ქალაქი წმიდაჲ იერუსალემი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან»* [გამოცხადება, XXI,10].

დიახ, ახალი ირუსალიმი უფლის განუყოფელ კვართზე აგებული ეკლესიის წიაღში გადმოდის, რომლის სამწყსოც იერუსალიმის ფრთებქვეშ დგომით ჭეშმარიტი სარწმუნოების სამსახურში დგას.

აშკარაა: ამ კონტექსტში ახალი იერუსალიმი ქართულენოვანი ეკლესიაა.

ამის თქმისას, ცხადია, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი იერუსალიმი ღმერთთან შეხვედრის ადგილია. დიახ, ახალი იერუსალიმი ის ადგილია, სადაც მეორედ მოსვლისას უფალი მოვა და უკანასკნელი სამსჯავრო გაიმართება.

ნათქვამთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცეცხლის სახედ დაშვებული სვეტის გამოჩინების ადგილის სახელწოდება – „მცხეთა".

გარკვეულია, რომ ტოპონიმი „*მცხეთა*" ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვიდან „*მჴცე*" და ნიშნავს „*მხცოვანი*", „*თმათეთრი პიროვნება*" [ბედოშვილი, 1983, გვ.194]. მაშ ასე: ქალაქ მცხეთის სახელწოდების სემანტიკაა „*მხცოვანი*". ამასთან დაკავშირებით იმასაც მოგაგონებთ, რომ ქართულენოვანი ეკლესიის პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის ცნობით, წმიდა მამებს საღმრთო გამოცხადებებში ცეცხლის სახედ დაშვებული სვეტი უმთავრესად „*სახედ ბერისა კაცისა*" – „*სახედ მოხუცებულისა*" – „*სახედ ძუჱლისა დღეთაჲსა*" უხილავთ [გულაბერიძე, 1882, გვ.110-111]. კარგად უწყით, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად „*ძუჱლი დღეთა*" – ღმერთია, რომელიც ამქვეყნად სამყაროს შექმნის დღიდანაა *«...უწინარეს ყამთა საუკუნეთა»* და ერთბაშად ადამიანის სახით მოევლინა კაცობრიობას, რათა გვიჩვენოს ის გზა, რომელიც ადამიანს მისცემს შესაძლებლობას, ღმრთის დიდების გარკვეული ნაწილი შეიცნოს. ამასთა-

ნავე, იმასაც მოგაგონებთ, რომ დანიელ წინასწარმეტყველის გაფრთხილება: *«ბოლოს ვნახე, რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი დღეთა. მისი სამოსელი თოვლივით სპეტაკი იყო და სუფთა მატყლივით იყო თმები მის თავზე. მისი ტახტი ცეცხლის ელვარება იყო, მისი ეტლის თვლები კი – მგზნებარე ცეცხლი»* [დანიელი, VII,9] იმ ადგილზე მიგვანიშნებს, სადაც ქრისტე და მისი ანგელოზები მოვლენ განკითხვისას. დამერწმუნებით, შემთხვევითი არაა, რომ მცხეთაში ცეცხლის სახედ დაშვებული სვეტი, რომელიც წმიდა მამებმა საღმრთო გამოცხადებაში „*სახედ მოხუცისა*" იხილეს, სწორედ იმ ადგილას გამოვლინდა, რომელი ადგილიც ჩვენს წინაპრებს უხსოვარი დროიდან მხცოვანის სავანედ მოუაზრებიათ და მცხეთა უწოდებიათ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო: ვინაიდან, უფლის განუყოფელ კვართზე სვეტის აღმართვისას მშენებარე ეკლესიის სივრცეში მაცხოვრის ყოფნით ქალაქი ღმერთმა მოიცვა, ამნაირად მცხეთაში აღარ არსებობს ზღვარი ორ სამყაროს შორის.

გიხაროდეთ, მცხეთა – წმიდა ქალაქია.

და აი: *«რომელმან სძლოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისასა. და გარე არღარა განვიდეს და დავწერო მას ზედა სახელი ღმრთისა ჩემისაჲ და სახელი ქალაქისა ღმრთისა ჩემისაჲ ახლისა იერუსალემისაჲ, რომელი გარდამოვალს ზეცით ღმრთისაგან ჩემისა, და სახელი იგი ახალი»* [გამოცხადება, III,12]. დიახაც, სვეტიცხოვლის აღმართვით გამარჯვებული ბრძენი ქალწული ეკლესიის ის ბურჯია, რომელსაც ნათლით შემოსილი სვეტის ხარისხზე დამყარების შემდგომ ეკლესია არასოდეს დაუტოვებია, რადგანაც ქართულენოვანი ეკლესია ყოველდღიურად აღავლენს მის სადიდებელს.

უეჭველია, დედათა დიაკონი ის ტყვე ქალწულია, რომელსაც ქრისტესმიერი სარწმუნოებით ძუ ლომისა და დედალი ორბის ძალა მიეცა და ღმერთს უწვდის ხელს. ამიტომაც ის ბრძენი ქალწულის დარია, ესე იგი ქრისტეს სძალია და მეორედ მოსვლის ეკლესიას განასახიერებს.

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს:

განთიადისას, წამოდგა თუ არა დარდისაგან გულშეღონებული მეფე, მეყსეულად თვალი სამეფო ბაღში მშენებარე ეკლესიას მიაპყრო, იხილა ნათელი, ვითარცა ელვა სამოთხის ბაღიდან ცაში აწვდენილი, და სწრაფად გაეშურა საღმრთო სასწაულის გამოვლინების ადგილისაკენ. იმავდროულად საღმრთო საკვირველებით შეძრული მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომნიც გაემართნენ სამოთხის ბაღისაკენ. იქაურობა ხალხით აივსო.

გულწრფელად გეტყვით, ასე მგონია, მირიან მეფის ქვეშევრდომთა შორის კეთილმორწმუნე შროშანაც იყო და სულიერ აღტყინებაში გარინდული ღმერთს ადიდებდა.

იოლი წარმოსადგენია, თუ რა დიდი სიხარული დაეუფლებოდათ სეფექალს და იქ მყოფ კეთილმორწმუნეთ, მცხეთაში ღმრთის ძალის სააშკარაოზე გამოჩინებით.

იმჟამად, როცა ზეციდან ცეცხლის სახედ დაშვებული სვეტი კაცთაგან ხელის შეუხებლად თავისსავე ხარისხს დაემყარა, მაშინ ნეტარებამ მოიცვა იქაურობა და ერთდროულად საღმრთო შიშითა და სიხარულით აღივსო ქალაქი მცხეთა.

მომხდარით გაოგნებულ მეფეს, მთავრებს და ყოველ ადამიანს ცრემლი სდიოდა, ადიდებდნენ ღმერთს და შეჰნატროდნენ დედათა დიაკონს, რომელსაც იესო ქრისტე გამოეცხადა.

თავისთავად ცხადია, უფლის განუყოფელ კვართზე სვეტის აღმართვისას მშენებარე ეკლესიის სივრცეში ღმრთის ყოფნით ეკლესია იკურთხა.

სვეტიცხოველის აღმართვის დღეებში მრავალი სასწაული მოხდა.

ყოველივე თქმულის გათვალიწინებით, ალბათ, დამეთანხმებით, თეზა, რომ დედათა დიაკონი ქართველთა ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მიზნით მოღვაწეობს, სრულიად განძარცვულია და სიბრძნით შენიღბული ტექსტის არასწორი წაკითხვის საფუძველზეა შემუშავებული.

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს:

მას აქეთ, რაც ცხოველმყოფელი სვეტი ხარისხს დაემყარა, თავდაპირველად სვეტთან მივიდა დაბადებით უსინათლო ჰუ-

რია, რომელსაც სასწაულმოქმედ სვეტთან მიახლებისთანავე თვალის სინათლე მიეცა და მადლიერი ადიდებდა ღმერთს.

შემდგომ საკაცით მოიყვანეს რვა წლის სეფეწული ამაზასპანი, რომელიც დედამ დიდი სასოებით დააწვინა სვეტის წინ და ქრისტეს სძალს შეავედრა: დედოფალო, მოხედე სასიკვდილოდ განწირულ ჩემს ვაჟიშვილს, რადგან ვიცი, ღმერთების ღმერთი ისაა, რომელსაც შენ ემსახურები და ჩვენ გვიქადაგებ. მაშინ კრავის სძალმა შეახო ხელი სვეტს, შემდეგ ყრმას დაადო და წარმოთქვა: იწამე იესო ქრისტე, ღმრთის ძე, ყოველი ადამიანის ხსნისათვის ამქვეყნად ხორციელად მოსული. ამიერიდან განიკურნე და ადიდე ის, ვისმა ძალამაც განგკურნა. მაშინვე წამოდგა ყრმა, როგორც სრულიად ჯანმრთელი. სასწაულმა შეძრა მეფე და ხალხი [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.115].

ამის მერე სხვადასხვა სნეულებით დაავადებულნი მოდიოდნენ და იკურნებოდნენ.

იმჟამად მეფემ საშური სიჩქარით დაასრულა ეკლესიის მშენებლობა სამოთხის ბაღში.

როცა მისმა უდიდებულესობამ სვეტს საბურველი შეუქმნა და თვალთაგან დაფარა, მაშინ ხალხი საბურველის შეხებით იკურნებოდა.

სწორედ იმ ხანებში მირიან მეფის წარგზავნილები ბერძენთა მეფის წინაშე წარდგნენ. «...*და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი კონსტანტინე ბერძენთა მეფესა წინაშე, და მიუთხრეს ყოველი, რაცა იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი: პირველად ამისთჳს, რამეთუ მადლი ღმრთისა მიეფინებოდა ყოველთა ადგილთა და ჴელსა ქუეშე მათსა ნათელს იღებდა ყოველი ქართლი. შემდგომად ამისთჳს განმხიარულდეს, რამეთუ დაიდასტურეს მირიან მეფისაგან სრულიად მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყუარულისა მათისა. და ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა. და წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი. და მოუწერა მირიანს კონსტანტინე მეფემან წიგნი ლოცვისა და კურთხევისა ღმრთისა მადლობისა. და წარმოსცა*

*ჯუარი და ხატი მაცხოვრისა, და მის თანა ნიჭი დიდი. და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშისცემისა...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.115-116]. დააკვირდით, მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ელენე დედოფალსა და კონსტანტინე კეისარს ქართველთა ხელმწიფისათვის ჭეშმარიტი ეპისკოპოსი წარმოუგზავნიათ. თქმა არ უნდა, იბერიის სამეფოში სამოღვაწეოდ გამომგზავრებული ჭეშმარიტი ეპისკოპოსი უდავოდ ჭეშმარიტების მსახურ საეკლესიო პირებს იახლებდა თან. გამოდის, რომ საქრისტიანოს მფარველ ელენე დედოფალსა და მის ვაჟს, კონსტანტინეს, ეკლესიის მსახურთა შორის სიწმიდით გამორჩეული ეპისკოპოსი იოვანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი წარმოუგზავნიათ მცხეთაში.

რომის იმპერიიდან მირიან მეფის სამეფოში ჭეშმარიტ ღმრთისმსახურთა მოსვლით ქართველთა მეფე-დედოფალი და ნათლისღების მოსურნე ხელმწიფის ქვეშევრდომნი სიხარულით აღივსნენ.

ამ დროს მისმა უდიდებულესობამ ბრძანება გასცა, რომ ერისთავები, სარდლები და სამეფოს მოხელეები მასთან გამოცხადებულიყვნენ.

მაშინ, როდესაც მირიანის მიერ მოწოდებულნი თავს მოიყრიან, მეფე შეკრებილთა წინაშე საჯაროდ ინათლება ბრძენი ქალწულის ხელით.

ამგვარად, იბერიაში ხორციელდება უნიკალური მოვლენა: ბერძნულენოვანი ეკლესიის ეპისკოპოსის, მღვდლებისა და დიაკვნების თანდასწრებით ქართველი ხალხის ღმერთთან წინამძღოლს, მეფე მირიანს, რწმენის მადლით ქრისტეს სძლად შერაცხული, მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფი შეუმცდარი ეკლესიის სიმბოლოდ აღიარებული დედათა დიაკონი ნათლავს.

დააკვირდით, ბრძენი ქალწული მას მერე აძლევს თავს უფლებას, მონათლოს მეფე, რაც მის ლოცვა-ვედრებას ღმერთი შეისმენს და ეკლესიის სვეტი აღიმართება.

ვინაიდან მეფის ნათლობას ესწრება სამღვდელოება, მწყემსმთავრის წინამძღოლობით და არავინ ეწინააღმდეგება დედა-

თა დიაკონად კურთხეულის, კრავის სძლის მიერ მისი უდიდებულესობის მონათვლას, ამდენად აშკარაა, რომ ნათლობა ეკლესიისათვის მისაღები ფორმით ხორციელდება.

ცხადზე ცხადია, ბრძენმა ქალწულმა იბერიის ხელმწიფის ცოდვების პატიებისათვის მონანიება და ნათლობა რომის იმპერიიდან წარმოგზავნილთა მოსვლას იმიტომ დაამთხვია, რათა ჭეშმარიტი ეპისკოპოსისა და მღვდლების თანდასწრებით უფლის მიერ მოციქულად წარგზავნილი ქალწულის ხელით მირიან მეფის ნათლობის ლეგიტიმურობა საჯაროდ გაცხადებულიყო, იმ მიზნით, რადგანაც ყველამ გაიგოს და ყველამ იცოდეს, რომ ქართველი ხალხის ღმერთთან წინამდგომი სიწმინდით გამორჩეულმა, კრავის სძალმა, თვით მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფმა, შეუმცდარი ეკლესიის სიმბოლომ მონათლა.

ქართველთა ხელმწიფის ნათლისღებისას, იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხის ღმერთთან წინამძღოლი მირიან მეფე მოინათლა, ქრისტიანული ქართველი ერი დაიბადა. და, აი, საბუთიც: წმიდა მიწაზე ქართულენოვან მონასტერში დაკრძალული იოჰანე ეპისკოპოსის საფლავის წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულად V საუკუნის დასასრულითა და VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება, გვამცნობს, რომ განსვენებული მეუფე იოჰანე ქართველია. ყოველ შემთხვევაში, აქვე დავიმოწმებ, ქართული ასომთავრულით შესრულებულ ეპიტაპიას: *„ესე სამარხოი იოჰანე ფურტაველ ეპისკოპოსისაი, ქართველისაი“*. [გაგოშიძე, 2005, გვ. 351-353, მგალობლიშვილი, 2005, გვ. 341-349]. დიახ, ქართულენოვანი მოსახლეობა ქართულენოვანი ეკლესიის წიაღში გაერთიანდა.

მას შემდგომ, რაც ბრძენმა ქალწულმა მეფე მონათლა, რომის იმპერიიდან მცხეთაში მისული ეპისკოპოსის თანმხლებმა მღვდლებმა დიაკნების თანამონაწილეობით სამეფო ოჯახის წევრების ნათლისღება აღასრულეს.

ამის მერე ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა ელიოზის მამულში, იქ, სადაც უწინ უფლის კვართის მცხეთაში ჩამომსვენებლის სახლი იყო, შეამზადა ადგილი ქართველ დიდებულთა მოსა-

ნათლავად და ნათელსცა წარჩინებულთ. იმავდროულად მდინარე მტკვრის პირას ეკლესიის მსახურებმა ორ სხვადასხვა ადგილას ხალხი განათლეს. ამ დროს მცხეთელ ჰურიათაგან მხოლოდ ბარაბიანთა (ესე იგი - ბარაბას შთამომავლები) ორმოცდაათი ოჯახი მოინათლა, რისთვისაც მეფემ მათ უბოძა დაბა, რომელსაც ციხედიდი ეწოდებოდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მთიულები არ მონათლულან, ასევე არ მონათლულა მირიან მეფის სიძე, რანის გამგებელი ფეროზი, რომელიც მხოლოდ ხორციელად ემსახურებოდა მის უდიდებულესობას.

როგორც მემატიანე გვაუწყებს, იმჟამად მირიან მეფემ რომის იმპერიიდან გამოგზავნილი ჭეშმარიტი ეპისკოპოსი იოვანე ერთი იბერიელი წარჩინებულის თანხლებით უკანვე მიავლინა კონსტანტინე კეისართან და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, ასევე – მღვდლები ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ხალხის მოსანათლავად და ქვითხურონი ეკლესიების ასაშენებლად.

ქართველი ხალხის ღმერთთან წინამდგომის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევით გახარებულმა რომაელთა კეისარმა სიხარულით უბოძა მეფე მირიანს ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ქართულენოვანი სამყაროს გაქრისტიანების მიზნით იბერიელი დიდებულის თანხლებით მცხეთისაკენ მიმავალ იოვანე ეპისკოპოსს მრავალი მღვდელი და ქვითხურო გააყოლა და თანაც დიდძალი განძი გაატანა.

ვფიქრობთ, ჭეშმარიტებისაგან შორს არ უნდა ვიყოთ, თუ ვიტყვით, რომ მაშინ, როდესაც ქართველთა ქვეყნიდან კონსტანტინე კეისართან მიბრუნებული იოვანე ეპისკოპოსი ხელმეორედ მიბრძანდება იბერიის სამეფოში, იმ დროს, მეუფე იოვანე ქართულენოვანი სამყაროს კონფესიურ სიტუაციაში ზედმიწევნით კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული. რა შეიძლება ითქვას ამგვარი თვალსაზრისის სასარგებლოდ? – ვინაიდან ქართულენოვან სამყაროში სამოღვაწეოდ წარგზავნილი ჭეშმარიტი ეპისკოპოსი იოვანე, ქართველთა ქვეყანაში მიბრძანებისას, იბერიის წარჩინებულთა ნათლისღებას, იერუსალიმიდან მცხეთაში უფლის უნაკერო კვართის ჩამომსვენებ-

ლის – ელიოზის მამულში ჩაატარებს, ნათელია, რომ რომაელი ეპისკოპოსი იბერიაში მოსახლე ქრისტიანთა წარსულით დაინტერესებულა და ყოველივე გაურკვევია კიდეც. აქედან გამომდინარე, სადავო არ უნდა იყოს, იმჟამად, როცა მირიან მეფე საქვეყნოდ ეკლესიას აშენებდა და შემდგომ საჯარო ნათლისღებით მაცხოვარი აღიარა, კონსტანტინე კეისართან სპეციალური დავალებით წარგზავნილი ჭეშმარიტი ეპისკოპოსი, რომელმაც უწყის, რომ მომავალში იბერიაში უნდა იღვაწოს, იბერიის ხელმწიფის სამეფოში მიმოსვლისას უეჭველად დაინტერესდებოდა ქვეყანაში არსებული კონფესიონალური ვითარებით და შეუზღუდავადაც მოიპოვებდა იმ დროისათვის უკვე ნათელღებული მეფის ქვეშევრდომთაგან საჭირო ინფორმაციას.

მაშასადამე, გამოდის, რომ ხელმეორედ მცხეთისაკენ მიმავალ ეპისკოპოსს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა იბერიის სამეფოში მოსახლე ქრისტიანთა შესახებ.

მივყვეთ მემატიანის მონათხრობს: *«...ვითარ მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერჴნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ჴელთანი. და წარმოგ ზავნნა მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: რამეთუ კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერიჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭი ესე დაამკჳდრენ ქალაქთა ქართლისათა". და წამოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქჳან ერუშეთი, და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი...»* [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.117-118]. დარწმუნებული ვარ, შეამჩნევდით, ქრისტეს სწავლებით დაინ-

ტერესებულ იბერიელთა მოსანათლად და იბერიაში ეკლესიების ასაშენებლად ჭეშმარიტ ღმრთისმსახურთა თანხლებით მცხეთისაკენ მიმავალი იოვანე ეპისკოპოსი არც ერუშეთში და არც წუნდაში სასულიერო პირებს არ ტოვებს, თუმცაღა ტოვებს ხუროებს ეკლესიების ასაშენებლად იმ დროს, როცა რომის იმპერიიდან წარმოგზავნილ ჭეშმარიტ სასულიერო პირებს არც ერუშეთში და არც წუნდაში არავინ მოუნათლავთ. ეპისკოპოსის ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური მოქმედება ეჭვს ბადებს, რომ ერუშეთში და წუნდაში იოვანე ეპისკოპოსის მისვლამდე ქრისტიანული თემები არსებობდა, რომელთაც, საგულისხმოა, მოძღვარი უნდა ჰყოლოდათ. ვინაიდან მრავალი მიზეზის გამო წარმოუდგენელია, მშენებარე ეკლესიის შემოგარენში მღვდელი არ მოღვაწეობდეს, ეკლესია კი შენდებოდეს. ეკლესია რომ ააგო, ხომ უნდა არსებობდეს ღმრთის სახლში შეკრების მოთხოვნილება. არა მგონია, ვინმეს ეკლესია მხოლოდ ნაგებობად ჰქონდეს წარმოდგენილი. ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, ხომ მრევლს ეწოდება, ვინაიდან მრევლი და მხოლოდ მრევლი განასახიერებს ეკლესიას. ამიტომაცაა, რომ ეკლესიის მსახურთ მრევლის გარეშე წირვა არ აღუსრულებიათ და ვერც ვერასოდეს აღასრულებენ.

თავისთავად ცხადია, რადგან ერუშეთში და წუნდაში ეკლესიები ისე შენდება, რომ იოვანე ეპისკოპოსი რომის იმპერიიდან წარმოგზავნილ მღვდელმსახურთაგან არც ერუშეთსა და არც წუნდაში არავის არ ტოვებს, ეს ფაქტი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ იბერიის კონფესიალურ სიტუაციაში კარგად გარკვეულ ეპისკოპოსს, მცხეთაში ხელმეორედ გამგზავრებისას, წინასწარ ისეთი მარშრუტი შეუმუშავებია, რომ იბერიის დედაქალაქში მიმავალს ქართულ სამყაროში უპირველეს ყოვლისა ის პუნქტები მოუნახულებია, სადაც უკვე არსებული ქრისტიანული თემების გაძლიერების მიზნით ხელსაყრელი სიტუაცია იყო შექნილი ეკლესიების ასაგებად. ამგვარი გააზრების გარეშე სამუდამოდ ამოუხსნელი დარჩება, თუ რატომ არ ტოვებს მღვდლებისა და დიაკვნების თანხლებით მცხეთისაკენ მიმავალი ეპისკოპოსი სასულიერო პირებს იქ, სადაც

ეკლესიების ასაშენებლად განძეულობასა და ქვითხუროებს ტოვებს.

იოვანე ეპისკოპოსის ქართველთა ქვეყანაში ხელმეორედ გამგზავრებამდე ერუშეთსა და წუნდაში ქრისტიანული თემების არსებობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ქართულენოვან სამყაროში დედათა დიაკონის მისვლამდე ქრისტიანთა არსებობის თაობაზე ჩვენს მიერ ზემოთ უკვე წარმოჩენილი ფაქტები.

რამდენადაც ერუშეთი და წუნდა მტკვრის ხეობაში მდებარეობს, უდავოა, იოვანე ეპისკოპოსი იბერიის სამეფოში მტკვრის ხეობით მიბრძანდება.

ქართულენოვან სამყაროში ხელმეორედ გამგზავრებისას ეპისკოპოსის მიერ შერჩეულ მარშრუტთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სწორედ მტკვრის ხეობაში, ერუშეთისა და წუნდის სიახლოვეს არსებული დასახლებული პუნქტი – აწყვერი ის ადგილია, სადაც ისტორიულ წყაროებში შემონახული გადმოცემის მიხედვით, ანდრია მოციქულმა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, ეკლესია დააარსა და ეპისკოპოსი განაწესა.

აწყვერში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის ამსახველი ინფორმაცია შემონახულია „*მეფეთა ცხოვრებაში*“ ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლის თხრობის ადგილას ვახტანგ VI „*სწავლულ კაცთა კომისიის*“ მიერ XVIII საუკუნის I მეოთხედში გაკეთებულ ჩანართში.

აი, როგორაა აღწერილი სწავლულთა დამატებაში სახარების საქადაგებლად შემართული წმიდა ანდრიას ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით მტკვრის ხეობაში, საკუთრივ აწყვერში მისვლა: «*...ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი და პირისპირ საქრისი და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი....*» [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39]. ვიდრე სიტყვას განვაგრძობდეთ, უწინარეს ყოვლისა იმის შესახებ, თუ რა ეწოდებოდა აწყვერს მაშინ,

როდესაც ანდრია პირველწოდებული ამ დასახლებულ პუნქტში მივიდა. ციტირებული წინადადების მიხედვით ირკვევა, რომ აწყვერს, სანამ „*აწყვერი*" დაერქმეოდა, ეწოდებოდა „*სოსანგეთი*" და იმავდროულად, ამავე ადგილს, „*სოსანგეთი*"-ს საპირისპიროდ, ანუ საწინააღმდეგოდ, „*საქრისი*" ერქვა. მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ ფრაზა: «*...მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი და პირისპირ საქრისი...*» იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აწყვერის პირდაპირ საქრისი მდებარეობდაო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ჯერ ერთი, აზრობრივად სრულიად გაუმართლებელი უნდა იყოს, დასახლებული პუნქტის – აწყვერის, თავდაპირველი ტოპონიმის თაობაზე ინფორმაციის მოწოდებისას აწყვერის მოპირდაპირე ადგილის სახელწოდების წარმოჩენა და, მეორეც, ამისთანა აზრის გამომხატველ სიტყვათა წყობაში, წინადადების მაერთებელი „და" კავშირი არ უნდა იყოს და ტოპონიმი „*საქრისი*" ნათესაობით ბრუნვაში უნდა იდგეს. ხოლო, რამდენადაც წინადადებაში ტოპონიმი სახელობით ბრუნვაშია მოცემული და რაკი „და" კავშირი, სწორედ, ციტირებულ სიტყვათა ჯგუფის გააზრების ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვერსიის კონტექსტში არ გვეხამუშება, ამდენად ვფიქრობთ, რომ ტექსტის ასეთი წაკითხვა ყოველმხრივ მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

ამგვარად ირკვევა, რომ იმ დასახლებულ პუქტს, რომელსაც ერთსა და იმავე დროს საქრისს და სოსანგეთს უწოდებდნენ, აწყვერი იმ დროისათვის ერქვა, როდესაც შუა საუკუნეებში მოღვაწე ჟამთააღმწერელი, ძველ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში ქრისტეს მრწამსის ქადაგების შესახებ ნარკვევს წერდა, ხოლო აწყვერამდე ამ პუნქტს თავდაპირველად „*საქრისი*" ეწოდებოდა, რომლისთვისაც მოგვიანებით „*სოსანგეთი*" დაურქმევით და ამიტომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი „*საქრისი*"-ს საპირისპიროდ „*სოსანგეთ*"-ს უწოდებდა და ამნაირად, ეს ადგილი ერთდროულად ზოგისთვის „*საქრისი*" იყო, ზოგიერთისვის კი – „*სოსანგეთი*".

გამოდის რომ, ერთი და იმავე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება, ერთი მხრივ „*საქრისი*" და, მეორე მხრივ, „*სოსანგეთი*", მოგვიანებით შეიცვალა და „*აწყვერი*" დაერქვა.

ამასთანავე ისიც სათქმელია, რომ მას მერე, რაც ყოფილ საქრისსა და სოსანგეთს აწყვერი ეწოდა, იმ ადგილს, სადაც ერთ დროს მოციქული ანდრია დაბინავდა, ადგილობრივი მოსახლეობა „*ძველ-ეკკლესია*"-ს უწოდებდა.

კვლავ მივუბრუნდეთ ზემოთ დამოწმებულ ციტატას: «*... ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და მოინია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი და პირისპირ საქრისი და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა ან ძველ-ეკკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი. ხოლო მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი, რომელსა ერთი ოდენ ძე ესვა და ყოველი სასოება მისი მისსა მიმართ მოძრავობდა, და მას ოდენ ჟამსა მომკუდარ იყო....*» [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39], იმავე ნაშრომში სხვა ადგილას, ამავე ტაძართან დაკავშირებით, აღნიშნულია: «*...ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონ...*» [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.41]. დამოწმებული ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ქართულენოვან სამყაროში, სახელდობრ აწყვერში მისული ანდრია მოციქული კერპთაყვანისმცემელთა ტაძრის სიახლოვეს დაბინავებულა, სადაც ჟამთააღმწერის ცნობით, არტემიდეს და აპოლონის კერპები მდგარა. მოგეხსენებათ, არტემიდე და აპოლონი ტყუპები არიან და მიუხედავად იმისა, ტაძარი არტემიდესადმია მიძღვნილი თუ აპოლონისადმი, ამ ორიდან ერთ-ერთის პატივსაცემად აგებულ ტაძრებში და-ძმა ზოგჯერ ერთადაც არიან წარმოდგენილნი. მოხსენიებული ტაძრის არტემიდესადმი თუ აპოლონისადმი მიკუთვნების განსასაზღვრავად აქვე იმის გათვალისწინებაც გვმართებს, რომ ტოპონიმი „*საქრისი*" ქარიან ადგილს უკავშირდება და ამდენად, ადგილის სახელწოდების შესაბამისად, ნათელია, ტაძარი ქარიან ადგილას აღუმართავთ. წარმართული კულტმსახურების

სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ქარიან ადგილას ტაძრის აგება ღვთაების ბუნებით იყოს განპირობებული. ნათქვამთან დაკავშირებით, თავი რომ არ შეგაწყინოთ, მხოლოდ ერთ ფაქტს გაგახსენებთ: ტროას დასაპყრობად ზღვით მიმავალმა აგამემნონმა, ზურგის ქარის მოსაპოვებლად ღვთაება არტემიდეს საკუთარი ქალიშვილი – იფიგენია შესწირა. რამდენადაც კერპთაყვანისმცემლებს ქარიან ადგილას აგებულ ტაძარში არტემიდეს და აპოლონის კერპები დაუდგამთ, არ უნდა ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, რომ ტაძარი, სავარაუდოა, არტემიდეს კულტის მსახურებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ამგვარად ირკვევა, რომ ქალწულ არტემიდესადმი მიძღვნილი ტაძარი წარმართებს, თავიანთი კერპის საპატივცემულოდ, ქარიან ადგილას აუგიათ.

მაშ ასე, როგორც უკვე გავარკვიეთ, ტოპონიმი „*საქრისი*" სიტყვა „ქარი"-დან არის ნაწარმოები, ხოლო საქრისის სანაცვლოდ დამკვიდრებული ადგილის სახელწოდების – „*სოსანგეთი*"-ს სემანტიკის ამოსაცნობად, თქვენს ყურადღებას VIII საუკუნის მეორე ნახევარში, კონსტანტინეპოლში მოღვაწე, ეპიფანე მონაზონის მიერ შედგენილ ნაშრომზე შევაჩერებ, სადაც ქართველთა ქვეყანაში ანდრია მოციქულის მიერ ქრისტეს მოძღვრების ქადაგების ამსახველი ინფორმაციაა ჩანერილი: «*...პენტეკოსტის* (ესე იგი - სულიწმიდის მოფენის) *შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროზთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები, იქადაგეს, სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და მათაც მალე შეისმინეს. მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდ სებასტოპოლში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა...*» [გეორგიკა, 1941, გვ.58]. როგორც დამოწმებული ფრაგმენტის მიხედვით ირკვევა, ანდრია, სიმონ

კანანელი, მათე და თადეოზი მისულან მეფე ავგაროზთან და იქ დარჩენილან. შემდგომ მათე მოწაფეებითურთ იმ ქვეყნებში დარჩენილა, ხოლო დანარჩენებმა, ესე იგი ანდრიამ, სიმონ კანანელმა და თადეოზმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს, მოახდინეს სასწაულები და ჩავიდნენ იბერიასა და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ – სუსანიაში. ციტირებული ნაწყვეტიდან ჩვენთვის ის ფაქტია საინტერესო, რომ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ნაშრომში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ანდრია პირველწოდებული ქართულ სამყაროში მიმოსვლისას იმ ადგილას მისულა, რომელსაც მოსახლეობა „*სუსანია*"-ს უწოდებდა. ნურც ის გამოგვჩება მხედველობიდან, რომ ბერძენი მემატიანის ცნობით „*სუსანია*"-ში ქალები მბრძანებლობდნენ, ისევე როგორც ანდრია პირველწოდებულის სოსანგეთში მისვლისას ქვეყანას «*...მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი...*» [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39]. თუმცა, თუკი ქართული საისტორიო წყაროს მიხედვით დედაკაცი იმიტომ განაგებს ქვეყანას, რადგან მისი თანამეცხედრე, ქვეყნის მთავარი, გარდაცვლილი ყოფილა, ბერძნულენოვან სამყაროში მოღვაწე მეისტორიე „*სუსანია*"-ში დედაკაცის მმართველობას ქართულენოვან სამყაროში არსებულ ტრადიციას მიაწერს. მიუხედავად მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციისა ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ წერილობითი წყაროებით მოციქულთა პერიოდისათვის ქართულენოვან სამყაროში დაფიქსირებული ტოპონიმები „*სოსანგეთი*" და „*სუსანია*" ქვეყნის ისეთ მხარეშია დადასტურებული, სადაც დედაკაცი მთავრობს.

უკეთუ ბერძნულ ხელნაწერში ჩაწერილი დასახლებული პუნქტის სახელწოდებაში „*სუსანია*" ბერძნული ტოპონიმისათვის დამახასიათებელ „-ია" სუფიქსს გამოვყოფთ, მივიღებთ ადგილის სახელწოდებას, რომლის ძირია „სუსან". როგორც ცნობილია, sosanna / swsanna არამეულ ენაზე ეწოდება ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეულ თეთრ შროშანს, რომელიც ქრისტიანთათვის – სიწმინდის, ქალწულობის სიმბოლოა და ამდენად, მარადის ქალწული მარიამის სულიერ სამყაროს განასახიერებს.

ახლა კი ტოპონიმ „*სოსანგეთი*"-ს სემანტიკასთან დაკავშირებით თავდაპირველად მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ „*სოსანგეთი*" ეწოდა იმ ადგილს, სადაც არამეელმა ანდრია მოციქულმა ქრისტიანობა იქადაგა და ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალა გამოვლინდა.

ტოპონიმ „*სოსანგეთი*"-ს სემანტიკის გასარკვევად ქართული ბოლოსართით ნაწარმოებ ადგილის სახელწოდებას „*სოსანგეთი*", ჩამოვაცილოთ სუფიქსი „-ეთ", ასეთ შემთხვევაში ტოპონიმის ძირი იქნება „*სოსანგ*", რომლის ეტიმოლოგიურად ყვავილ შროშანას არამეულ სახელწოდებასთან sosanna / swsanna დაკავშირება იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი ტოპონიმი ნაწარმოებია ორი ერთნაირი თანხმოვნის განმსგავსებით. საქმე ისაა, რომ შროშანას არამეული სახელწოდება sosanna ქართულ ტოპონიმად გარდაქმნისას, წარმოითქმება როგორც „სოსანნეთი" – ვინაიდან ქართული ენისათვის დამახასიათებელი არ არის, ორი ერთნაირი თანხმოვნის თავმოყრა, ამიტომ ასოთა შეთანხმება „nn" ქართულში, როგორც ჩანს განმსგავსების საფუძველზე, „ნგ"-დ გარდაქმნილა. ამდენად ტოპონიმი „*სოსანგეთი*" ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების ადგილისათვის მარადის ქალწული მარიამის სიმბოლოს თეთრი შროშანას სახელწოდების გამომხატველ ტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ. ამგვარად ნათელი ხდება, რომ წმიდა მარიამის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების ადგილისათვის ღმრთისმშობლის სიმბოლოს – ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანის სახელი ანდრია მოციქულის მშობლიური ენის გავლენით შეურქმევიათ.

ასე და ამრიგად, არტემიდეს სიმბოლოს განმასახიერებელი ქარის ამსახველი ადგილის სახელწოდება „*საქრისი*" ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების შედეგად წმიდა მარიამის თაყვანისმცემელთა მიერ იცვლება ქალწულობის სიმბოლოს – ყვავილ შროშანას არამეული სახელწოდების გაქართულებული ფორმით „*სოსანგეთი*", რომელსაც ბერძნები თავის მხრივ „*სუსანია*"-ს უწოდებდნენ. ამნაირად, გამოდის, რომ მტკვრის ხეობაში წმიდა ანდრიას მოღვაწეო-

ბის ადგილი, სადაც დედაკაცი მთავრობს, ქართულ მატიანეში დადასტურებული „*სოსანგეთი*" და ბერძნულ წყაროში მოხსენიებული, ქართველთა ქვეყანაში არსებული „*სუსანია*" ერთი და იგივე პუნქტია. მაშასადამე, ბერძნულ ენაზე შესრულებულ ნაშრომში ქართველთა ქვეყანაში მოხსენიებული „*სუსანია*" მტკვრის ხეობაში მდებარეობდა.

ამდენად წმიდა მარიამის საღმრთო ძალის გამოვლინების ადგილის სახელწოდების მიხედვით ირკვევა, რომ მოციქულმა ანდრიამ იქ იქადაგა, რომელ მიდამოსაც თავდაპირველად საქრისი ერქვა და ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების პატივსაცემად ამ ადგილს ქრისტეს მიმდევართა მეოხებით მარადის ქალწული მარიამის სიმბოლოს, ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანას სახელი შეერქვა და ანდრია პირველწოდებულის მშობლიური ენის გავლენით სოსანგეთი ეწოდა. თუმც, კერპთყვანისმცემლები ტრადიციულად საქრისს უწოდებდნენ, რის გამოც ამ ადგილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთდროულად წარმართები საქრისს ეძახდნენ, ხოლო ქრისტიანები სოსანგეთს და რომელსაც, მოგვიანებით სახელი რომ შეეცვალა, აწ-ყვერი შეერქვა.

ყოველივე თქმულის შემდგომ კიდევ ერთი რამის თქმა შეიძლება დაბეჯითებით: ხატი ქართველთა ქვეყანაში პირველად ანდრია პირველწოდებულს მიუსვენებია და პირველი ხატი, რომლის მეშვეობითაც ქართულენოვან სამყაროს მოსახლეობას ზოგადად წარმოდგენა შეექმნა ხატზე, ღმრთისმშობლის ხატი ყოფილა.

ვინაიდან, მოციქულთა პერიოდისათვის ღმერთთან ლოცვით ურთიერთობის დასამყარებელი საგანი – ხატი სრულიად უცხო მოვლენა იყო ქართულენოვანი სამყაროსათვის, სავარაუდოა, მაცხოვრის ანდა წმიდანის გამოსახულების საშუალებით უზენაესთან ლოცვით ურთიერთობის დასამყარებელი საგნის სახელწოდება „*ხატი*" ანდრია მოციქულის მიერ ქართველთა ქვეყანაში ხატის მობრძანებისას დამკვიდრებულიყო ქართულ ენაში.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ის გარემოე-

ბა, რომ სიტყვა „*ხატი*“ არამეელი ანდრია პირველწოდებულის მშობლიურ, არამეულ, ენაზე „*ჩემს* და“-ს – ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ტერმინი „*ხატი*“, ხატზე გამოსახული წმიდანის მსაზღვრელი სიტყვა იყოს, რადგანაც ხატი წმიდანის თვისების, ანუ მისი მადლის მატარებელა.

რამდენადაც „*ხატი*“ ქართულენოვან სამყაროში, წერილობითი წყაროების მიხედვით, თავდაპირველად ანდრია მოციქულის მოღვაწეობის დროს ღმრთისმშობლის გამოსახულებით წარმოჩნდა, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სრულიად უცხო დანიშნულების საგნის აღმნიშნელი ტერმინი – „*ხატი*“ ქართულენოვანმა მოსახლეობამ მოციქულის გავლენით უწოდა საკრალურ საგანს, და ასე ეწოდა ხატს „*ხატი*“. ამასთან დაკავშირებით, უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, რომ მორწმუნენი ღმრთისმშობლის მოხსენიებისას წმიდა მარიამს მიმართავენ როგორც „და“-ს. იმისათვის, რათა ნათქვამი დამაჯერებელი იყოს, რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებ: აი, როგორ არის მოხსენიებული V საუკუნის ეთიოპიურ „*მიძინების წიგნში*“ წმიდა მარიამი: «*ო, დაო ჩვენო, შენ რომელიც გახდი დედა მთელი ქვეყნისა*» [Shoemaker, 2003, გვ. 314]. «*მარიამ, ჩვენო დაო, რომელიც გახდი დედა თორმეტისა*» [Shoemaker, 2003, გვ. 316]. «*ჩემო დაო მარიამ, არ შემიძლია ამის აღება მანამ, სანამ არ მოვლენ მოციქულები, რადგან ისინი აქ არ არიან*» [Shoemaker, 2003, გვ. 317]. «*მარიამ, ჩვენო დაო და ასევე დედაო ყველა მათგანის, ვინც გადარჩენილია, სიხარული იყოს შენთან*» [Shoemaker, 2003, გვ. 319]. 540 წლის შედგომ ხანებში ბერძნულ ენაზე დაწერილ თხზულებაში „*ნესტორის და ევტიხის წინააღმდეგ*“ ვკითხულობთ: «*ღმრთისმშობელი, რომელიც არის ჩვენი და, თავისი ბუნებით*» [A patristic greek lexicon,1961, გვ.29]. ღმრთისმშობელი „და“-დ მოიხსენიება, აგრეთვე ქართულად შედგენილ საკითხავში, „*გარდაცვალებისათვის წმიდისა ღმრთისმშობელისა*“: «*დაო ჩუენო, რომელი იქმენ დედად ყოველისა სოფლისა, დაღათუ ჩუენ ყოველთა გუეშინოდის სამართლად, შენ რაჲსა გეშინის? – დედაჲ ხარ უფლისაჲ*» [კლარჯული მრავალთავი, 1991, გვ.421].

ზემოთ უკვე ნათქვამის მიხედვით გამოდის, რომ არამეულ ენაზე მეტყველი მოციქულის ხელით ქართულენოვან სამყაროში ღმრთისმშობლის ხატის მისვენებისას ანდრიას მიერ არამეულ ენაზე წმიდა მარიამის, ღმრთისმშობლის მსაზღვრელი სიტყვით – „*ხატი*“ ( ესე იგი – „ჩემი და“ ) სახელდება საფუძვლად ედება იმ საგნის აღმნიშვნელ ტერმინს, რომლის მადლის მატარებელია თვით ნივთი.

ასე რომ, ვფიქრობთ, ხატს ქართულ ენაზე სახელი ანდრია პირველწოდებულის მიერ მარადის ქალწული მარიამის მოხსენიების შესაბამისად ეწოდა და ზოგადად ამ საგნის აღმნიშვნელ ტერმინად უკვე მოციქულთა პერიოდში დამკვიდრდა ქართულ ენაში.

მაშასადამე, ვინაიდან, ღმერთთან ლოცვით ურთიერთობის დასამყარებელ საგანს ქართულენოვან სამყაროში მოსახლე ქრისტიანებმა ღმრთისმშობლის მსაზღვრელი სიტყვა „*ხატი*“ უწოდეს, ნათელია, რომ ქართველთა წინაპრები ხატს უწინარეს ყოვლისა წმიდა მარიამის ხატით ეზიარნენ. ამდენად უდავოა, ჩვენს სამშობლოში ხატთაგან თავდაპირველად ღმრთისმშობლის ხატი მოუსვენებიათ. ამგვარად, ირკვევა, რომ გადმოცემა ანდრია მოციქულის მიერ ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ქართველთა ქვეყანაში მისვენების შესახებ ფიქცია არ არის და სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.

უეჭველია, ღმრთისმშობლის სიმბოლოს – ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანის არამეული სახელწოდების შესაბამისი ტოპონიმი „*სოსანგეთი*“ და მაცხოვრის ანდა წმიდანის გამოსახულების საშუალებით უზენაესთან ლოცვით ურთიერთობის დასამყარებელი საგნის სახელწოდება „*ხატი*“ ქართულენოვან სამყაროში მოციქულთა პერიოდში ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგების რეალურობის ამსახველად უნდა მივიჩნიოთ.

მაშ ასე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში შემონახული ინფორმაცია ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის მისვენების შესახებ ყალბისმქნე-

ლის ჩაწერილი არ არის და სინამდვილისათვის შეუფერებელ, გამოგონილ ამბავს არ გვაუწყებს.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, მეისტორიე, რომელიც საფუძვლიანად ერკვევა ქართულენოვან სამყაროში ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლისას საკულტო ცენტრში ტოპონიმების წარმოქმნასთან დაკავშირებულ პერიპეტიებში, და რამდენადაც ქართულ ენაში დამკვიდრებული ტერმინი „*ხატი*" ამჟღავნებს, რომ ქართველთა ქვეყანაში პირველად მართლაც ღმრთისმშობლის ხატი მოუსვენებიათ, რა თქმა უნდა, მოციქულთა პერიოდის ამსახველი სანდო ცნობებით სარგებლობს და ამდენად, მის მიერ დაწერილი ნარკვევი წმიდა ანდრიას მიერ ქართულენოვან სამყაროში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგების შესახებ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომი უნდა იყოს ქართველთა ქვეყანაში მოციქულის მოღვაწეობის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

მემატიანის გადმოცემით [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39-42], ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით მტკვრის ხეობისაკენ მიმავალი ანდრია პირველწოდებული ოძრხის ხევში სოფელ ზადენ-გორაში შეჩერებულა. ტოპონიმის მიხედვით ირკვევა, რომ წმიდანი იქ მისულა, სადაც ზადენის კერპი ყოფილა აღმართული. წერილობითი წყაროს ცნობით ზადენ-გორაში «*...მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს...*». ამის შემდეგ წმიდა ანდრია გაემართება ქალაქ საქრისში არტემიდეს ტაძრისაკენ «*...და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი. ხოლო მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი, რომელსა ერთი ოდენ ძე ესვა და ყოველი სასოება მისი მისსა მიმართ მოძრავობდა, და მას ოდენ ჟამსა მომკუდარ იყო. და იყო ვაება ტირილისა და შფოთი ფრიად მრავალი....*». ამ დროს მთავარს მოახსენებენ, რომ მის სამეფოში «*...უცხონი ვინმე კაცნი არიან, და*

*უცხოსა ღმერთსა ქადაგებენ შემოქმედად და დამბადებელად, და სიცოცხლესა კაცთასა მომნიჭებელად, და მკუდართა აღ-მადგინებლად, და ჰყავს მათ ხატი შუენიერი და მას პატივს-სცემენ...».* ნათქვამმა სასოწარკვეთილ დედას გულში მცირე იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან მოიხმო. მთავრის შეკითხვაზე, თუ ვინ არის იგი, ანდრია პირველწოდებულმა ასე უპასუხა: *«...„მოვალ წმიდით ქალაქით იერუსალემით, სადა დასდგეს ფერჴნი უფლისანი, გოლგოთას და ბეთლემს, ცათა მობაძავთა, და მონა ვარ და მოციქული უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელი წამისყოფით აღადგენს მკუდართა, და მას ვჰქადაგებ ღმრთად და უფლად და მპყრობელად ყოველთა დაბადებულთა. და რომელსა ჰრწმენეს იგი და ნათელს-იღოს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა, და სულისა წმიდისაჲთა, ყოველი რაოდენი ითხოვოს სარწმუნოებით, მიეცემის, და ყო-ველთა სენთაგან განიკურნების"...»* გაგონილით სულით ხორ-ცამდე შეძრული დედა მოციქულის წინაშე დაემხო და შეევე-დრა: *«...„შეიწყალე სიქურივე ესე ჩემი და უბადრუკება; ვინათ-გან მონა ხარ მკუდართა აღმადგინებელისა, ილოცე ღმრთისა შენისა მიმართ, და მიანიჭე შვილსა ამას ჩემსა სიცოცხლე, და ყოველი რაოდენი მიბრძანო, გისმინო, და არა ურჩ გექმნე, უკეთუ ძე ჩემი აღდგომილი ვიხილო. რამეთუ ესე მხოლო მი-ვის* (ესე იგი – მყავს) *და სხუა არა"...».* მოციქულმა კი მიუგო: *«...„უკეთუ გრწმენინ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, ჭეშმარიტი ღმერთი, რომელი იქადაგების ჩუენ მიერ, რაოდენიცა-რა ითხოვო სარწმუნოებით, ყოველივე მოგეცემის მის მიერ"...»*, წმიდანის ნათქვამმა მთავარი სიხარულით აღავსო და შეჰღა-ღადა მოციქულს: *«...„ჰ, მონაო ჭეშმარიტისა ღმრთისაო, ჭეშ-მარიტად მრწამს და აღვიარებ იესო ქრისტესა, რომელსა შენ ქადაგებ, არამედ შეეწიე ურწმუნოებასა ჩემსა"...».* მაშინ ან-დრია პირველწოდებულმა ხელში აიყვანა *«...ხატი ყოვლადწ-მიდისა ღმრთისმშობელისა, და დაასვენა ცხედარსა მას ზედა, სადა იდვა ყრმა იგი. და იწყო ლოცვად და ვედრებად ღმრთი-სა მიმართ ჴელ-აღპყრობით. და შემდგომად ლოცვისა უპყრა ჴელი ყრმასა მას და, ვითარცა ძილისაგან, ეგრეთ აღადგინა*

*იგი და მისცა დედასა მისსა...».* ესოდენ გაუგონარი სასწაულის მხილველები გაოგნებისაგან ვერაფერს ამბობდნენ. ხოლო დედა, რომელმაც იხილა თავისი გაცოცხლებული ვაჟიშვილი, თვალცრემლიანი სიხარულით დაეცა ანდრია პირველწოდებულის წინაშე, თაყვანი სცა მოციქულს, აღიარა იესო ქრისტე და თავისი სახლის ნევრებთან ერთან მოინათლა. ამის შემდგომ მთავარმა *«...მსწრაფლ წარავლინნა მონანი თჳსნი, და წარსცა წიგნები სამცხისა მთავართა მიმართ, და მიუწერა ესრეთ: „აჰა ქურივი გახარებ, ძმანო, სიხარულსა დიდსა ყოველთა ერთა. მო-ვინმე-ვიდა კაცი ერთი უცხოჲსა ქუეყანისაგან, რომელი უცხოსა ღმერთსა ქადაგებს, და ჰყავს მას ხატი ზეცისა, რომელმან ძე ჩემი მომკუდარი აღადგინა. აწ უკუე მსწრაფლ მოვედით, რაჲთა უმჯობესი წესი და სჯული გამოვარჩიოთ და ვსცნათ, თუ რაჲ ჯერ-არს"...».*

როგორც კი შეიტყვეს მესხებმა საქრისში მომხდარი საკვირველი ამბის შესახებ, მაშინვე ყოველი მხრიდან საქრისის ველზე შეიკრიბნენ და ყველანი გაკვირვებულები შესცქეროდნენ ქვრივი დედაკაცის მკვდრეთით აღმდგარ ვაჟიშვილს.

არტემიდეს ტაძრის კულტმსახურნი, რომელნიც არტემიდესა და აპოლონის კერპებს ემსახურებოდნენ, ღმრთისმშობლის ხატით განხორციელებული სასწაულის გამო შურით აღივსნენ და წინააღმდეგობის გაწევის მიზნით დავა დაუწყეს მოციქულს. ხალხის აზრი ორად გაიყო. ერთნი ამბობდნენ: *«... ჯერ-არს თაყვანისცემად, რომელმან ესევითარი სასწაული აღასრულა...»* ხოლო მეორენი ამბობდნენ: *«...აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი...».* თუმცაღა ბჭობამ საქრისის ველზე შეკრებილთა თანამონაწილეობით ასეთი გადაწყვეტილება დაამტკიცა: *«...„განაღეთ კარი საკერპოჲსა მაგის ტაძრისა, და შევასვენოთ ჩუენ ხატი ესე შუა კერძო კერპთა თქუენთა და დავბეჭდოთ ზოგად ორთავე კარსა ზედა, და მცველნი დაადგინენით, და ილოცეთ თქუენ ღამესა ამას ღმერთთა მიმართ თქუენთა. ხოლო ჩუენ ვილოცოთ იესო ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა მიმართ, და ვიხილოთ ჩუენ განთიად: უკეთუ სძლოს ღმერთმან თქუენმან, მისი ჯერ-იყოს*

*თაყვანის-ცემა; ხოლო უკეთუ სძლოს ღმერთმან ჩუენმან, მას თაყვანის-ვცეთ ყოველთა".*

*და დაასკუნეს ესე ესრეთ. შეასვენეს ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა შუა კერპთა მათთა და დაბეჭდეს კარსა ზედა, და მცველნი დაადგინნეს. და იწყეს ლოცვად მღდელთა მათ სიცრუვისათა. და წმიდამან ილოცა ქრისტეს მიმართ, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა. და ვითარცა განთენა და განაღეს კარი საკერპოისა, იხილნეს ყოველნი კერპნი მათნი ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი. ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა.*

*მაშინ მღდელნი იგი კერპთანი აღივსნეს სირცხვლითა, და უმეცრებისა მათისათჳს შენდობასა ითხოვდეს მოციქულისაგან. და ყოველმან ერმან მადლობისა ხმა აღმოუტევეს და თქუეს, ვითარმედ: „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა, რომელსა მოციქული ანდრია ქადაგებს". და ჰრწმენა ყოველთა უფალი ჩუენი იესო ქრისტე და სიხარულით ნათელს-იღეს ყოველთა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა ყოვლისა მის ერისა, და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან იჴსნა იგინი ხელთაგან ეშმაკისათა.*

*ხოლო წმიდა მოციქულსა ენება კუალად წარსლვა სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა ქადაგებად სახარება ქრისტესი. ხოლო დედაკაცი იგი და ზოგად ყოველი ერი ეკედრებოდეს, რაჲთა არა განეშოროს მათგან, არამედ დღითი-დღე ასწავებდეს წესსა სჯულისასა...».* ანდრია პირველწოდებული დაჰყვა მათ თხოვნას და გარკვეული დროით დარჩა მათთან. განშორების წინ მოციქულმა ანდრიამ *«...ასწავა მათ ყოველი წესი სჯულისა და სარწმუნოებისა. და დაუდგინნა ეპისკოპოსი, მღდელნი და დიაკონნი...»* და განემზადა სახარების საქადაგებლად.

მაშინ წმიდა ანდრია პირველწოდებულს *«...ქურივი იგი დედაკაცი და სრულიად მესხნი...»* თხოვნით მიმართავენ: *«...„უკეთუ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლადწმიდისა აქა დაგკსვენე*

*სასოდ და მცველად ჩუენდა". მიუგო მოციქულმან და ჰრქუა, ვითარმედ: „ხატი ესე თჳთ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა პირსა ზედა დადებით გამოსახულ არს". და მიუთხრა ყოველივე შემდგომითი-შემდგომად, ვითარ-იგი შემდგომად ამაღლებისა უფლისა წილ-იგდეს წმიდათა მოციქულთა ყოველი ქუეყანა მოსაქცეველად, და ვითარ-იგი ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილ-ხუდა ქუეყანა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგზავნილი არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად წილ-ხდომილთათჳს და ჯერეთცა ეგრეთ არს, რაჲთა დაესვენოს აქა მკჳდრად უკუნისამდე ჟამთა.*

*და ვითარცა ესმა ესე მოციქულისაგან ქურივსა მას და მესხთა, უმეტესითა სიხარულითა აღივსნეს, ცნეს რა წილ-ხდომა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, მადლი შესწირეს ქრისტესა და უბიწოდ მშობელსა მისსა, და უმეტესი სიყუარული და სურვილი სურვილსა ზედა შესძინეს წმიდისა ამის ხატისა, და ცრემლითა სიხარულით ადიდებდეს მას. და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლადწმიდისა აწყვერის ღმრთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკლესიად სახელ-სდებენ.*

*ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია მოიკითხნა ყოველნი სიმდაბლით და სიყუარულით, მისცა მშჳდობა და წარემართა სხვათაცა ადგილთა ქადაგად სახარებისა...».*

მაშ ასე: მტკვრის ხეობაში, ქვეყნის სამიმოსვლო გზების თავმოყრის ადგილას, ქალაქ საქრისში მისულმა წმიდა ანდრიამ იქაურ მთავარს ვაჟიშვილი გაუცოცხლა. სასწაულით შეძრულმა მთავარმა – სამძივარმა, თავისი სახლის წევრებთან ერთან აღიარა ქრისტეს მრწამსი. გარდა მთავრის ოჯახისა, გარდაცვლილის მკვდრეთით აღდგენით გაოგნებულმა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმაც იწამა ქრისტეს ცხოველმყოფელობა. ამასთან ერთად, მოციქულმა ნათლისღების საღმრთო მადლით ახალ ადამიანებად გარდაქმნილთ შეასწავლა ქრისტიანული სარწმუნოების ყოველი წესი და ქრისტეს სახარების საქადაგებლად გზის განგრძობის წინ, ქრისტეს მრწამსის მიმდევართ დაუდგინა ეპისკოპოსი,

მღვდლები და დიაკონები. იმავდროულად, ანდრია პირველწოდებულმა საქრისელებთან განშორებისას უფლის მოძღვრების ერთგულთ თხოვნა აღუსრულა და მცველად დაუტოვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ქრისტიანებმა ეგვტერში დაასვენეს, იმ ეგვტერში, რომელსაც აწყვერელები ძველ-ეკლესიად იხსენიებდნენ.

დააკვირდით: I საუკუნის დასასრულსა და II საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველთა მეფე არმაზაელის თანამედროვე ოძრხის ერისთავი, *„მეფეთა ცხოვრების“* მიხედვით, ქრისტიანი მთავარია, ხოლო შუა საუკუნეებში შედგენილ *„სწავლულ კაცთა კომისიის“* ჩანართში მოხსენიებული დაქვრივებული მთავრის საბრძანებელში არსებული არტემიდეს ტაძარი, ისტორიული წყაროების მიხედვით, მოციქულთა პერიოდისათვის იმავე ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელსაც ოძრხის საერისთაო მოიცავდა. ამდენად გამოდის, რომ მკვდრეთით აღმდგარი ვაჟიშვილის მშობელი – მთავარი სამძივარი, ოძრხის მთავარი ყოფილა, რომელმაც თავისი სახლის წევრებთან ერთად აღიარა ქრისტეს მრწამსი და სხვა მთავრებსაც მოუწოდა, ეცნოთ ქრისტე, როგორც ღმერთი. ესე იგი სამძივარი იმავე საერისთაოს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული მთავარია, რომელი საერისთაოს მთავარიც იყო მეფე არმაზაელის თანამედროვე ოძრხის ქრისტიანი ერისთავი. ახლა ნუ დავიწყებთ მარჩიელობას მეფე არმაზაელის თანამედროვე ოძრხის ერისთავი სამძივარის მკვდრეთით აღმდგარი შვილია, შვილიშვილი თუ შვილიშვილის შვილი, თუმც უდავოა, რამდენადაც მეფე არმაზაელის თანამედროვე ოძრხის ერისთავი ქრისტიანია, ამდენად, ვფიქრობთ, *„სწავლულ კაცთა კომისიის“* ჩანართში მოთხრობილი ამბავი ოძრხის მთავრის – სამძივარისა და მისი სახლის წევრების გაქრისტიანების შესახებ მოციქულთა პერიოდიდან მომდინარე წერილობით წყაროებში დაცულ უტყუარ ცნობებს უნდა ემყარებოდეს.

ახლა კი უთუოდ დროულია, გავიხსენოთ თითქოს ძნელად შესამჩნევი და ამასთანავე ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის შესასწავლად ფრიად

საყურადღებო ინფორმაცია: «...*და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლადწმიდისა აწყვერის ღმრთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკლესიად სახელ-სდებენ...*» [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.42]. დამოწმებული წინადადებიდან ნათლად ჩანს, რომ მაშინ, როდესაც საქრისს არა სოსანგეთი, არამედ უკვე აწყვერი ეწოდებოდა, იმ ეგვტერს, რომელშიაც ანდრია მოციქულის მოწაფეებს ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაუსვენებიათ, ადგილობრივი მოსახლეობა „*ძველ-ეკლესიად*" იხსენიებდა. როგორც მატიანედან ირკვევა, აწყვერელები არა მარტო ეგვტერს უწოდებდნენ ძველ ეკლესიას, არამედ იმ ადგილსაც, სადაც მოციქული ანდრია დაბინავდა, ასევე „*ძველ-ეკლესია*"-დ მოიხსენიებდნენ. «...*და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი...*». ციტირებული წინადადების წაკითვისას მავანმა შესაძლებელია იფიქროს, „*ძველ-ეკკლესია*" არტემიდეს ტაძარს ერქვაო, მაგრამ რადგანაც მოსახლეობა „*ძველ-ეკლესიად*" ეგვტერს მოიხსენიებდა, ნათელია, რომ ტოპონიმი – „*ძველ-ეკლესია*" ქრისტიანთა შეკრების ადგილის სახელწოდების მიხედვით უნდა იყოს წარმოშობილი. ნათქვამთან დაკავშირებით ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეგვტერი არქიტექტურული თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ტიპის შესაკრებელია, ვიდრე წარმართული კულტმსახურებისათვის აგებული ტაძარი, რომელიც „*ძველ-ეკლესიად*" სახელდებული, ეგვტერისაგან განსხვავებით, განსახილველ თხზულებაში მოიხსენიება როგორც „*საკერპო ტაძარი*" [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39; 41], „*ბომონი საკერპო*" [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.41], „*საკერპო*" [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.41] და ამიტომ სრულიად გამორიცხულია, ქრისტიანთა შესაკრებლის სახელწოდება „*ძველ-ეკლესია*" წარმართულ ტაძარზეც გავრცელებულიყო. მაშასადამე, შუა საუკუნეებში მოღვაწე მეისტორიე, ძველ ხელნაწერებზე დაყრდნობით ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლის შესახებ ნარკვევის წერისას შემდეგს გვაუწყებს – წმიდა მიციქულმა დაივანა

ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერპო და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნიო. თანაც იქვე დასძენს: მაშინ, როდესაც საქრისს, მოციქულის მიერ გაქრისტიანებულთა სურვილით, ღმრთისმშობლის პატივსაცემად დარქმეული სახელი სოსანგეთი შეეცვალა და აწყვერი ეწოდა, იმ დროისათვის აწყვერის მოსახლეობა წმიდა ანდრიას დაბინავების ადგილს „*ძველ-ეკლესია*"-ს უწოდებდაო. ასე რომ, ცხადია, „*ძველ-ეკლესია*" ეგვტერს ეწოდებოდა და იმ ადგილს, სადაც ანდრია დაბინავებულა. თუმც უეჭველია, საქრისში მისულ ანდრია პირველწოდებულს არტემიდეს ტაძრის შორიახლოს დაუდვია ბინა, რათა წარმართები ქრისტეს სწავლებით დაემოძღვრა და მოექცია.

აქვე ჩავურთავ, სწორედ ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში ქადაგებიდან დაახლოებით 15 თუ 20 წლის შემდგომ პავლე მოციქულმა ეფესოში ქრისტეს მრწამსის ქადაგებისას, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთის – არტემიდეს ტაძარში მლოცველთა გარკვეული ნაწილი ქრისტიანობაზე მოაქცია [საქმე მოციქულთა, XIX, 23-27] და ვინმე ტირანუსის სკოლის ერთ-ერთ ოთახში, ორი წლის განმავლობაში, ყოველდღე ქადაგებდა ქრისტიანულ მოძღვრებას [საქმე მოციქულთა, XIX, 9-10]. ზუსტად ამ სკოლაში დაიწერა პავლეს პირველი წერილი კორინთელთა მიმართ და აქედანვე მიმართა მოციქულმა წერილით გალატელებს.

მოგეხსენებათ, პირველ ხანებში ქრისტეს მიმდევრები სახლის დიდ ოთახებში იკრიბებოდნენ [საქმე მოციქულთა, I,13; II,46; მარკოზი, XIV,15; ლუკა, XXII,12]. ამგვარად, შენობაში არსებული ოთახი არაფორმალური ეკლესია იყო. იმასაც მოგაგონებთ, რომ ქრისტიანული ღმრთისმსახურებისათვის მისადაგებულ ოთახს, რომელსაც ქრისტიანები სალოცავად იყენებდნენ, ეგვტერი ეწოდება. ასე რომ, თავდაპირველი ქრისტიანები იმთავითვე იყენებდნენ ეგვტერებს ქრისტიანული კულტმსახურების აღსასრულებლად.

რამდენადაც ქალაქ საქრისში ანდრია მოციქულის დაბინავების ადგილსა და იმ ეგვტერს, რომელშიაც ქრისტიანებმა

ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენეს აწყვერის მოსახლეობა „*ძველ-ეკლესია*"-ს უწოდებდა, ნათელია, რომ იმ შენობის ერთ-ერთ ოთახში, რომელშიც ანდრია პირველწოდებულს ბინა დაუდვია, მოციქულის მიერ დადგენილი ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით ქრისტიანებს შესაკრებელი გაუმართავთ ღმრთისმსახურების აღსასრულებლად.

ნათქვამის მიხედვით ცხადი უნდა იყოს, რომ წმიდა ანდრიას ქადაგების წყალობით საქრისში ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცეულნი შენობის ერთ-ერთ ოთახში, ანუ ეგვტერში დაარსებულ არაფორმალურ ეკლესიაში აღავლენდნენ ხოლმე უფლის სადიდებელს.

მაშ ასე: ახალი წელთაღრიცხვის 30-იან წლებში ქართულენოვან სამყაროში ანდრია მოციქულის ხელით ნათელღებულთ ეკლესიას მისადაგებულ ოთახში, ანუ არაფორმალურ ეკლესიაში ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი უსვენიათ და ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით პურის განტეხას აღასრულებენ.

ვინაიდან საქრისში არსებულ ქრისტიანულ საზოგადოებას მოციქულმა ეპისკოპოსი დაუდგინა, ნათელია, რომ მტკვრის ხეობაში, სავაჭრო გზების გასაყარზე, ქალაქ საქრისში წმიდა ანდრიამ საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.

როგორც წარმოჩნდა, ქართულენოვან სამყაროს პირველი ეპისკოპოსის ხელთდასმა წმიდა ანდრიას აღუსრულებია.

ქართველთა ქვეყანაში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის ამსახველი ნარკვევის გაცნობის შემდეგ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას მივაპყრობ, რომ მემატიანე, რომელიც მოციქულის მიერ მარადქალწული მარიამის ხელთუქმნელი ხატის მეოხებით განხორციელებული სასწაულის შესახებ მოგვითხრობს, სრულიად დაუჯერებელ ამბავს გვაუწყებს: ვითომცდა წმიდა ანდრიას არტემიდეს ტაძრის ქურუმებმა ნება დართეს, ღმრთისმშობლის ხატი წარმართთა ტაძარში დაესვენებინა. თანაც, არტემიდეს და აპოლონის კერპების განადგურებით შერცხვენილმა ტაძრის ქურუმებმა თავიანთი უმეცრების გამო მოციქულს შენდობა სთხოვეს, ხოლო კერპების დამსხვრევის შემდეგ მთელმა ხალხმა მყისვე იწამა ქრისტე და

ყველანი დიდი სიხარულით მოინათლნენ. თუმცა, ამის პარალელურად, თხზულების ავტორი ანდრია პირველწოდებულის დაბინავების ადგილას, შენობაში არსებული ოთახის, ანუ ეგვტერის – არაფორმალურ, ახალი აღთქმის ეკლესიად ადაპტირების უწყებით, ისეთ ინფორმაციას გვაწვდის, რომელსაც მხოლოდ ქრისტიანობის სათავეებთან მყოფი პიროვნება შეიძლება ფლობდეს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მართალია, „*სწავლულ კაცთა კომისიის*" ჩანართში ბევრი ზღაპარსიტყვაობაა, მაგრამ ვინაიდან ჩანართის ავტორმა ზუსტად იცის, რომ, ჯერ ერთი – ქართველთა ქვეყანაში მოციქულმა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი მიასვენა; მეორეც – საფუძვლიანად უწყის, როგორ იწოდებოდა აწყვერად წოდებული ადგილი ანდრია პირველწოდებულის მტკვრის ხეობაში ქრისტიანობის ქადაგებამდე და ქადაგების შემდგომ; მესამეც – ზედმიწევნით გარკვეულია, თუ რა ეწოდება საქრისში მისული ანდრია მოციქულის დაბინავების ადგილს; მეოთხეც – ნათელი წარმოდგენა აქვს ოძრხის ერისთავის კონფესიური ორიენტაციის თაობაზე; მეხუთეც – ფლობს უნიკალურ ინფორმაციას თავდაპირველი ქრისტიანებისათვის დამახასიათებელი ტრადიციის – შენობაში არსებული ოთახის, ანუ ეგვტერის, არაფორმალურ ეკლესიად ადაპტირების შესახებ, უეჭველია, რომ „*სწავლულ კაცთა კომისიის*" მიერ „*მეფეთა ცხოვრებაში*" ჩართული ტექსტის შემდგენელი, ძველ წერილობით წყაროში არსებული, ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში ქადაგების ამსახველი უტყუარი ცნობებით სარგებლობს.

ნათქვამიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ შუა საუკუნეებში მოღვაწე მეისტორიე, მოციქულთა პერიოდში შედგენილ მატიანეებში მოცემული ფაქტების მიხედვით წერს ნარკვევს საქართველოში ანდრია მოციქულის ქადაგების თაობაზე იმ ეპოქის შესაბამისად, რომელ ეპოქაშიც თავადვე ცხოვრობს და ამიტომ, მისდა უნებურად, იმდენად ზღაპრულად და ჰიპერბოლურად აღწერს ისტორიულ სინამდვილეს, რომ საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის წარმოუდგენელია რეალურისა და

არარეალურის გარჩევა.

ერთია კიდევ, საკმაოდ საინტერესო, თუმცა, არცთუ ადვილად ასახსნელი და ამსთანავე დიდად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტეს მრწამსზე მოქცეულთა ძალისხმევით დიდაჭარაში ეკლესიის დაარსების თაობაზე: *«...შევიდა (ანდრია) ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა. რამეთუ კაცნი პირუტყუთა უუგუნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, და ყოველსა საძაგელსა და არაწმიდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადცა უჯერო არს. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისაჲთა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად, რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესცა დაუწყუედელად აღმოსდის. და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით-კერძო მკვდრნი მის ქუეყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და დაადგინნა მღდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს და არა უტევებდეს წარსლვად, არამედ ეტყოდეს: „უკეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა აქა დაგვსვენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა. და მეყსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკკლესიასა შინა თჳსსა პატივით, რომელი-იგი ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგიეს. ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშჳდობაჲ და მოწლედ მოიკითხეს, ამბორს უყვეს და წარმოგზავნეს...»* [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ. 39]. არადა, დიდაჭარაში ეკლესი-

ის აშენების შესახებ, ციტირებული ინფორმაციის წაკითხვისას, მყისვე ის გვახსენდება, რომ დიდაჭარის შემდგომ საქრისში მისული ანდრია მოციქული ქრისტიანული ღმრთისმსახურების აღსასრულებლად და საეპისკოპოსო კათედრის დასაფუძნებლად, დაბინავების ადგილას არსებულ ერთ-ერთ ოთახს – ეგვტერად გარდაქმნის, არაფორმალური ეკლესიის დაარსების მიზნით. სწორედაც რომ ძნელად დასაჯერებელია, ქრისტიანთ უფლის სახლი არქიტექტურული ნაგებობის სახით აეშენებინოთ და ამ დროს ეპისკოპოსი ეკლესიას მისადაგებული ოთახიდან – ეგვტერიდან ზედამხედველობდეს სამწყსოს. მით უმეტეს, რომ მოციქულთა პერიოდში დედამიწის ზურგზე ნაგებობის სახით ეკლესია არავის აუშენებია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იმ დროისათვის ქრისტიანული არქიტექტურა ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ასეთ ვითარებაში, მაშინ, როდესაც მოციქულთა პერიოდში ქრისტიანული არქიტექტურა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული და ქრისტიანები, საუკეთესო შემთხვევაში, ღმრთისმსახურების აღსრულების მიზნით, ქრისტიანთა შესაკრებელად, შენობაში არსებულ ოთახს იყენებდნენ, მატიანეში დადასტურებული ცნობა ეკლესიის აშენების თაობაზე: «...*და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისასა*...» ვფიქრობთ, იმას უნდა გვაუწყებდეს, რომ დიდაჭარაში წმიდა ანდრიას მიერ ქრისტეს მრწამსზე მოქცეულთ, რწმენის საფუძველზე, ქრისტიანული საზოგადოება შეუქმნიათ, რომლის წევრებიც ქრისტიანული წესით ცხოვრობდნენ. ვინაიდან, თითოეული მორწმუნე სულიერი ლოდია – «და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი აღეშენებოდეთ სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად, შესაწირავად მსხუერპლთა სულიერთა, სათნოთა ღმრთისათა იესო ქრისტეს მიერ» [I პეტრე, II, 5] – მოცემულ კონტექსტში «...და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი...» სიტყვა „*აღაშენეს*" მეტაფორაა და დიდაჭარაში, ანდრია მოციქულის ქადაგების წყალობით, ქრისტიანული საზოგადოების დაფუძნებას უნდა გვაუწყებდეს, როდესაც კეთილმორწმუნენი, როგორც ცოცხალი ლოდები, აშენებენ სულიერ სახლს,

რომელსაც ეკლესია ეწოდება. და მართლაც, ასეთი ეკლესიის მასალა ადამიანები არიან, რომლებიც ქმნიან ჭეშმარიტ, უხილავ ეკლესიას. დიახ, ღმრთისმსახურების აღსრულების მიზნით შეკრებილი ქრისტიანული საზოგადოება, ნამდვილი ეკლესიაა. საერთოდ, სიტყვა ეკლესია შეკრების მიზნით მოწოდებას, ძახილს ნიშნავს და როგორც ცნობილია, თავდაპირველ ქრისტიანებში ტერმინი *„ეკლესია"* იხმარებოდა შეკრების და არა ნაგებობის აღსანიშნავად. ეჭვი არ არის, კეთილმორწმუნეთ შესწევთ ისეთი რწმენა, რომ რწმენის ლოდები გახდნენ.

ამრიგად ძველ წყაროებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მეტაფორულად გამოთქმულ აზრს მოციქულის მიერ დიდაჭარაში ქრისტიანთა საღმრთო საზოგადოების დაფუძნების თაობაზე, ანუ ცოცხალი ლოდებით სულიერი სახლის აშენებაზე, *„სწავლულ კაცთა კომისიის"* ჩანართის ავტორი თავისი ეპოქის გადასახედიდან, ეკლესიის ნაგებობად მიიჩნევს და ამიტომ არქიტექტურული სახით დაარსებულ ეკლესიაზე მოგვითხრობს, იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის შესაბამისად, რომელშიაც თვითონ მოღვაწეობს.

ამნაირადვე, შუა საუკუნეებში მოღვაწე *„სწავლულ კაცთა კომისიის"* ჩანართის ავტორი, რომელიც დიდაჭარაში ეკლესიის აშენების უწყების პარალელურად წერს, რომ დიდაჭარელმა ქრისტიანებმა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის პირი ეკლესიაში დიდის პატივით დაისვენესო *«...სიხარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკკლესიასა შინა თკსსა პატივით, რომელი-იგი ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგიეს...»* [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39], რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ, ზემოთ აღნიშნულ შეცდომას უშვებს, რადგანაც სრულყოფილი წარმოდგენა არა აქვს მოციქულთა მოღვაწეობის პერიოდში თავდაპირველ ქრისტიანთა სპეციფიკურ ტრადიციაზე და ამის გამო ჰგონია, რომ მარად ქალწული მარიამის ხელთუქმნელი ხატის პირი ქრისტიანებს არქიტექტურული ნაგებობის სახით აშენებულ უფლის სახლში დაუსვენებიათ. სწორედ ამიტომაა, რომ შუა საუკუნეებში მოღვაწე მემატიანე, თავისდა უნებურად ისევ ისე ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, როდესაც გვამცნობს,

რომ დიდაჭარაში შექმნილი ქრისტიანთა საღმრთო საზოგადოება, რომელსაც ანდრია მოციქულმა მარადის ქალწული მარიამის ხელთუქმნელი ხატის პირი უსახსოვრა და მღვდელები და დიაკვნები დაუდგინა, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მარიამის სახელზე იკურთხაო: *«...სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისასა...»* [ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955, გვ.39].

მაშ ასე, როგორც ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ აშკარად წარმოჩნდა, შუა საუკუნეებში მოღვაწე მეისტორიე ნარკვევს ანდრია პირველწოდებულის ქართველთა ქვეყანაში მოღვაწეობის შესახებ ძველ წერილობით წყაროებში ჩაწერილი ფაქტების მიხედვით წერს. თუმც, ზოგიერთ შემთხვევაში, იმ დროს, როდესაც მოციქულთა პერიოდისათვის დამახასიათებელი და *„სწავლულ კაცთა კომისიის“* ჩანართის ავტორის ეპოქისათვის ნიშანდობლივი ქრისტიანთა ცხოვრების წეს-ჩვეულებები ერთიმეორისაგან თვისებრივად განსხვავდება, მაშინ შუა საუკუნეებში მცხოვრები ჟამთააღმწერელი ისტორიული ცნობებისათვის ანგარიშმიუცემლად უჩვეულო, საზღაპრო ამბებს გვიყვება, რადგან იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის შესაბამისად მოგვითხრობს, რომელშიაც თვითონ მოღვაწეობს, და ამდენად სრულიად გაუთვითცნობიერებლად წარსულის რეალიებს დამახინჯებულად გადმოგვცემს.

ასე რომ, როგორც ანდრია პირველწოდებულის ქართველთა ქვეყანაში მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნარკვევიდან ირკვევა, წმიდა ანდრიას ქადაგების წყალობით ქართულენოვან სამყაროში ჩამოყალიბებულმა ქრისტიანულმა საზოგადოებამ პირველი ეკლესია დიდაჭარაში შექმნა, რის შემდგომაც ეკლესია ანდრია მოციქულს საქრისში დაუარსებია. თუმცა, თუკი საქრისში არსებული ქრისტიანული საზოგადოება განსაზღვრულ ადგილას იკრიბება, დიდაჭარის ქრისტიანული საზოგადოების წევრებს კონკრეტული შეკრების ადგილი არა აქვთ და კარდაკარ ტეხენ პურს. *«და დღითი-დღედ განკრძალულ იყვნეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა»* [საქმე მოციქულთა, II,46]. თანაც საქრისში დაფუძნებულ ეკლესიაში

ანდრია მოციქულს ქართველთა ქვეყნის პირველი ეპისკოპოსის ხელთდასმა აღუსრულებია და ამნაირად მტკვრის ხეობაში დაარსებული ეკლესია ქართულენოვანი სამყაროს საკათედრო ეკლესია გახდა, სადაც კეთილმოწმუნეებს მარად ქალწული მარიამის ხელთუქმნელი ხატი დაუსვენებიათ კიდევაც.

ამგვარად, ნათელია, რომ ქართველთა ქვეყანაში, ახალი წელთაღრიცხვის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკლესიას მისადაგებულ ოთახებში შეკრებილ კეთილმორწმუნეთა ქრისტიანულ საზოგადოებებს წმიდა ანდრიას მიერ დადგენილი, სამოციქულო მემკვიდრეობითობით მადლმოსილი ეპისკოპოსი ხელმძღვანელობს.

ადვილი მისახვედრია, ქართულენოვანი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა. მართლაცდა, *«...არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს».*

თავისთავად ცხადია, უფლის განუყოფელ კვართზე სვეტის აღმართვისას მშენებარე ეკლესიის სივრცეში ღმრთის ყოფნით კურთხეული ეკლესიის მნიშვნელობამ გარკვეულწილად დაჩრდილა ანდრია მოციქულის მიერ საქრისში დაფუძნებული ქართველთა საკათედრო ეკლესია. თუმც, ვინაიდან რომის იმპერიიდან სამღვდელოების თანხლებით მომავალი ეპისკოპოსი იოვანე არც ერუშეთში და არც წუნდაში ეკლესიის მშენებლობისას ეკლესიის მსახურთ არ ტოვებს, ნათელია, რომ ქართულენოვანი ეკლესია ანდრია პირველწოდებულის მიერ დამკვიდრებული სამოციქულო ტრადიციის მიმდევარია, რასაც ადასტურებს დედათა დიაკონისადმი მიძღვნილი ტროპარიც: *«სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს».*

სანამ ქართველთა ქვეყანაში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის მიმოხილვის განხილვას დავასრულებდე, ერთი რამ აუცილებლად უნდა დავაზუსტო: მოგეხსენებათ, მას შემდგომ, რაც მოციქულებმა ქრისტეს მრწამსის ქადაგებისას

თავიანთ ქვეყანაში წარმატებას ვერ მიაღწიეს, იერუსალიმი დატოვეს და სამშობლოდან ემიგრირებულ თვისტომთა დიასპორებისაკენ გაემართნენ. ცნობილია, რომ ქრისტეს შობამდე ბევრად ადრე ებრაელთა ქვეყნიდან ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა თავშესაფარი იბერიის დედაქალაქში, მცხეთაში, პოვა. ასეთ შემთხვევაში სრულიად არალოგიკურია, რომ მტკვრის ხეობაში, კერძოდ საქრისში, საკათედრო ეკლესიის დამაარსებელი წმიდა ანდრია ამავე ხეობაში განთავსებულ ქალაქ მცხეთისკენ არ მიემართება. მოციქულის ასეთ მოქმედებას ახსნა არ მოეძებნება, თუ არ დავუშვებთ ერთადერთ შესაძლო ვარაუდს, რომ ანდრია პირველწოდებული მხოლოდ და მხოლოდ რწმენის ზეგავლენით არ აგრძელებს გზას მცხეთისაკენ. ცხადია, შეიტყობდა თუ არა მოციქული, მცხეთაში უფლის კვართის არსებობის ამბავს, წმიდა ანდრია ზედმეტად მიიჩნევდა წასულიყო იმ ადგილას, სადაც მისი მოძღვრის, ქრისტეს განუყოფელი კვართის სახით, საღნრთო სიწმინდე სუფევდა.

მაშასადამე, თუკი ანდრია მოციქული იმიტომ არ მიდის მცხეთაში, რომ იქ უფლის კვართია დაფლული, დედათა დიაკონი სწორედ იმის გამო მიდის ქართველთა ქვეყანაში, რათა უფლის განუყოფელ კვართზე „*წმიდა და უბიწო*", განუყოფელი ეკლესია ააგოს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ყოველივე ზემოთქმულის თანახმად არავითარი უფლება არა გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ, «*...ძველთა უწყებათაგან...*», ანუ ძველი გადმოცემების მიხედვით XII საუკუნის I პირველ ნახევარში შედგენილ, საქართველოში არაბთა მეორე შემოსევისას (737-741 წ.წ.) წამებული მამულიშვილების „*დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში*" ჩანერილი ინფორმაციის მართებულობაში: «*...ვითარცა გკსნავიეს ესე ძველთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართველნი სანახებისაგან არგუეთისა დიდნი და დიდებულნი ტომებით და მთავარნი ამის ქუეყნისანი და თჳს-ეყვოდეს ურთიერთას და იყვნეს განათლებულ ემბაზითა ქადაგებულისა ანდრია და*

*სიმონ კანანელისაჲთა, რამეთუ მათ უქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის პირველად ნინოჲს მოსლვისა»* [ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები,1971,გვ.251]. დიახაც, „ძველთა უწყებათა" მოშველიებით დაწერილ თხზულებაში მოტანილი ცნობა ქართველთა ქვეყანაში ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგების თაობაზე მნიშვნელოვან ინფორმაციად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან, როგორც ნაწარმოების ავტორი გვაუწყებს, ინფორმაცია ანდრია მოციქულის ქართველთა სამშობლოში მოღვაწეობის შესახებ ნაწარმოების ავტორს ისტორიულ წყაროებში არსებული ცნობების მოძიების საფუძველზე ჩაუწერია მარტვილობაში.

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, წერილობით წყაროებში ასახული უტყუარი ცნობები ნათლად წარმოაჩენს ქართულენოვან სამყაროში ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგების ფაქტს.

მოგეხსენებათ, მოციქულები წარმოადგენენ ცოდვისაგან განწმენდილი კაცობრიობის ხატს, იმ კაცობრიობისა, რომლის ცოდვაც იესო ქრისტემ ჯვარცმით გამოისყიდა და ამის გამო მოციქულები ღმრთის რჩეულთ განასახიერებენ, რომლებიც უფლისაგან ხელთდასხმულნი და სულიწმიდის მადლით აღვსილნი მოქმედებენ ამ ქვეყნად. სწორედ ამიტომაა, რომ მოციქულის სახით ღმერთი მოქმედებს დედამიწაზე. ყოველივე თქმულის შემდგომ უცილობელია, დამერწმუნებით, როცა იოვანე საბანის ძე ამ სიტყვებს წერდა: *«...რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა...»* [წამებაჲ ჰაბოჲსი, 1963, გვ. 55], უეჭველია, იმას გულისხმობდა, რომ ბერძნების მსგავსად ჩვენც, ქართველებიც, ქრისტეს სარწმუნოებას სულიწმიდის მადლით შემოსილი მოციქულის ხელთდასხმით ვართ ნაზიარებიო.

ცხადზე უცხადესია, ქართულენოვანი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა.

აქვე უნდა შევნიშნო, რამდენადაც ათანასე ალექსანდრიელის ცნობით, ქალაქ ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო

საეკლესიო კრებას 318 ეპისკოპოსი ესწრებოდა, თუმცაღა სხდომაზე დამსწრეთა სიის დაზიანების გამო კრების 88 მონაწილის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება, ამდენად ანდრია მოციქულის ხელთდასხმით კურთხეული ქართველთა ქვეყნის ეკლესიის მღვდელმთავრის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმში ვერ ამოკითხვა არანაირ საფუძველს არ გვაძლევს კრებაზე ქართულენოვანი ეკლესიის ეპისკოპოსის მონაწილეობის უარსყოფად.

დაბოლოს, სრულიად ბუნებრივია, რომ წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების არც ლეონტი მროველისეული, არც შატბერდული, სინური და ჭელიშური რედაქციები ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის ისტორიას არ მოგვითხრობს. ვინაიდან ბრძენი ქალწულის მცხეთაში მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნაშრომი ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას კი არ ეძღვნება, არამედ ჟამთააღმწერლის მიერ თხზულებაში ჩაწერილი სიბრძნით შენიღბული ინფორმაცია დაფარულად გადმოგვცემს იმას, რაც უფალმა გამოუცხადა დედათა დიაკონს და რაც სიდონიამ ღმრთის დიდებისას იხილა, რათა ბრძენი ქალწულის საუკეთესო მოწაფემ ქრისტეს მიმდევართ აუწყოს, თუ რა უნდა მოხდეს მომავალში ქართულენოვანი ეკლესიის წიაღში.

ბარემ აქვე დავძენ, წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილი წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების ჩვენეული განმარტების საფუძველზე არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ სიბრძნით შენიღბულ ნაწარმოებში ჩაწერილი სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვა, უეჭველია, თვით ღმრთის დიდების მხილველის სიცოცხლეშივე უნდა იყოს დაწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვათა გადმოცემის მიხედვით აღწერილ ხილვას ეკლესიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან არათვითმხილველის მონაყოლის მიხედვით მოთხრობილი ღმრთის დიდების უწყება საღმრთო ხილვა აღარ არის და ღმრთის ბოძებულ გამაფრხილებელ ინფორმაციასთან აღარაფერი აქვს საერთო. მით უმეტეს, რომ ღმრთის დიდების ხილვა პირველ პირშია ნაამბობი, რაც იმის დასტურად უნდა

მივიჩნიოთ, რომ ღმრთის დიდების უწყება პირადად სიდონიას მიერ უნდა იყოს გადმოცემული.

მაშასადამე, სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვა დედათა დიაკონის ქართველთა ქვეყანაში მოღვაწეობის თანადროულად – IV საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა იყოს ჩანერილი; თუმც ძნელი სათქმელია, თუ რა ენაზე დაიწერა თავდაპირველად სიდონიას მიერ ცხადად ნანახი ღმრთის დიდება. ერთი კია, საღმრთო გამოცხადების ხილვამდე არცთუ დიდი ხნით ადრე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული იუდაიზმის ყოფილი ადეპტი სიდონია ქართულად ვერაფერს დაწერდა. მაგრამ, თუკი სიდონია ხილვისას ნანახ ღმრთის დიდებას მოგვითხრობს და მწერალი კი იწერს, მაშინ გაძნელდება, დაბეჯითებით რაიმე ვამტკიცოთ.

აი, ისიც – IV საუკუნის პირველ მეოთხედში ღმრთის დიდების თვითმხილველის მიერ დაწერილი ტექსტის თარგმანი თუ ღმრთის დიდების თვითმხილველის მონათხრობის საფუძველზე მწერლის მიერ ჩანაწერი ტქსტი:

*«...ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგჯ გარდამოჴდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგჳნვანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს. ხოლო ნეტარი ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს. ხოლო ჴმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თჳსსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მაღლისაჲთა და ჯუარითა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ“. და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი, და იყო არა რა.*

*და დადგა წმიდა ნინო, განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: „რაჲთა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე". კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთავე კართა ქალაქისათა, დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან: დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა; და შეიქმნა ჴმა ზარისსაჴდელი, ზრზინვა, და ყივილი, და კლვა. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა, და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახჳლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჴორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა თჳსთა.*

*და მსწრაფლ ისმოდა, ჴმობდეს რაჲ ძლიერად: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურია განარინეთ პირისაგან მახჳლისა". ესე რა მესმა, და მოეგე თავისა ცნობასა; და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი გარემოს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.*

*და ისმა ჴმაჲ ძლიერი – "მირიან მეფე შეიპყრესო". გარემოიხილა მჴნემან მოღუაწემან და თქუა: „ესე რომელ ყივის, ვიცი რომელ აწ სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დიდებისა". და ნუგეშინის – გუცემდა, ვითარცა მოძღუარი ჴელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.*

*მიექცა ერსა მას მომავალსა და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახჳლი დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოჲთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქუენ ეელტით". და განძრა ჴელი ჯუარისსახედ და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი. და იქმნა დაყუდება დიდი, და დედანი იგი ჰნატრიდეს მას და ადიდებდეს ღმერთსა.*

*ხოლო ვითარცა ცისკარი აღეღებოდა, და მიერულა ყოველთა მათ დედათა. ხოლო მე, სიდონია, მღჳძარე ვიყავ. და იგი*

*დგა ჴელგაპყრობით. აჰა ესერა, ზედა-მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა, და ჰრქუა რაჲმე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა, და ჭაბუკმან მან შეჰყო ჴელი სუეტსა მას და აღმართა და წაიღო სიმაღლესა შინა. და განკკრვებული მივეახლე მას და ვარქუ ესრეთ: „დედოფალო, რაჲ არს ესე?" ხოლო მან მრქუა: „მოიდრიკე თავი ქუეყანად", და ტირილად იწყო ზარისა მისგან. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა. ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდე, იხილეს მათცა სუეტი იგი, ცეცხლისსახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძჳსასა...»* [მოქც. მირიან მეფისა., 1955, გვ. 112-114].

ყოველივე თქმულის შემდგომ ადვილი შესამჩნევი უნდა იყოს, რომ წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების ავტორი ბრძენი ქალწულისადმი მიძღვნილი ნაწარმოების ფაბულად სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვას იყენებს და თანაც მნიშვნელოვნად ავსებს და განმარტავს ღმრთის დიდების სიდონიასეულ უწყებას. თუმც იმდენად ბრძნულად ნიღბავს სათქმელს, რომ მკითხველისათვის გარკვეულწილად ამოუცნობია თხზულების დედააზრი.

ამასთანავე აღვნიშნავ, რომ წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების ლეონტი მროველისეულ რედაქციაში ჩაწერილი სიდონიას მიერ ნანახ ცაში გამართული ომის ეპიზოდში, თუკი ლეონტი მროველისეული რედაქციის მიხედვით მცხეთაში მახვილოსნების მოსვლის გამო სხვებს შიშისაგან ხორცი ადნებოდათ და სული მისდიოდათ და იმავდროულად ეს სხვები, რომლებიც ბოროტ ძალას განასახიერებენ, თავიანთ ნათესავებს ტიროდნენ, შატბერდული, სინური და ჭელიშური რედაქციების თანახმად, მცხეთაში მახვილოსნების მოსვლის გამო სიდონიას და მასთან მყოფთ ადნებოდათ ხორცი და მისდიოდათ სული, ხოლო თვით სიდონია მამისათვის და თავის ნათესავთათვის ტიროდა.[1]

იმედია, დამეთანხმებით, ვინაიდან, ცაში გამართულ ომში ბოროტი სულები მარცხდებიან, ამდენად სრულიად გაუგებარ-

ია, შატბერდულ, სინურ და ჭელიშურ რედაქციებში მახვილოსანთა გამარჯვებისათვის მლოცველი ბრძენი ქალწულის სულიერი და სიდონია რატომ თვლის, რომ მახვილოსნები მისი და მისიანების გასანადგურებლად არიან მოსულნი და რატომაა სიდონია იმ ძლეულთა შორის, რომელთაც მახვილოსნების მოსვლისას შიშისაგან ხორცი ადნებოდათ და სული მისდიოდათ. ამგვარად, ირკვევა, რომ შატბერდული, სინური და ჭელიშური რედაქციების შემდგენელთ, სიდონიას მიერ ღმრთის დიდების ხილვისას ნანახი, უფლის კვართზე მშენებარე ეკლესიის ადგილის დასაპატრონებლად ცაში გამართული ომის არსი არ ესმით, რაც იმას ნიშნავს, რომ შატბერდული, სინური და ჭელიშური რედაქციების გადამწერთ წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების შინაარსი გაცნობიერებული არა აქვთ, მით უმეტეს რომ შატბერდულ, სინურ და ჭელიშურ ხელნაწერებში არაერთი აზრობრივი შეუსაბამობაც შეიმჩნევა. ვფიქრობთ, რადგან მხოლოდ ლეონტი მროველისეული ტექსტი გამოხატავს ნათლად თხზულებაში მოთხრობილი ამბის შინაარსს, ამიტომ დედათა დიაკონის მოღვაწეობის შესწავლა წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულების ლეონტი მროველისეული რედაქციის მიხედვით უნდა წარიმართოს.

**დასასრულს დავასკვნით:**

წმიდა ქალწულის ცხოვრების ამსახველი თხზულება შექმნილია სიდონიას ხილვის განმარტებისათვის, ქართულენოვანი ეკლესიის სამომავლო ამოცანის წარმოსაჩენად.

თავად სიდონიას ხილვა კი დაწერილი უნდა იყოს ღმრთის დიდების თვითმხილველის მიერ, ანდა ღმრთის დიდების თვითმხილველის მონათხრობის მიხედვით IV საუკუნის პირველ მეოთხედში.

ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ ქართველთა ქვეყანაში ღმრთის ჩანაფიქრის აღსრულების თაობაზე შემონახული ინფორმაცია:

იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ საღმრთო განგების იდუმალი ნებით უფლის უნაკერო კვართი წილისყრით მცხეთიდან

იესოს სამსჯავროზე დასასწრებად იერუსალიმში ჩასულ, ისრაელის ტომის გაქართველებულ შთამომავალს – ელიოზს შეხვდა.

ძველი რჯულის მცოდნემ განკაცებული ღმრთის კვართი ახალი წელთაღრიცხვით 30 წელს მშობლიურ ქალაქში – მცხეთაში მიასვენა.

ღმრთისგან მომდინარე სიწმიდით შემოსილი საგანი ელიოზს მისმა დამ, სიდონიამ, ჩამოართვა და სასოებით მკერდზე მიიხუტა. ამ დროს, რათა უფლის განუყოფელი კვართი სამუდამოდ ქართულენოვან სამყაროში დაფლულიყო, ღმერთმა ინება სიდონიას გარდაცვალება. ამგვარად, ღმრთის ნებით სამარადჟამოდ ქართულ მიწას მიებარა უფლის განუყოფელი კვართი.

გამოხდა მცირეოდენი ხანი და ახალი წელთაღრიცხვის 30-იან წლებში ქართულენოვან სამყაროს, ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით, უფლის მოციქული ანდრია ეწვია.

წმიდა მოციქულის ხელით ქართველთა ქვეყანაში ღმრთისმშობლის ხატის მისვენებისას ანდრიას მიერ არამეულ ენაზე, ეპითეტით – „*ხატი*" (ესე იგი – „ჩემი და") მარადის ქალწული მარიამის სახელდება საფუძვლად დაედო ღმერთთან ლოცვით ურთიერთობის დასამყარებელი საგნის – ხატის აღმნიშვნელ ტერმინს. ასე რომ, ხატს ქართულ ენაზე სიტყვა „*ხატი*" ანდრია პირველწოდებულის მიერ ღმრთისმშობლის მოხსენიების შესაბამისად ეწოდა და ზოგადად ამ საგნის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა ქართულ ენაში.

ქართველთა ქვეყანაში ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანული მოძღვრება თავდაპირველად დიდაჭარაში იქადაგა და მის მიერვე დიდაჭარაში ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცეულებმა ქართულენოვან სამყაროში პირველი ქრისტიანული საზოგადოება, ანუ ეკლესია დააარსეს, რომლის წევრებიც კარდაკარ პურის განტეხით აღასრულებდნენ ღმრთისმსახურებას.

დიდაჭარის შემდგომ ეკლესია მოციქულმა ქალაქ საქრისში დააფუძნა. წმიდა ანდრიამ საქრისში დაბინავების ადგილას ერთ-ერთ ოთახში – ქრისტიანთა შესაკრებელი, ანუ არაფორმალური ეკლესია გამართა, სადაც კეთილმორწმუნეებმა მარად

ქალწული მარიამის ხელთუქმნელი ხატი დაასვენეს და პურის განტეხასაც იქვე ასრულებდნენ. სწორედ ამ ეკვდერში განაწესა მოციქულმა ანდრიამ ქართველთა ქვეყნის პირველი ეპისკოპოსი.

ამნაირად, მტკვრის ხეობაში არსებულ მრავალი გზის გასაყარზე ანდრია პირველწოდებულმა ქართულენოვანი სამყაროს საკათედრო ეკლესია დააარსა.

ცხადზე ცხადია, ქართულენოვანი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა და, ახალი წელთაღრიცხვის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველთა ქვეყანაში სამოციქულო მემკვიდრეობითობით მადლმოსილი ეპისკოპოსი ზედამხედველობს ეკლესიის მრევლს.

და აი, ქართულენოვან სამყაროში, უკვე ახალი წელთაღრიცხვის 30-იან წლებში დიდაჭარაში და საქრისში ქრისტიანული საზოგადოებებია ჩამოყალიბებული. როცა ამას ვამბობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქრისში მცხოვრები დიდებული, ოძრხის მთავარი – სამძივარი, ოჯახითურთ ქრისტიანია. ამასთანავე ქრისტიანები არიან ახალი წელთაღრიცხვის 75 - 120 წლებში მოღვაწე იბერიის მეფე არმაზაელი და მისი თანამედროვე ოძრხის ერისთავი.

უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველთა ქვეყანაში III საუკუნეში, დიდაჭარისა და სოსანგეთის ქრისტიანულ თემებთან ერთად, ქრისტიანული თემებია წუნდაში, ერუშეთში და კოლაში. დამერწმუნებით, შემთხვევითობას არ უნდა მიეწერებოდეს ის გარემოება, რომ III საუკუნეში ქართველთა ქვეყანაში არსებული ქრისტიანული ცენტრები: სოსანგეთი, წუნდა, ერუშეთი და კოლა მტკვრის ხეობაშია განთავსებული, სწორედ იმ ხეობაში, რომელშიც ქართველთა ქვეყნის პირველი საკათედრო ეკლესია დააარსა მოციქულმა ანდრიამ.

ამასთან ერთად III საუკუნის ქართულენოვან სამყაროში ქრისტიანთა არსებობას ისიც მეტყველებს, რომ იერუსალიმიდან მცხეთაში მისულ დედათა დიაკონს მისვლისთანავე ქართულენოვანი ეკლესიის ქომაგი – ქართველი ქრისტიანი სეფექალი, შროშანა მოინახულებს.

რაც მთავარია, ქართველთა ქვეყანაში III საუკუნისათვის ქრისტიანული თემები უკვე ქართულ ენაზე თარგმნილი სახარებით ეცნობიან ქრისტიანულ მოძღვრებას და საღმრთო ლიტურგიასაც ქართულად აღასრულებენ.

III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც წმიდა ეკლესიას იმდენი ერეტიკული დაჯგუფება მიეძალა, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე, გამოუთქმელი სიკეთით აღვსილი ქალწული, რომელიც დიაკონი ქალის ზედამხედველობით იზრდებოდა, აღმზრდელთან საუბრისას გაიგებს თუ არა, რომ განუყოფელი ეკლესიის სიმბოლო, უფლის განუყოფელი კვართი ქართველთა დედაქალაქში – მცხეთაში ასვენია, დაუყოვნებლივ მცხეთაში წასვლას გადაწყვეტს განკაცებული ღმრთის კვართზე წმიდა ეკლესიის ასაშენებლად.

იერუსალიმის პატრიარქი ქალწულის გადაწყვეტილებას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ღმრთისმოშიშ ქალწულს უყოყმანოდ დედათა დიაკონად აკურთხებს.

ერთიცაა, უფლის განუყოფელი კვართის მოსაძიებლად შემართული დედათა დიაკონი სულიერი კონსტიტუციით სახარებაში მოხსენიებული ბრძენი ქალწულის დარი ქალწულია და ამდენად, მეორედ მოსვლის მოლოდინში მყოფ შეუმცდარ, ჭეშმარიტ ეკლესიას განასახიერებს.

მცხეთისაკენ მიმავალი სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული ფარავნის ტბასთან ძილში ღმრთივმიმადლებულ სიზმარს იხილავს.

ღმრთივმიმადლებული სიზმრით, უფალმა დედათა დიაკონს ღმრთის ჩანაფიქრი ამცნო.

გამოცხადებით ღმრთისმოსავ ქალწულს ეუწყება, რომ წარმართებზე ქრისტეს ნათლის მოფენით ცხოვნდება წმიდა ეკლესია.

რამდენადაც ცათა სასუფეველში არაფერია დაფარული, უფლის განუყოფელ კვართზე ეკლესიის ასაშენებლად მცხეთაში მისულმა ბრძენმა ქალწულმა, რომელმაც წუთისოფლის საზრუნავისაგან განთავისუფლებით საკუთარ თავში ცათა სასუფეველი დაიტია, სულიერი თვალით უფლის განუყოფელი

კვართის დაფვლის ადგილი იხილა.

ერთხელაც უფალმა მირიან მეფეს მზე დაუბნელა. მზის დაბნელებით შექმნილი უკუნი იმ სიბნელის გამოვლინება იყო, რომელიც ცოდვილი მეფის არსებაში და მის სამეფოში სუფევდა. როდესაც, ქართველთა ხელმწიფემ პირობა დადო – უკეთუ დედათა დიაკონის ღმერთი გასაჭირიდან დაიხსნიდა, მაშინ მისი უდიდებულესობა ქრისტეს აღიარებდა და სალოცავად უფლის სახლს ააშენებდა, აი, ამ აზრის გულში გავლებისთანავე გაიფანტა სიბნელე და მზემ გამოანათა. ამ სასწაულმა მეფე დაარწმუნა ქრისტეს ძალაში და აღიარა უფალი.

მას შემდგომ, რაც სიბნელე გაიფანტება, მეფე ქრისტესათვის მიცემული აღთქმის აღსასრულებლად უფლის სახლის ასაშენებლად იწყებს ზრუნვას.

ბრძენი ქალწულის შთაგონებით მისი უდიდებულესობა ეკლესიის აგებას სამეფო ბაღში გადაწყვეტს.

ეკლესიის მშენებლობისას ტაძრის ცენტრალური სვეტის აღმართვას ძეხორციელი ვერ შესძლებს.

მაშინ სვეტისაკენ გაემართება დედათა დიაკონი და მასთან ერთად მისი თორმეტი მოწაფე.

ბრძენი ქალწული გონებით ჩასწვდება, რომ რწმენის შესაბამისად გაართმევს თავს ღმრთის ნებას, მოვალეობის გრძნობით შემკრთალი, გულამოსკვნით ატირდება და მისი ცრემლები სვეტს დაედინება. იმავდროულად სულიერ აღტყინებაში გარინდული  დედათა დიაკონი სვეტის აღსამართავად უფლისადმი ლოცვას აღავლენს.

და, აი, როდესაც ბრძენი ქალწულის ლოცვა ღმერთმა შეისმინა, სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის ერთგული მოწაფე სიდონია ფართოდ გახელილი სულიერი თვალით მომავალ მოვლენას, იესო ქრიტეს მეორედ მოსვლას, როგორც სინამდვილეში მომხდარს, ისე ხედავს:

მცხეთაში, მშენებარე ეკლესიის მიდამოებში, მთები ჩამოიქცა. მთების დაქცევამ მდინარეები გააჩერა. მთების ჩამოქცევით დედამიწა გარდაიქმნა და ცოდვებისაგან წახდენილი ძველი მიწის განწმენდილი ელემენტებისაგან ახალი მიწა

შეიქმნა. უწყლო მიწა უდაბნოდ გადაიქცა. ანაზდად სიდონია სრულად გახელილი სულიერი თვალით ხედავს, რომ ბოროტი სულების ლაშქარმა ქალაქის სამივე კართან შიშის ზარი დასცა. დალეწეს კარები და ქალაქი მოძალადეებით გაივსო. უკეთურები ხოცავდნენ ხალხს, ისმოდა შიშისმომგვრელი ქვითინი და ყვირილი, ყოველ ადგილას სისხლი იღვრებოდა. ამ დროს სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწულის მიერ ეკლესიის ასაგებად აღვლენილი ლოცვისას, მშენებარე ეკლესიის შემოგარენში მოვიდნენ ღმრთის მადიდებლები ავი სულების გასადევნად. ღმრთის მადიდებლების შიშით სპარსელებს ხორცი ადნებოდათ და სული სძვრებოდათ. სულთმობრძავნი თავიანთ ნათესავებს ტიროდნენ. ხოლო სულიწმიდის მადლით შემოსილი ქალწული მადლობას სწირავდა ღმერთს და გარშემო მყოფთ განუმარტავდა, რომ ავი სულების დაღუპვა, ქართველთა ქვეყნის მარადიული არსებობის და ამ ადგილის დიდების მაუწყებელიაო.

უეცრად დედათა დიაკონს ზეციდან თავს წამოადგა ნათლით მოსილი მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, რომელმაც ბრძენ ქალწულს შემდეგი სიტყვებით მიმართა: «„აჰა მოვალ ადრე.“...». ვინაიდან, სულიწმიდის მადლით შემოსილმა ქალწულმა უფლისადმი კეთილმსახურებით საკუთარი თავი სასძლოდ გაიმზადა, დედათა დიაკონს ენიშნა, რომ ზეცაში მისი ქორწილი გაიმართა კრავთან და მყისვე შიშისაგან მიწაზე დაემხო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრავის სძალი ახალი იერუსალიმია.

ეჭვს გარეშეა, მაშინ, როდესაც კრავის ქორწილის ხილვისას, ქრისტეს სძალი მიწაზე დაემხო, მას ზეციდან გადმომავალი ახალი იერუსალიმის ჩვენება მიეცა.

იმავდროულად მხსნელმა ხელი შეახო მშენებარე ეკლესიის სვეტს, მაღლა ასწია, ზეცისაკენ წაიღო და საღმრთო ძალით ზეციდან ცეცხლის სახედ დაუშვა.

ამ დროს დედათა დიაკონმა ღმრთის მადიდებლებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: «...„აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით“...», რამდენადაც დედათა დიაკონი მომავალზე აწმყო

დროში საუბრობს, მაშასადამე მშენებარე ეკლესიის შემოგარენში ღმერთი გამოვლინდა და, ამდენად, მცხეთაში ღვთაებრივი სრულყოფილება დამყარდა.

თავისთავად ცხადია, უფლის განუყოფელ კვართზე სვეტის აღმართვისას მშენებარე ეკლესიის სივრცეში ღმრთის ყოფნით ეკლესია იკურთხა.

და, აი, სწორედ ამის გამო, რადგანაც მცხეთაში, უფლის კვართზე აგებული ეკლესია ღმრთივკურთხეულია, ქართულენოვანი ეკლესიის კათედრამ სოსანგეთიდან მცხეთაში გადაინაცვლა.

ვინაიდან უფლის განუყოფელ კვართზე სვეტის აღმართვისას მშენებარე ეკლესიის სივრცეში მაცხოვრის ყოფნით ქალაქი ღმერთმა მოიცვა, მცხეთაში აღარ არსებობს ზღვარი ორ სამყაროს შორის და ამგვარად, მცხეთა – წმიდა ქალაქია.

რა თქმა უნდა, იქ, სადაც მთების დაქცევით დედამიწა გარდაიქმნა და ცოდვებისაგან წახდენილი ძველი მიწის გაწმენდილი ელემენტებისაგან ახალი მიწა შეიქმნა, ხოლო ზეციდან ცეცხლის სახედ დაშვებულმა სვეტმა ცა გაწმინდა, ახალი იერუსალიმი გადმოდის. ასე რომ, ახალი იერუსალიმის ფრთების ქვეშ მდგომნი ჭეშმარიტი სარწმუნოების სამსახურში მდგომნი არიან, რომელთაც გადაეცემათ ჰურიათა დიდება – ახალი იერუსალიმი.

გახსოვდეთ: ყოველივე ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ სიდონიამ იხილა, არამედ იმიტომ იხილა, რომ ასე მოხდება.

დიახ, ახალი იერუსალიმი უფლის განუყოფელ კვართზე აგებული ეკლესიის წიაღში გადმოდის, რომლის სამწყსოც იერუსალიმის ფრთების ქვეშ დგომით ჭეშმარიტი სარწმუნოების სამსახურში დგას.

ასე რომ, ქართულენოვანი ეკლესია ახალი იერუსალიმია.

ამის თქმისას, ცხადია, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი იერუსალიმი ღმერთთან შეხვედრის ადგილია. დიახ, ახალი იერუსალიმი ის ადგილია, სადაც მეორედ მოსვლისას უფალი მოვა და უკანასკნელი სამსჯავრო გაიმართება.

ნიშანდობლივია, ღმრთივბოძებული ჩვენებისას ლოცვაში

ჩაძირულმა დედათა დიაკონმა ქართველთა ქვეყნის მარადიული არსებობა და დიდება იხილა.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ: ეკლესიის წიაღში მოღვაწე წმიდა მამების ბაგეთაგან საჯარად წარმოთქმული კონცეფცია – „საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა" – დაფარულად შემდეგს გვამცნობს: როგორც ღმრთისმშობელმა დააკავშირა ღმერთი და ადამიანი, ასევე ქართულენოვანი ეკლესია დააკავშირებს ადამიანს ღმერთთანო. ასეთნაირად, ეკლესიის მამების თვალთახედვით, ჭეშმარიტი ეკლესიის კეთილმსახურ ქვეყანას – საქართველოს, მარად ქალწული მარიამის ხვედრი ხვდა წილად. დიახაც რომ, «...არარაᲲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს».

ერთი რამ ცხადია: სასიხარულო უწყება, რომ „საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა", მხოლოდ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას ჰმატებს ქართულენოვანი ეკლესიის მრევლს.

მინდა, იცოდეთ: წინამდებარე ნაშრომი არა წარსულის განდიდების, არამედ ქართული იდეის – ქართულენოვანი ეკლესიის საგანგებო მოვალეობის წარმოჩენის მიზნით დაიწერა.

ჰოდა აი, ისიც, ქართული იდეა – ჭეშმარიტი ეკლესიის კეთილმსახურება.

რასაკვირველია, განუყოფელი ეკლესიის კეთილმსახურთა ქვეყანა თავისთავად განუყოფელია.

აი, რატომაა, რომ მეორედ მოსვლის მომლოდინე, მტკვრის ხეობის, ჭოროხის ხეობის, გიშისწყლის ველის, ლიახვის ხეობისა და ფსოუს ხეობის ქართულენოვანი ეკლესიების ანგელოზები იმედით შეჰყურებენ ქართულენოვანი ეკლესიის კეთილმსახურთ.

## შენიშვნა:

1 აი, ცაში გამართული ომის ეპიზოდები ლეონტი მროველისეული, შატბერდული, სინური და ჭელიშური ხელნაწერებიდან:

**„მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ ლეონტი მროველისეული ( XI ს.) ტექსტის მიხედვით ცაში გამართული ომი შემდეგნაირად არის აღწერილი:**

«...და დადგა წმიდა ნინო, განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: „რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე“. კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთავე კართა ქალაქისათა, დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან: დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრითა; და შეიქმნა ჴმა ზარის-საჴდელი, ზრზინვა, და ყივილი, და კლვა. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა, **და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახჳლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჴორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა თჳსთა.**

«და მსწრაფლ ისმოდა, ჴმობდეს რა ძლიერად: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურია განარინეთ პირისაგან მახჳლისა“. ესე რა მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა; და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი გარემოს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.

«და ისმა ჴმა ძლიერი-"მირიან მეფე შეიპყრესო“. გარემოიხილა მჴნემან მოლუაწემან და თქუა: „ესე რომელ ყივის, ვიცი რომელ აწ სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დიდებისა“. და ნუგეშინის გუცემდა, ვითარცა მოძღუარი ჴელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.

«მიექცა ერსა მას მომავალსა და რქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახული დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოთ-კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქუენ ელტვით". და განძრა ჴელი ჯუარის სახედ და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი. და იქმნა დაყუდება დიდი, და დედანი იგი ნატრიდეს მას და ადიდებდეს ღმერთსა...» [მოქც. მირიან მეფისა.,1955, გვ.113-114].

**„მოქცევაჲ ქართლისაჲს" შატბერდული (X ს.) ტექსტის მიხედვით ცაში გამართული ომის ეპიზოდი შემდეგს მოგვითხრობს:**

«...და დადგა წმიდაჲ ნინო და განიპყრნა ჴელნი თჳსნი ცად მიმართ და თუალნი ღმრთისა მიმართ, ილოცვიდა და ევედრებოდა, რაჲთა არა დააბრკოლოს საქმჱ ესე სარწმუნოებისაჲ მტერმან, რომელსა წადიერებით წარმართებულ არს მეფჱ და ყოველი ერი.

და ვიდრეარღა ეყივნა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწნეს კარნი ქალაქისანი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და მეყსეულად შეიქმნნეს ზარის აღსაჴდელნი ზრინვანი და ყივილნი და კლვაჲ ერისაჲ, ვითარმცა სისხლი დიოდა. და აღივსო ყოველი ადგილი. **და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლჱ ზახილთაჲ და მახულთაჲ, და დადნეს ჴორცნი ჩუენნი და განილია სული ჩუენი. ხოლო მე ვტიროდე მამისათჳს და ნათესავთა ჩემთათჳს,** და მწრაფლ მესმა, ჴმობდეს ძლიერად: „ამას ბრძანებს მეფჱ სპარსთაჲ ხუარა და მეფეთ-მეფჱ ხუარან ხუარა, ყოველი ჰურიაჲ განარინეთ პირისაგან მახულისა". ვითარცა ესე მესმა, მოვეგე გონებასა, შეორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა. და მოახლებულ იყვნეს მახულოსანნი და ჩუენსა გარემოს სცემდეს და კლვიდეს.

და ისმა ჴმაჲ ძლიერად, მირეან მეფჱ შეიპყრესო. და გარე-მოიხილა მჴნედ მოღუაწემან მან და თქუა: „კუალად ყვესა? ვიცი, რამეთუ დიდად შჭირს". და ჰმადლობდა ღმერთსა, რა-მეთუ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს და ქართლისა ცხორებისაჲ და ამის ადგილისა დიდებისაჲ. და ნუგეშინის-გუ-ცემდა ვითარცა მოძღუარი ჴელოვანი, ნანდკლვე ჭეშმარიტად მოძღუარი, და მოციქული ქრისტესი წმიდაჲ ნინო. და მოექცა ერსა მას მომავალსა ჩუენ ზედა და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუან ხუარა; საბასტანით გუშინ წამო-ხუედითა? მალჱ მოხუედით. დიდად სამე არს ლაშქარი უზომო, ვიდრემე ხართ. და ძლიერად დაჰლეწეთ ქალაქი ესე, მახჳლი დაეცით ქართა და ნიავთა. წარვედით ბნელთა ჩრდილოჲსათა მთათა მათ კედარისათა. აქა მივიდა იგი, რომელსა თქუენ ევ-ლტოდეთ". და განძრა მარჯუენე თჳსი და დასწერა ჴელითა სახჱ ჯუარისაჲ, და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმ-რავლჱ ერისაჲ, და იქმნა დაყუდება დიდ. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ვჰნატრიდით წმიდასა და სანატრელსა ნინოს...» [მოქც. ქართ., 1963, გვ.139-141].

**„მოქცევაჲ ქართლისაჲს" სინურ ( X ს.) ტექსტში ცაში გამარ-თული ომის ეპიზოდი შემდეგნაირად არის გადმოცემული:**

«... და დადგა ნეტარი იგი და განეპყრნეს ჴელნი ცად მიმართ და თუალნი ღმრთად და ითხოვდა, რაჲთა არა დაებ-რკოლოს საქმჱ ესე, რომელსა წარმა[თ]ებულ არს მეფჱ.

და ვითარცა არღა ეყივლა ქათამსა, სამთავე კართა ქა-ლაქისათა დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწნეს კარნი და აივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და შეიქმნა ზარის განსაჴდელი ზრინვაჲ, და ჟივილი, და კლვაჲ და სისხლი დიო-და. და აივსო ყოველი ადგილი **და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლჱ მახჳლთაჲ და ძახილთაჲ, და დადნეს ჴორცნი ჩუენნი, და განი-ლია სული ჩუენი. ხოლო წმიდაჲ იგი და ნეტარი დგა შეუძრწუ-**

**ნებლად. და მე ვტიროდე მამისა ჩემისა და ნათესავთა ჩემთათჳს** და მაწრაფლ მესმა, ჴმობდეს ძლიერად: „ბრძანებს [მეფჱ] სპარსთაჲ ხუარა და მეფეთა მეფჱ ხუარან ხუარან, ყოველი ჰურიაჲ განარინენით პირისაგან მახჳლისა." და ვითარცა ჴმაჲ ესე მესმა, უკუმოვეგე ცნობასა და შეორგულდით მე და ათნი იგი ჩემ თანა  და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი და ჩუენსა გარემოჲს სცემდეს და კლვიდეს.

და ჲსმა ჴმაჲ ძლიერად, მირიან მეფჱ შეიპყრესო. და გარე-მოჲხილა მჴნედ მოლუაწემან მან და თქუა: „კუალად ყვესა? ვიცი ან დიად სამე ჰშჭირს და ვჰმადლობ ღმერთსა, ვითა ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს და ქართლისა ცხოვრებისაჲ და ამის ადგილისა დიდებისაჲ". ნუგეშინის-გუცემდა ჩუენ ვი-თარცა მოძღუარი ჴელოვანი და ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული სანატრელი. და მოექცა ერსა მას მომავალსა ჩუენ ზედა და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან ხუა? საბატანით გუშინ წარმოხუედითა? მალე სამე წარმოხუედით და დიად სამე ლაშქარი ხართ, და ძლიერად დაჰლეწეთ ქალაქი ესე და მახჳლი დაეცით ქართა და ნია-ვთა, წარგუალეთ ჩრდილოჲთ კერძოთა მთათა და კედართა ადგილთა. აქა მოვიდა, რომელსა თქუენ ევლტით. და განძრა მარჯუენაჲ ჴელი ჯუარისა სახედ და მიყსეულად უჩინო იქმ-ნა ყოველი იგი, და იქმნა დაყუდება. და ჩუენ ვადიდებდეთ ღმერთსა და ვჰნატრიდეთ წმიდასა მას ნინოს...» [გამოსაცემად მოამზადა აკადემიკოსმა ზაზა ალექსიძემ].

**„მოქცევაჲ ქართლისაჲს" ჭელიშური ( XIV ს.) ტექსტის მიხედ-ვით ცაში გამარული ომის ეპიზოდი შემდეგს მოგვითხრობს:**

«...და ვითარცა არღარა ეყივლა ქათამსა, სამთავე კართა ქალაქისათა დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და შეიქმნა ზარი და ჟივილი, კლვაჲ, და სისხლი ფრიად დიოდა. **და მოვი-და ჩუენ ზედა სიმრავლე მახჳლოსანთა, და დადნეს ჴორცნი და განილია სული ჩუენი. ხოლო წმიდაჲ იგი და ნეტარი დგა შეუძ-**

**რწუნვებელად. და მე ვტიროდე მამისა ჩემისათჳს**, და მწრაფლ მესმა, ჴმობდეს ძლიერად: „ბრძანებს სპარსთა მეფეთა მეფე ხუარან ხუარა, ვითარმედ ყოველი ჰურიაჲ განარინეთ პირისაგან მახვილისა". და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი იგი ჩუენსა გარემოს, სცემდეს და კლვიდეს.

და ისმა ჴმაჲ ძლიერად, მირიან მეფე შეიპყრესო. მაშინ გარდამოიხილა მჴნედ-მოღუაწემან და თქუა: „აწ დიდად სამე ჰჭირს, ვჰმადლობ ღმერთსა, ჩანს, რამეთუ ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს და ქართლისა ცხორებისაჲ და ამ ადგილისა დიდებისაჲ". და მოექცა ერსა ამას ჩუენსა და ჰრქუა: „სადა არიან მეფენი მეფეთა სპარსთანი ხოვარ ხორან, ხორან ხოვა. საბასტანით წამოხუედით? და მალე სამე მოხუედით, ძლიერად და დაჰლეწეთ ქალაქი ესე და მახჳლი დაეცით. აწ უბრძანებ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ქართა და ნიავთა, წარგუალეთ და კიდართა ადგილთა. აქა მოვიდა, რომელთა თქუენ ევლტით". და განმარტა მარჯუენაჲ ჴელი ჯუარის სახედ, და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი ეშმაკნი, და იქმნა დაყუდებაჲ დიდი. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ვნატრიდით წმიდასა ნინოს...» [მოქც. ქართ., 1963, გვ.139-141].

## გამოყენებული ლიტერატურა


აბულაძე, 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი. 1973.

ბედოშვილი,1983 – გ. ბედოშვილი, მოსაზრებანი ტოპონიმ მცხეთის წარმოშობის შესახებ, სამეცნიერო ძიებანი, თბილისი. 1983.

გაგოშიძე, 2005 – გ. გაგოშიძე, უმლეიზუნის ქართული წარწერა, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი, 2005.

გეორგიკა,1941 – გეორგიკა, IV, ნაკვეთი I, თბილისი.1941.

გეორგიკა,1961 – გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი I, თბილისი.1961.

გულაბერიძე, 1882 – ნ. გულაბერიძე, საკითხავი სუჭტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლოკე ეკკლესიისა – გ. საბინინი, სრული აღწერაჲ ღუაწლთა ვნებათა საქართუჭლოს წმიდათა, პეტერბურღი. 1882.

დიდი სჯულისკანონი, 1975 – დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე.გაბიძაშვილმა, ე.გიუნაშვილმა, მ.დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი. 1975.

ეფრემ მცირე, 1959 – ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების. თბილისი. 1959.

კეკელიძე, 1960 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი. 1960.

კლარჯული მრავალთავი, 1991 – კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ.მგალობლიშვილმა, თბილისი. 1991.

მგალობლიშვილი, 2005 – თ. მგალობლიშვილი, უცნობი ქარ-

თული მონასტერი წმ. მიწაზე, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი, 2005.

მიქაძე, 1964 – გ. მიქაძე, არსენ ბულმაისიმისძე, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XV, თბილისი.1964.

მოქც. მირიან მეფისა, 1955 – მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ – ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი. 1955.

მოქც. ქართ., 1963 – მოქცევაჲ ქართლისაჲ – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. რედაქტორი ილ. აბულაძე, წ. I. თბილისი. 1963.

ჩოლოყაშვილი, 2003 – ბ. ჩოლოყაშვილი, უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება, თბილისი. 2003.

ცხოვრ. ქართ. მეფ.,1955 – ცხოვრებასა ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა – ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი. 1955.

წამებაჲ ჰაბოჲსი, 1963 – წამებაჲ ჰაბოჲსი – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. თბილისი.1963.

ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები,1971 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III. თბილისი.1971.

ჯავახიშვილი, 1900, №6 – ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, მოამბე, №6, ტფილისი. 1900.

A patristic greek lexicon, 1961 – A patristic greek lexicon, Oxford. 1961.

Catholic encyclopedia, 1855 – The catholic encyclopedia, 1855.

Commentary. 1871 – Commentary critical and explanatory on thewhole Bible, Robert Jamieson, A. R. Fausset and David Brown published, 1871.

Shoemaker, 2003 – Stephen J. Shoemaker, Ancient Traditions of the Virgin Mary's Dormition and Assuption, Oxford. 2003.

Metzger, 2000 – Marcel Metzger, Pages féminines des Constitutions apostoliques, Orientalia christiana analecta 260. Roma. 2000.

Иосселиани, 1842 – П.Иосселиани, Мцхетскій храмъ въ грузіи, журналь министерства народнаго просвещения, часть 36, отд. II, С–Петербургъ. 1842.

Меликишвили, 1959 – Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси. 1959.